# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 მაისი 1999 №93 (866) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო 80 ირლანდია 78

## ორქულიანი მოგება, რომელსაც ორი წელი ველოდით

როგორც იქნა, სასიამოვნო ამბავს ველირსეთ ჩვენს კალათბურთზე. შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე, წუხანდელ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა 80:78 დაამარცხა ირლანდიის ეროვნული გუნდი.

არცთუ შორეულ წარსულში ირლანდიელთა ძლევა რა გასახარი და სალაპარაკო გვექნებოდა, მაგრამ, ვაი, რომ დღეს ასე აღარ არის. ქართველთა გუშინდელი გამარჯვება ერთიორად დასაფასებელია, რადგან ჩვენებურებს ზუსტად ორი წელი არ მოეგოთ ოფიციალური შეხვედრა.

მაშ ასე, გაუთავებელი და მომაბეზრებელი წარუმატებლობების შემდეგ კალათბურთის ქართველმა გულშემატკივარმაც გაიხარა — გუშინ ხომ ჩვენი კალათბურთის ორწლიან და 11-მატჩიან დანავსულ სერიას მოეღო ბოლო.

ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილთან გასაუბრება ამ ჯერზე ვერ შევძელით. მოსეშვილი შვეიცარია — პორტუგალიის მატჩის საყურებლად დარჩა, მე კი სასტუმროში გამოვწიეო, გვითხრა გუნდის მეორე მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ და შეხვედრის კომენტარი რომ ვთხოვეთ, ამაზეც არ დაგვზარდა:

„ურთულესი თამაში იყო. შეხვედრა უაღრესად დაძაბულად წარიმართა და ბოლო წამებზეღა გამოვტაცეთ მეტოქეს გამარჯვება. კალათბურთელებმაც და მწვრთნელებმაც ვიცოდით, რომ წაგების შემთხვევაში სამეულში მოხვედრის თეორიული შანსიღა გვრჩებოდა, ამიტომაც ბიჭებმა ძალიან მოინდომეს და აკი იღბალმაც არ გაგვწირა.

პირველი ტაიმი 40:40 დამთავრდა. მეორე ნახევარში უპირატესობა მოვიპოვეთ და 5-9 ქულას სულ ვიგებდით, მაგრამ დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, როცა 6 ქულით წინ ვიყავით, ვახტანგ ნაცვლიშვილი გამოგვაკლდა 5 პერსონალურის გამო, მეტოქემ ეს შეიშნოვა და ბოლო წუთზე ანგარიში თანაბარი, 78:78 გახდა. შეტევისთვის 12 წამიღა გვრჩებოდა, ჟღენტმა სწრაფად შეუტია და ზუსტი პასით ბოისა კარგ პოზიციაში დატოვა, ვოვამაც ივარგა და გამარჯვების მომტანი 2-ქულიანი ჩააგდო.

ყველა მოთამაშით კმაყოფილი ვართ. კარგად გამოგვივიდა დაცვაში თამაში. მეტოქეს პერსონალური დაცვა შევთავაზეთ და ამან გაამართლა კიდეც.

ყველაზე შედეგიანი კვლავაც ვახტანგ ნაცვლიშვილი (22 ქულა) იყო. მინდა გამოვყო აჩიკო ჟღენტის და ირაკლი ხოშტარიას კარგი თამაშიც."

გუშინვე ბელგიამ ანგარიშით 71:66 დაამარცხა დანიის ნაკრები, პორტუგალიამ კი შვეიცარიას მოუგო.

დღეს ჩვენები ბელგიელებს ეთამაშებიან.

**გიორგი გიქაშვილი**

## ძიუდოს ბრინჯაოს შანსით დაიწყო

გუშინ სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში დაწყებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ოთხი ქართველი გავიდა ტატამზე. ივერი ჯიქურაულისთვის (100) პირველ შეხვედრაში დამარცხებისთანავე შეჯიბრება დასრულდა (მისი მომგებიც დამარცხდა). მძიმეწონოსანმა ალექსი დავითაშვილმა, ნესტორ ხერგიანმა (60) და გია გუგავამ (90) თითო შეჯიბრება კი წააგეს, მაგრამ ბრინჯაოს მოპოვების შანსი რჩებათ, ოღონდ საამისოდ მათ ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოიგონ.

# საქართველო 29:26 სლოვაკეთი



ქართველ ხელბურთელთაგან ჟინიანი თამაშით ალექსანდრე ბოყოჩაძეც გამოირჩეოდა და აკი შვიდი ბურთიც გაიტანა

ახლა ისეა ჩვენი საქმე, ოღონდ საქართველოს ნაკრებმა მოიგოს და, ვინღა დაგიდევს ან სახეობას, ანაც ტურნირისა თუ მატჩის რანგს. ჰოდა, არა გვგონია, ქართველი ხელბურთელების გამარჯვებას, თანაც ზედიზედ მეორეს, ჩვენი სპორტის ქომაგები გულგრილი დაეტოვებინა. ზაზა დოლიძის შეგირდებმა პორტუგალიასთან მოგებას გუშინ სლოვაკთა დამარცხებაც დაურთეს და, რაც ყველაზე უჩვეულოა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეექვსე საკვალიფიკაციო ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეშიც მოექცნენ. ეგაა, ეს ყოველივე შინ ნაყოჩაღარის წყალობით მოხდა, თორემ ქართველ ხელბურთელებს ჯერ კიდევ ბევრის დამტკიცება მოუწევთ, თუნდაც ხვალ კოშიცეში, სადაც გუშინ თბილისში ძლეული სლოვაკები დაუხვდებიან.

საქართველო — სლოვაკეთის მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეცამეტე გვერდზე

### ამხანაგური მატჩი

### EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

**ნორვეგია 6:0 იამაიკა**

1:0, 2:0 ფლო (5, 53), 3:0 ივერსენი (71), 4:0 ლეონარდსენი (75), 5:0 დალუმი (82), 6:0 ლუნდი (90)

ნორვეგია: მირე (ოლსენი 83), ჰეგემი, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო (ანდერსენი 79), რუდი (დალუმი 46), ივერსენი (ჰალე 79), რეკდალი (ბაკე 68), ლეონარდსენი, რისეტი, ტ. ა. ფლო (ლუნდი 77)

იამაიკა: ლოურენსი, დეივისი, სინკლერი, ლოვი, გუდისონი, გრიფიტსი, დევისი, უაითმორი (გრინი 73), პაუელი (სკარლეტი 60), გეილი, ფულერი (ჰოლი 46)

გაფრთხილება: გუდისონი 84

მსაჯი: ა. შლუხტერი (შვეიცარია)

## ნორვეგიამ რეგის ბიჭები თავის დაკრულზე აცეკვა

ნორვეგიელებმა მორიგ მეტოქეს გადაურბინეს — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 28 აპრილს თბილისში მასპინძელთა შერცხვენის შემდეგ, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე იამაიკელ „რეგის ბიჭებს" უმასპინძლეს და რაც დამართეს, თავადაც ხედავთ — 6:0.

შეხვედრა ოსლოში „ულევოლის" სტადიონზე გაიმართა, სწორედ იქ, სადაც 1996 წლის 1 სექტემბერს მასპინძლებმა ამხანაგურ მატჩში 1:0 სძლიეს საქართველოს ნაკრებს და სადაც 30 მაისს ქართველებს ხელმეორედ უნდა უმასპინძლონ, ამჯერად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

ოფიციალურ შეხვედრამდე სპარინგ-პარტნიორის (ვინც უნდა იყოს ის) აგრერიგად განადგურება, მეტოქის ოფიციალური მატჩისთვის სრულფასოვან და შესაშურ მზადყოფნაზე მიუთითებს. ესეც რომ არა, საქართველოს ნაკრებს ნორვეგიელთა ძალა საკუთარ თავზეც კარგად აქვს ნაწვნევი.

იამაიკელებთან მატჩს რაც შეეხება, როგორ მიმდინარეობდა თამაში ან ვინ გახლდათ მოედნის ბატონ-პატრონი, ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს. სტუმართ, საგოლე შანსი რაა, ისიც არ მისცემიათ, დამხვდურთ კი გოლი გოლზე გაჰქონდათ.



28 აპრილს ლევან კობიაშვილმა ნორვეგიასთან თბილისში ითამაშა, ითამაშებს 30 მაისს ოსლოში?

# კობიაშვილს გერმანული სისხლი გადაუსხეს

*ასეა, ცხოვრება მოულოდნელობებითაა ალსავსე. როდის რა შეგემთხვევა, ფეხი სად დაგისხლტდება, სად გადაგიბრუნდება, როდის ვინ ან რა გიმუხლთლებს, ღმერთმა უწყის, წინასწარ ვერაფრით იტყვი.*

*ვითომცდა უმნიშვნელო ჭრილობას მიილებ, იფიქრებ, თავისით გაივლისო, ყურადღებას არ მიაქცევ და... ხვალ რომ გაგიმიზეზდება, სათავცემოდაც მაშინ გაგიხდება საქმე. ადრე სად ვიყავიო, იტყვი, ინანებ.*

*თითქმის ყველას მსგავსად, არც გერმანული „ფრაიბურგის“ ნახევარმცველ ლევან კობიაშვილს შეუწუხებია დიდად თავი, ეგ არაფერიო, ჩათვალა და...*

*ფრაიბურგიის საავადმყოფოდან ახალგამოწერილმა გვითხრა:*

— როგორ ვიფიქრებდი, ფეხის თითი ოდნავ რომ გამეჭრა, საავადმყოფოში თუ გამაქანებდნენ. წინა ოთხშაბათს, დილით, ჩვეულებრივ ვარჯიშზე მივედი. ნაიარევი მომექავა, ფეხზე დავიხედე და გული შემიწუხდა. სულ შემუპებული, ჩალურჯებული იყო, ტემპერატურამაც ამიწია. გუნდის ექიმს მივმართე, ფეხი ვაჩვენე და ბარძაყს მაშინღა დავაკვირდი, შემსიებოდა. ექიმისგან რჩევებს რომ ვისმენდი, გონება დავკარგე, საავადმყოფოშიღა მოვსულიერდი. მერე მითხრეს, სისხლი მოგეწამლაო, ხუთი დღე წვეთოვანი პლაზმა და სხვადასხვა ანტიბიოტიკები არ დამკლებია. რაღაც ვირუსი შემეყარა. აღარ მახსოვს.

**— ახლა როგორ ხარ?**

— შედარებით უკეთ. დღეს იმავე საავადმყოფოს მივაკითხე, ერთხელაც გავესინჯე, სისხლი სუფთაა, თუმცა ჭრილობის შეხორცებას დრო კიდევ სჭირდება. ვარჯიში ისევ აკრძალული მაქვს. ექიმებმა სამშაბათს დამიბარეს. მეც რაღა დამრჩენია, შინ ვწამლობ. დიეტაზე ვარ.

**— სამშაბათამდე ხუთი დღე კიდევაა. ალბათ, იქამდე მაინც მომჯობინდები.**

— ვერაფერს გეტყვით, მეც ამის იმედი მაქვს. ექიმების თქმით, ყველაფერი კარგად უნდა იყოს, მამშვიდებენ

**— აბა, „ფრაიბურგს“ მომდევნო მატჩშიც ვერ დაეხმარები და ნაკრებში ჩამოსვლაც საეჭვო ყოფილა.**

— არა, შაბათს „ჰერტას“ წინააღმდეგ ნაღდად გამორიცხულია ჩემი თამაში. თბილისში ჩამოსვლის ამბავი კი სამშაბათს გაირკვევა. როგორც მეტყვიან, ისე მოვიქცევი.

**— თქვენი მწვრთნელი ფინკე რა ჰკუაზეა?**

— საავადმყოფოში თითქმის ყოველდღე მაკითხავდა, ყურადღებას არ მაკლებდა. მომინახულებდა და მერე ექიმებს პირისპირ ესაუბრებოდა, სასწრაფოდ უნდა გამოაჯანმრთელოთ, ბოლო ორ თამაშში მჭირდებაო. ამის მიუხედავად, შაბათის მატჩს მაინც ტრიბუნიდან ვუყურებ. არადა, ძალიან კი მსურს თამაში, „ფრაიბურგის“ ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერაც არაა გადაწყვეტილი, ცუდადაა საქმე.

**— არც მთლად...**

— ყველაფერია მოსალოდნელი, ღმერთმა ქნას და „ჰერტას“ თუ მოვუგეთ, მაშინ კი აღარაფერი გვიჭირს.

**— სეზონის წინ რაც დაგეგმეთ, შეასრულებთ.**

— მართალია, ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ, მაგრამ ძალებს რეალურად ვაფასებდით. ფინკე გამოცდილი კაცია და გუნდის შესაძლებლობები კარგად იცოდა, მეტის იმედი არც ჰქონდა, ყოველთვის ერთს იმეორებდა, ბუნდესლიგაში უნდა დავრჩეთო.

**— მომავალში?**

— ვნახოთ. ჯერ დავრჩეთ და მერე ვილაპარაკოთ. ისე, ამბობენ, ძლიერი ფეხბურთელების ყიდვას ვაპირებთო.

**— კარგი, მაშ სწრაფად გამოჯანმრთელებას გისურვებ და თბილისში გელოდებით.**

— გმადლობთ. ოდნავ მაინც თუ შემეძლება, აუცილებლად ჩამოვალ. მაინტერესებს ახალი მწვრთნელი, მისი სავარჯიშო მეთოდი. მშმენია, ბოსკამპი ძლიერი სპეციალისტიაო. თუმცა კი, სხვაგვარად რომ იყოს, უცხოელს ალბათ არც დანიშნავდნენ. იქნებ მის ხელში მაინც გვეშველოს.

**ბონბა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

## 27 ტური

### გამოტოვებული მატჩი

ბათუმი. „დინამო“. 21 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — თსუ

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ა. შალამბერიძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); თ. ხუჭუა (სამტრედია); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

# სტიპენდიის და საშემოდგომოს მოლოდინში

ჩვეული პრობლემა, ისევ უფულობა, ისევ შიშველი ენთუზიაზმი, შედეგი — გაფიცული ფეხბურთელები, რომელთა პოზიცია შეუვალია — ჩვენც ადამიანები ვართ, გვეყო ამდენი დაპირებანიო.

ზედიზედ ორი ტურია, რაც თსუ-ს ფეხბურთელები გაფიცულნი არიან, ტურის კალენდარულ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ. ასე იყო საშინაო მატჩში „ვიტ ჯორჯიასთან“ და სამტრედიაში „იბერიასთან“, თსუ-მ სათადარიგოებით ითამაშა. ფაქტობრივად ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში გამოუცდელებმა ითამაშეს.

დღეს სტუდენტებს ბათუმში 27-ე ტურის გადადებული მატჩის ჩატარება უწევთ. გუნდის ძირითადი შემადგენლობა თამაშს ისევ უარობს, თუმცა კლუბის ხელმძღვანელებმა ხუთი მოთამაშის დაყაბულება მაინც შეძლეს. თუ კიდევ რამე არ მოხდა, ბათუმში მეკარე მირზა მერლანი, კობა ნინუა, დავით გოგოლაძე, ლევან მაღრაძე და ბორის გონჩაროვი აუცილებლად ითამაშებენ.

ზემოთ კლუბის ხელმძღვანელობა ვახსენეთ. როდესაც თსუ-ში მიმდინარე მოვლენებზე გუნდის პრეზიდენტ ალეკო ბუკიას დავუკავშირდით, მან მოულოდნელად ეს გვითხრა:

— მე უკვე არ ვერევი გუნდის საქმეებში. ოფიციალურად პრეზიდენტის პოსტს სეზონის დასრულებისას დავტოვებ. არ ვიცი, საჩოთირო სიტუაციაა, ბოდიშს გიხდით, მეტს ვერაფერს გეტყვით.

თითქოსდა გაფიცვა საკმარისი არ იყო, კლუბი პრეზიდენტმაც დატოვა. გადათამაშებაში უკვე თითქმის მოხვედრილ თსუ-ს ახლა მხოლოდ უფალი თუ გადმოხედავს მოწყალე თვალით.

თსუ-ს სამტრედიაში „იბერიასთან“ მატჩისას მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია არ ახლდა. ბუნებრივია, პრეზიდენტის განცხადებაზე გაბელიას კომენტარი უპრიანი იქნებოდა, მაგრამ ბატონი ოთარი ვერ მოვიხელთეთ. სამაგიეროდ, გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა *ელგუჯა ხუციშვილმა* გვითხრა:

— ალეკო ბუკიას განცხადებაზე ვერას გეტყვით, მაგრამ ფაქტია, ამ კაცმა თსუ-სთვის რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა თსუ-ს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო.

გუნდში სიტუაცია ისევ ბურუსითაა მოცული. ერთადერთი საზრუნავი ახლა ისღა დაგვრჩენია, გაფიცული ფეხბურთელები გადათამაშებაში მონაწილეობაზე მაინც დავიყოლიოთ. იქნებ დაგვეხმარონ, რომ ჯგუფიდან არ გავვარდეთ. თუ ყველას არა, იმედი მაქვს, უმრავლესობას მაინც დავითანხმებთ. ერთი სიტყვით, ასეა, დაბნეულები ვართ, ან ავეწყობით, ანაც დავიშლებით.

...დღეს თსუ-ს ბათუმში 27-ე ტურის გადადებული მატჩის ჩატარება უწევს, ზეგ კი ბოლო ტურის მატჩში „შევარდენზე“ მეათე ეროვნულის ბრინჯაოსან „ლოკომოტივს“ შეხვდება.

**გიორგი ვაშაძიძე**



ალეკო ბუკიამ, თსუ-ში აღარაფერი მესაქმებაო



შემადგენლობაშეთხელებულმა სტუდენტებმა სამშაბათს სამტრედიაში „იბერიასთან“ 2:4 წააგეს


# თბილისის ბოულინგ-ცენტრი

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

## გაძლევთ შანსს:

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

იასპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით, 220 ქულაზე — 200 ლარით,
230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ პროფესიონალი მოთამაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კეთილაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავამ გიგლა იმნაძისეული ახალგაზრდული ნაკრებიდან სამი-ოთხი კაციღა დატოვა

# ახალი ახალგაზრდული

ერთ კვირაში ქართული საფეხბურთო დელეგაცია ნორვეგიას ესტუმრება. ახლოვდება უძნელესი გამოცდების ჩაბარების ჟამი. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ახალდანიშნულ მწვრთნელებს რთული და მძელი დღეები ელით.

ეროვნული გუნდის ჰოლანდიელმა თავკაცმა სანორვეგიო შემადგენლობა უკვე დაასახელა, ბოსკამპს ბევრით არც ახალგაზრდულის ახალი დამრიგებელი მურთაზ ხურცილავა ჩამორჩა და გუშინ ოცკაციანი შემადგენლობა გვაახლა, რომელთაგან ორი ზედმეტია. ოსლოს „ულევალის“ სტადიონზე 18 ქართველი ახალგაზრდა ეცდება ერთი თვის წინანდელი სირცხვილის ჩამორეცხვას.

ჯერ მურთაზ ხურცილავას რჩეულებს გაგაცნობთ, დანარჩენებზე კი მერე ვთქვათ. მაშ ასე, 24 მაისს მწვრთნელი სასტუმრო „მესაზღვრეში“ შემდეგ მოთამაშეებს ელოდება:

*მეკარეები: გიორგი ლომაია (მერანი), ზურაბ ბათიაშვილი (დინამო), დავით ხმელიძე (ჟემჩუჟინა, რუსეთი);*

*მცველები: თორნიკე რუხაძე (დინამო 2), ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო 2), არჩილ სახვაძე (დინამო), ვალერი აბრამიძე (დინამო 2), გიორგი შაშიაშვილი (თსუ), ჯაბა მუჯირი (ვიტ ჯორჯია);*

*ნახევარმცველები: ედიკ საჯაია (დინამო 2), რევაზ ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ოლეგ გველესიანი (დინამო 2), ლადო ბურდული (დინამო 2), ლევან მელქაძე (დინამო 2), გივი კვარაცხელია (დინამო), ლევან შავგულიძე (კოლხეთი);*

*თავდამსხმელები: კობა წიტაიშვილი (დინამო), გიორგი შენგელია (სამგურალი), გიორგი იმედაძე (ტორპედო), ლაშა ჯაკობია (სტანდარდი, ბელგია)*

ხურცილავას ახალგაზრდულ წევრებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „დინამო“ და მისი ფარმ-კლუბი. ერთბაშად ამდენი დინამოელი ახალგაზრდულ გუნდში, ალბათ, არც არასდროს ყოფილა მიწვეული. მწვრთნელმა ხელაღებით, სხვათასხვა მიზეზების გამო, უარი თქვა ლანდი — იმნაძისეულ ნაკრების მოთამაშეებზე. ალბათ, ხურცილავამ თავისი საქმისა სხვებზე უკეთ უწყის, თუმცა, ერთბაშად ამდენი დებიუტანტით ნორვეგიას სტუმრობა ძალიან სარისკოა.

20 ფეხბურთელიდან მხოლოდ ხუთია ისეთი, რომლებსაც „დინამოს“ საფეხბურთო სკოლა არ გაუვლიათ. დავით ხმელიძე, ჯაბა მუჯირი, ლევან შავგულიძე, გიორგი იმედაძე და ლაშა ჯაკობია არასდროს ყოფილან დინამოელები.

როგორც ყოველთვის, ახალგაზრდულ ნაკრებს სავარჯიშო მინდვრის პრობლემა ახლაც შეაწუხებს. მურთაზ ხურცილავას თქმით, გუნდი, ალბათ, სავარაუდოდ დიღომში ივარჯიშებს, მაგრამ იქვე ეროვნული ნაკრებიც გაივლის წვრთნას და როგორ შეათავსებენ ერთმანეთთან ორი გუნდის მომზადებას, საკითხავიც ეგ არის. დიღმის ბაზის სათადარიგო მინდორი ხომ კარგა ხანია, შელახულია.

ბოლოს მსაჯებზეც ვთქვათ. ნორვეგია — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს შოტლანდიელი არბიტრები განსჯიან.

მთავარ მსაჯად გამწესებულ სტიუარტ დუგალის ჯიმ დანი და ნილ ბრენდი დაეხმარებიან. სათადარიგო ჯონ ანდერჰილი იქნება.

**მამუკა კვანტალიანი**

# პრიზიორთაგან წავიდა...

*საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა, თუმცა იგი ბევრს ვერაფერს გადაწყვეტს. გასარკვევი, ფაქტობრივად, გაირკვა, მათ შორის, საპრიზო სამეულიც. პირველ ადგილზე, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავაც თბილისის „დინამო“ გავიდა, რომელმაც ოქროს მედლები ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა. მოგეხსენებათ, ეს დინამოელთათვის ზედიზედ მეათე ოქრო გახლდათ. პირველად აღზევდა მეორე ადგილამდე ქუთაისის „ტორპედო“. ტორპედოელები საპრიზო სამეულში აქამდე ორჯერ იყვნენ — 1991 და 1994 წლებში ბრინჯაოს მედლებს ფლობდნენ, ახლა კი მესამე ადგილს აღარ დასჯერდნენ. „დინამოსა“ და „ტორპედოსგან“ განსხვავებით, საერთოდ პირველად მოხვდა სამეულში თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც წლეულს მეორედ თამაშობდა პირველ ჯგუფში. რკინიგზელები ერთი ხანობა ვერცხლისთვისაც იბრძოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ბრინჯაო ერგოთ.*

*საქართველოს ყველა დროის პრიზიორთა შორის „დინამოს“ შემდეგ მეორე ადგილზე ფოთის „კოლხეთია“. ზღვისპირელები ორჯერ ვერცხლს და სამჯერ ბრინჯაოს ფლობდნენ. ყოფილ პრიზიორთაგან პირველ ჯგუფში აღარ თამაშობენ სოხუმის „ცხუმი“, გურჯაანის „ალაზანი“ და ზესტაფონის „მარგვეთი“. წლეულს კი ლანჩხუთის „გურიაც“ დაქვეითდა. იგივე ემუქრება თბილისის „შევარდენი 1906“-ის მემკვიდრე თსუ-საც, თუ გადათამაშებაში მოხვდა და პირველ ჯგუფში ადგილი ვერ შეინარჩუნა.*

**ყველა პრიზიორი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 90 | იბერია | გურია | გორდა |
| 91 | იბერია | გურია | ტორპედო |
| 92 | იბერია | ცხუმი | გორდა |
| 93 | დინამო | შევარდენი | ალაზანი |
| 94 | დინამო | კოლხეთი | ტორპედო |
| 95 | დინამო | სამტრედია | კოლხეთი |
| 96 | დინამო | მარგვეთი | კოლხეთი |
| 97 | დინამო | კოლხეთი | ბათუმი |
| 98 | დინამო | ბათუმი | კოლხეთი |
| 99 | დინამო | ტორპედო | ლოკომოტივი |

**ჯამური მონაგარი**

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 0 | 0 |
| კოლხეთი | 0 | 2 | 3 |
| გურია | 0 | 2 | 0 |
| ტორპედო | 0 | 1 | 2 |
| ბათუმი | 0 | 1 | 1 |
| ცხუმი | 0 | 1 | 0 |
| შევარდენი | 0 | 1 | 0 |
| იბერია | 0 | 1 | 0 |
| მარგვეთი | 0 | 1 | 0 |
| გორდა | 0 | 0 | 2 |
| ალაზანი | 0 | 0 | 1 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 1 |

*შენიშვნა: თბილისის „დინამო“ პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „იბერიას“ სახელით. სამტრედიის „იბერია“ „სამტრედიას“ სახელით, „შევარდენი 1906“-ის ბაზაზე კი შეიქმნა საფეხბურთო კლუბი თსუ.*

# დემეტრაძეს ტექნიკას უქებენ

ფეხბურთი, რა თქმა უნდა, მარტო მშრალი ციფრები არ არის. სხვა სიკეთესთან ერთად (თქვენც კარგად მოგეხსენებათ სიკეთე ამ დალოცვილ სპორტის სახეობას მრავლად გააჩნია) არიან ფეხბურთელები, რომლებიც ბრწყინვალედ გრძნობენ ბურთს და თამაშში ხელოვნების დონემდე აყვანილი ელემენტები შეაქვთ. მარტივად რომ ვთქვათ, არიან ტექნიკური ფეხბურთელები.

ტექნიკური — ყველაზე მახლობელი და ყბადაღებული სიტყვა დღევანდელი ქართული ფეხბურთისთვის. ასე არ არის? საქართველოს ნაკრები ტექნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში. მერე რა, რომ უტექნიკო და მოუქნელმა ნორვეგიელებმა ბდღვირი გვადინეს და ყველაფერთან ერთად ჩვენთვის მახლობელი ქართული ტექნიკური არსენალის სიმწირეც გამოაშკარავეს.

მოდით, ჩავთვალოთ, რომ ეს ყოველივე დროებითი მოვლენა იყო და კვლავაც ძველ მოსაზრებაზე დავდგეთ — ქართველი ფეხბურთელები ტექნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავენი არიან ევროპაში. ფაქტები გნებავთ? კი, ბატონო, ხანდახან ფეხბურთი მშრალი ციფრებიცაა.

ორიოდე დღის წინ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ საყოველთაო გამოკითხვა დაასრულა თემაზე — რუსეთის უმაღლეს დივიზიონის 10 საუკეთესო ტექნიკური ფეხბურთელი.

რჩეულთა დივიზიონში 400-ზე მეტი ფეხბურთელი თამაშობს. მათ შორის რა თქმა უნდა, ლეგიონერებიც მრავლად არიან (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსულ პირველობაში ბრაზილიელებიც მონაწილეობენ). ყოველივეს გათვალისწინებით, ათეულში მოხვედრილი ქართველი ფეხბურთელის შედეგი ურიგო არ უნდა იყოს — ალანიელმა გიორგი დემეტრაძემ გამოკითხვაში მეექვსე ადგილი დაიკავა. 5 ნომინაციაში (ეფექტურობა, სანახაობრივი მხარე, პასი, ბურთის გაჩერება, ბურთის დარტყმა) დემეტრაძემ 10 შესაძლებლობიდან 7,6 ქულა დააგროვა და წარმატებით გახარებულმა მოგვიანებით მომხდართან დაკავშირებით კომენტარიც არ დაიზარა — დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როცა ვინმეს ლამაზად მოვატყუებ, ან ეფექტურ გადაცემას გავაკეთებ. ამიტომაც მიყვარს ფეხბურთი. ერთიცაა, ტრიბუნების რეაქცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის მე დადებითად მმუხტავს და ძალას მმატებს. მე რომ მკითხოთ, რუსეთში მოთამაშე საუკეთესო ტექნიკურ ფეხბურთელად ილია ციმბალარს მივიჩნევდი, ჩემი გუნდიდან — ვლადიკავკაზის „ალანიიდან“ კი ბახვა თედეევს.

თედეევს რომ არ გაუმართლა, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ქვემოთ გამოკითხვის სრულ შედეგებს გთავაზობთ (ფეხბურთელის გვარს გვერდით საშუალო მაჩვენებელი ერთვის).

1. ციმბალარი (სპარტაკი) — 8,5
2. სმერტინი (ლოკომოტივი) — 7,9
3. რადიმოვი (დინამო) — 7,8
4. ტიტოვი (სპარტაკი) — 7,7
5. კეჩინოვი (სპარტაკი) — 7,7
6. დემეტრაძე (ალანია) — 7,6
7. ბუზნიკინი (სპარტაკი) — 7,5
8. სემაკი (ცსკა) — 7,4
9. ხანკეევი (როსტსელმაში) — 7,3
10. პანოვი (ზენიტი) — 7,2

**ბაატა კვანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე

# პირიანი იტალიელები

ამას წინათ იტალიურ კოვერჩანოში სამწვრთნელო კვალიფიკაციის ასამაღლებლად წამსვლელ ქართველ სპეციალისტებზე გამცნეთ და ის ათეული ჩამოგითვალეთ, ვისაც ფლორენციასთან ახლოს მყოფ ბაზაზე მოუწევდა წასვლა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ „სარბიელთან“ ინტერვიუში განაცხადა, ათი მწვრთნელი კი გაემგზავრება, მაგრამ იტალიელებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, თუ საშუალება იქნება, კიდევ ოთხი სპეციალისტი მიიღონო. აპენინელებსაც უარი არ უთქვამთ და...

ათი ქართველი მწვრთნელი, როგორც ცნობილია, უკვე იტალიაში იმყოფება. მათ ოთხიც შეემატა. აქედან ორი, საქართველოს 18-წლამდელთა ახალგაზრდული ნაკრების ევროპის ჩემიონატის ფინალურ ეტაპზე გამყვანი ვახტანგ კოპალეიშვილი და თენგიზ კაცია არიან. ორი კი, ზაზა გომელაური და წარსულში თბილისის „დინამოს“ ცნობილი ნახევარმცველი თენგიზ სულაქველიძე, ბავშვებს უზიარებენ თავის გამოცდილებას.

თოთხმეტი ქართველი კურსებმოვლილი მწვრთნელი სამშობლოში 24 მაისს დაბრუნდება.

**გიორგი ვაშაკიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# 29 ტური

# უხერხულია, შენ გერქვას ვერცხლი!..



„ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“: უხვგოლიანი ტურის ერთადერთი უგოლო მატჩი. კოლხი მიხეილ ქობულაძე ვიტელ რევაზ ქემოკლიძეს და დავით დოლიძეს გაურბის

შენისთანა უკარება რამ იშვიათად მინახავს. 29 ტური გდიეს, 29-ჯერ 90 წუთი არავის დანებდი. შენი გულისთვის „ლოკომოტივმა“ არაერთხელ გამოიწვია დუელში „ტორპედო“, მარტო ეს ორი გუნდი კი არა, სხვა კლუბებიც „გაისვარა“ იმისთვის, რომ პატრონი გამოგჩენოდა.

ათი წლის განმავლობაში მხოლოდ „გურიამ“ დაგიპყრო ზედიზედ ორჯერ. ამდენჯერვე გფლობდა „კოლხეთიც“, თუმცა ფოთელებმა ამას ოთხი წელი მოანდომეს. დანარჩენებმა თითოჯერ დაიმშვენეს შენით მკერდი. ვერცხლი კი არა, ჯადო ხარ! „ტორპედოსა“ და მისი გულშემატკივრებისთვის ვერცხლზე მეტს ნიშნავ. ქუთაისელები ხომ პირველად მოგწვდნენ, პირველად განიცადეს შენს ბრწყინვალებასთან ზიარებით გამოწვეული სიხარული. ისე, ნერვიულობითაც გვარიანად ინერვიულეს 19 მაისის საღამომდე. ოთხშაბათს კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მიზანთან ასე ახლოს მყოფმა „ტორპედომ“ 13 ფეხბურთელით „გივი კილაძეზე“ ნასტუმრევ „გორდას“ ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა და...

საკითხავი ისღაა, რამდენად წაადგება „ტორპედოს“ მომავალს ვიცე-ჩემპიონის ტიტული...

29-ე ტურმა ეროვნულ ჩემპიონატებში ასი გოლის გამტანთა ხუთკაციან სიას კიდევ ერთი წევრი შემატა. „გურია“ — „მერანის“ შეხვედრაში გასულ ათ გოლთაგან ორი მასპინძელმა დავით მახარაძემ ჩაიწერა ანგარიშზე და მეექვსე ასიან ფეხბურთელად მოგვევლინა. ფეხბურთში ჭიპმოჭრილმა ფორვარდმა ჯერ მსაჯს დასტყუა პენალტი, შემდეგ კი სტუმართა მეკარეს მოაცელინა საჯარიმოში თავი. 98 გოლის გამტან მახარაძეს კი თერთმეტმეტრიანების ზუსტად შესრულება როგორ უნდა გასჭირვებოდა.

უხვგოლიანობით გამორჩეულმა ტურმა სამშაბათს აიღო სტარტი სამტრედიასა და ბათუმში. „იბერიამ“ გულთან ახლოს არ გაიკარა სტუდენტთა გასაჭირი და თსუ-ს გადათამაშებაში უცილოდ მონაწილეობის საგზური გამოუწერა, რადგან არა გვგონია ბოლო ტურში „გორდამ“ რუსთავში „გურიას“ ვერ მოუგოს და უნივერსიტეტელებისთვის მიუწვდომელი ვერ გახდეს.

აი, „ბათუმმა“ კი მეათე ეროვნულის რეკორდი დაამყარა. გასაცოდავებულ „ოდიშთან“ ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება დააფიქსირა. ქართველი გულშემატკივრები უფრო მეტის მომსწრენიც გამხდარან, მაგრამ პოკერებით ნამდვილად არ ყოფილან განებივრებულნი. ბათუმელმა „კილერმა“ ლევან ხომერიკმა კი ეს წლეულს მეორედ შეძლო, თუმც ამჯერად მხოლოდ 300 გულშემატკივარს ასიამოვნა.

პირველ ჯგუფში დარჩენისთვის შარმანდელივით გადათამაშებაში მოუწევთ გაბრძოლება ბოლნისელებს. ოთხშაბათს ვაკეში „სიონმა“ მხოლოდ 64 წუთი გაუძლო მრისხანე „ლოკომოტივს“. თუმცა შეხვედრის ბედი 59-ე წუთზე გადაწყდა. უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის სტუმრებს კახა გოდერძიშვილი გაუძევეს. კაცნაკლულები ჯერ პენალტით დაისაჯნენ, შემდეგ კი განერვიულებულებმა ორ ავტოგოლსაც გამოჰკრეს ხელი.

უგოლოდ მხოლოდ ტურის ცენტრალური მატჩი დამთავრდა. მცხეთაში „ვიტ ჯორჯიამ“ ფოთელებს უმასპინძლა. დაძაბულ შეხვედრაში მცველებმა აშკარად თავდამსხმელებზე უკეთ ითამაშეს, მეკარეებიც არ ჩამორჩნენ და ორივე გუნდმა კარი მშრალად შეინახა. ამ შედეგით „კოლხეთმა“ პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხე ადგილი. ფოთელებს ბოლო ტურში „ფაზისზე“ „იბერიასთან“ ფრეც ხელს აძლევს.

ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვა თასის ფინალისტმა „სამგურალმა“. მიუხედავად სრული სათამაშო უპირატესობისა, წყალტუბოელებმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეძლეს „არსენალის“ დამარცხება და გადათამაშებას თავი დააღწიეს.

„დინამო“ ათგზის ჩემპიონის რანგში ეწვია „დილას“ შესუსტებული შემადგენლობით. ჩემპიონებმა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულნი არ იახლეს გორში და მართალია, ოდნავ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხეს მასპინძელთა ძლევა. 4000 გულშემატკივარით გამხნევებულმა „დილამ“ დინამოელებს გასეირნების საშუალება არ მისცა. ამან კი იოჰან ბოსკამპი გაანაწყენა და საკუთარ ფეხბურთელებს იმედის გაცურებაში დასდო ბრალი.

მეათე საიუბილეო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. ბოლოსწინა ტურში 37 გოლი გავიდა. მართალია, 3 ავტოგოლი ვიხილეთ, მაგრამ... 37 გოლი ხუმრობა არ გახლავთ. აღგეს და გაგვეჯიბროს, რომელ ქვეყანასაც უნდა...

**ხვიჩა სანიძიძე**

ბათუმი
18 მაისი
18 საათი
დინამო
300 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 9:0 ოდიში

1:0 მაჭუტაძე (6), 2:0, 3:0 ხომერიკი (31, 36), 4:0 ქიქველიშვილი (44), 5:0 ხომერიკი (51), 6:0 გადელია (55), 7:0 ხომერიკი (60), 8:0 აფხაზავა (83), 9:0 რომანაძე (89)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე (მეავანაძე 46), გუჯაბიძე, სიჭინავა, რომანაძე, გადელია, მ. მახარაძე, ქიქველიშვილი, მაჭუტაძე (აფხაზავა 46), რუსია, ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ყულეჯიშვილი, მინდაძე, ღლონტი
**ოდიში:** გოგია, კაკულია, შონია, აკობია, შედანია (მებონია 46), შელია, იოსავა, კუტალია, გოგოხია, ალანია, ცაცუა
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი; კ. თბილელი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

სამტრედია
18 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

### იბერია 4:2 თსუ

1:0 ჯაფარიძე (22ს.კ.), 2:0 ლურსმანაშვილი (29), 3:0 ვ. გიგიაძე (55), 4:0 ს. გიგიაძე (79), 4:1 ადამია (82), 4:2 გოგოლაძე (85)
**იბერია:** ვარდანიძე (ა. ჩომახიძე 69), ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე (ვარდიაშვილი 52), გეგეშიძე, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 62), ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, იევჩიანი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგო:* ზ. ფხაკაძე
**თსუ:** მერლანი, ქანთარია, თ. ჯაფარიძე (კვახაძე 79), ინწკირველი, გვალია (ცინარიძე 78), ბუკია, ნინუა, პერტენავა (ქადაგიძე 57), ადამია, სვანაძე, დ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ბალიანი; დ. ჭელიძე, ემრაშვილი
**გაფრთხილება:** ვ. გიგიაძე (12), ხუჭუა (72)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. იაშვილი

ქუთაისი
19 მაისი
18 საათი
გივი კიკნაძე
1 500 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 4:0 გორდა

1:0 იმედაძე (10), მეგრელაძე (25), 3:0 იმედაძე (32), 4:0 იონანიძე (55)
**ტორპედო:** ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, მაღლაკელიძე, მაზანიშვილი, ჩხეტიანი (ჩხაბერიძე 20), კვეტენაძე (იონანიძე 46), იმედაძე, დ. ჯანაშია (კ. ჯანაშია 58), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე
*სათადარიგონი:* სტურუა; კ. მეტრეველი
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (რ. მახარაძე 46), მ. მელაძე, ჩიგოშვილი, კიტეიშვილი, ლაბაძე (მ. სახვაძე 46), ლ. ალადაშვილი
**გაფრთხილება:** ლაბაძე (8), სახვაძე (70)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

წყალტუბო
19 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 2:0 არსენალი

1:0 პეტრიაშვილი (80), 2:0 კილასონია (90)
კილასონიამ ვერ გაიტანა პენალტი (54, ააცილა)
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (მ. ჯინჭარაძე 68), ძაგნიძე, ლ. ქობულაძე, გ. კილასონია, პეტრიაშვილი (გლუნჩაძე 81), სუხიაშვილი, გ. შენგელია (ზ. ქუთათელაძე 68)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; დარსაძე, ფრანგიშვილი, ღონღაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ვ. გაგუა, ვ. გველესიანი, კოხრეიძე, მ. მაისურაძე (ყუფარაძე 73), ზირაქიშვილი (გ. სულაძე 57), ამირიძე (თვალაბეიშვილი 77), ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგო:* აბაშიძე
**გაფრთხილება:** ჩლაიძე (67)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. მეტივიშვილი (ხაშური)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

ლანჩხუთი
19 მაისი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
100 (ტევადობა 22 000)

### გურია 3:7 მერანი

0:1 ხუციშვილი (25), 0:2 ქორიძე (30), 0:3 ჯიშკარიანი (32), 1:3 მახარაძე (37პ), 2:3 ენუქიძე (39), 2:4 თოლორდავა (42), 2:5 ამბიძე (45), 2:6 დავითაშვილი (69), 3:6 დ. მახარაძე (71პ), 3:7 ამბიძე (90)
**გურია:** ნიკურაძე (რ. ჩხაიძე 46), სულაქველიძე, თ. ჩხაიძე (იმნაიშვილი 46), მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი, გულორდავა, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ღონღაძე 71), ბოლქვაძე
*სათადარიგონი:* ძოძუაშვილი, ბერძენიშვილი
**მერანი:** კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, კარიაული (ხარებავა 46), გელა ქორიძე (მელიქია 73), ჯიშკარიანი, თოლორდავა (ჭინჭარაული 46), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ლომაია; ბაჯელიძე, დ. ჭელიძე, ბერაია
**გაფრთხილება:** კოროშინაძე (70)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ს. კახიანი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

თბილისი
19 მაისი
18 საათი
მიხეილ მესხი
800 (ტევადობა 16 000)

### ლოკომოტივი 3:0 სიონი

1:0 გოგობერიშვილი (64პ), 2:0 ე. ჯაფარიძე (69ს.კ.), 3:0 სვანიძე (77ს.კ.)
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ქოიავა (წივწივაძე 46), კ. მელქაძე (დ. ბაქრაძე 46), დ. გოდერძიშვილი, გ. ლუდუშაური (კოტორაშვილი 67)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; შ. ხუჯაძე, ნ. მელაძე, გილაური
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ფ. არჩვაძე 77), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე 74), ტყავაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ლ. გაგუა, გ. ჩალაძე, ხიდაშელი
**გაფრთხილება:** მელქაძე (43)
**გაძევება:** კ. გოდერძიშვილი (59)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

გორი
19 მაისი
18 საათი
ცენტრალური
4 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 1:2 დინამო

0:1 ქებაძე (5), 1:1 სულთანიშვილი (50), 1:2 გოგიჩაიშვილი (63)
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, აკოფიანი (გუდუშაშვილი 84), გაგნიძე, მარეხაშვილი, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; არუთინიანი, ხიხალაშვილი
**დინამო:** ბათიაშვილი, ლ. მიქაძე, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე, ტულუში, შ. ჩომახიძე (ა. მუჯირი 65), წიტაიშვილი (გ. მიქაძე 65), გოგიჩაიშვილი, ქებაძე
*სათადარიგონი:* გვარამაძე; აბრამიძე, მ. მაჭავარიანი
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. დოლიძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

მცხეთა
19 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:0 კოლხეთი

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ნოზაძე 55), დ. დოლიძე, მაზიაშვილი (ა. ბოკერია 65), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, ერაძე
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია (ჩადუნელი 46), ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ამაშუკელი 67), ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, შალამბერიძე, ბულუხია, კალანდაძე, შავგულიძე (ე. გვასალია 58), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, პაპავა, ჩაგანავა
**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (54), ე. გვასალია (71), ბულუხია (90)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. სილაგავა; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 24 | აუშეთია | *დინამო* |
| 20 | დ. მახარაძე | *გურია* |
| 18 | ხომერიკი | *ბათუმი* |
| 16 | იონანიძე | *ტორპედო* |
| 14 | მეგრელაძე | *ტორპედო* |
| | დ. ჯანაშია | *ტორპედო* |
| 13 | ე. გვასალია | *კოლხეთი* |
| | წივწივაძე | *ლოკომოტივი* |
| 12 | ალექსიძე | *დინამო* |
| | ზირაქიშვილი | *არსენალი* |

### სიმბოლური ნაკრები

გიორგი იმედაძე *ტორპედო*
დავით გოდერძიშვილი *ლოკომოტივი*
ალექსანდრე გოგობერიშვილი *ლოკომოტივი*
ლევან ხომერიკი *ბათუმი*
ბახვა ამბიძე *მერანი*
ვასილ გიგიაძე *იბერია*
ოთარ ხიზანეიშვილი *დინამო*
ირაკლი ბარქაია *ვიტ ჯორჯია*
ჯონი შალამბერიძე *კოლხეთი*
პაატა ჯინჭარაძე *დინამო*
ოთარ ვარდანიძე *იბერია*
გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: იოჰან ბოსკამპი *დინამო*

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 29 | 23 | 5 | 1 | 85:17 | +68 | 74 | 14 | 12 | 2 | 0 | 55:10 | +45 | 38 | 15 | 11 | 3 | 1 | 30:7 | +23 | 36 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 29 | 20 | 4 | 5 | 71:26 | +45 | 64 | 15 | 12 | 2 | 1 | 41:9 | +32 | 38 | 14 | 8 | 2 | 4 | 30:17 | +13 | 26 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 29 | 17 | 10 | 2 | 39:13 | +26 | 61 | 15 | 10 | 5 | 0 | 21:4 | +17 | 35 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:9 | +9 | 26 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 29 | 14 | 7 | 8 | 54:35 | +19 | 49 | 14 | 10 | 1 | 3 | 35:12 | +23 | 31 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:23 | -4 | 18 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 28 | 11 | 11 | 6 | 44:20 | +24 | 44 | 14 | 8 | 5 | 1 | 34:7 | +27 | 29 | 14 | 3 | 6 | 5 | 10:13 | -3 | 15 |
| 6 მერანი (7) | 7 | 29 | 11 | 9 | 9 | 33:29 | +4 | 42 | 14 | 6 | 5 | 3 | 11:7 | +4 | 23 | 15 | 5 | 4 | 6 | 22:22 | 0 | 19 |
| 7 ვიტ ჯორჯია (10) | 6 | 29 | 13 | 5 | 11 | 39:28 | +11 | 41 | 15 | 7 | 3 | 5 | 19:11 | +8 | 24 | 14 | 6 | 2 | 6 | 20:17 | +3 | 20 |
| 8 იბერია (დ) | 9 | 29 | 11 | 5 | 13 | 44:45 | -1 | 38 | 15 | 6 | 4 | 5 | 25:17 | +8 | 22 | 14 | 5 | 1 | 8 | 19:28 | -9 | 16 |
| 9 არსენალი (დ) | 8 | 29 | 9 | 11 | 9 | 34:43 | -9 | 38 | 14 | 4 | 7 | 3 | 18:20 | -2 | 19 | 15 | 5 | 4 | 6 | 16:23 | -7 | 19 |
| 10 დილა (9) | 10 | 29 | 10 | 5 | 14 | 37:50 | -13 | 35 | 15 | 7 | 2 | 6 | 24:19 | +5 | 23 | 14 | 3 | 3 | 8 | 13:31 | -18 | 12 |
| 11 სამგურალი (12) | 12 | 29 | 10 | 3 | 16 | 32:51 | -19 | 33 | 15 | 6 | 1 | 8 | 17:20 | -3 | 19 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:31 | -16 | 14 |
| 12 გორდა (11) | 11 | 29 | 7 | 10 | 12 | 26:44 | -18 | 31 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:19 | -2 | 20 | 15 | 2 | 5 | 8 | 9:25 | -16 | 11 |
| 13 სიონი (13) | 13 | 29 | 7 | 7 | 15 | 26:50 | -24 | 28 | 14 | 5 | 6 | 3 | 16:14 | +2 | 21 | 15 | 2 | 1 | 12 | 10:36 | -26 | 7 |
| 14 თსუ (8) | 14 | 28 | 6 | 9 | 13 | 25:38 | -13 | 27 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:23 | -5 | 15 | 14 | 2 | 6 | 6 | 7:15 | -8 | 12 |
| 15 ოდიში (5) | 15 | 29 | 6 | 2 | 21 | 20:67 | -47 | 20 | 14 | 4 | 1 | 9 | 13:25 | -12 | 13 | 15 | 2 | 1 | 12 | 7:42 | -35 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 29 | 3 | 3 | 23 | 32:85 | -53 | 12 | 15 | 3 | 1 | 11 | 21:40 | -19 | 10 | 14 | 0 | 2 | 12 | 11:46 | -35 | 2 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

Cup Winners' Cup

# მარადიული სასუფეველი მარადიულ ქალაქში

რᲝᲒᲝრᲪ იქნა, „ლაციომ“ ამოისუნთქა. რომაულ კლუბს სკუდეტოს დაკარგვის შემთხვევაში (ალბათ ასეც მოხდება) საკუთარი გულშემატკივრებისთვის თვალის გასწორება აღარ გაუჭირდება. იგივეს თქმა შეიძლება გუნდის შვედ თავკაც სვენ გორან ერიკსონსა და პრეზიდენტ სერჯო კრანიოტიზე.

თავად განსაჯეთ: სეზონის დასაწყისში კლუბმა უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა დაისახა მიზნად. ამისთვის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ფულია საჭირო და ერიკსონიც კრანიოტის მიადგა — ფული მომეცი, ნათელი მომავალი თუ გინდა გვქონდესო. პრეზიდენტმაც, რაზეა ლაპარაკიო და ქართული ხელგაშლილობით გაიკრა ჯიბეზე ხელი. ახლა გავიხსენოთ „ლაციოს“ ახალი შენაძენები — კრისტიან ვიერი (30 მილიონი დოლარი), მარსელო სალასი (25 მილიონი), დეიან სტანკოვიჩი (15 მილიონი), სინიშა მიჰაილოვიჩი (15 მილიონი), ფერნანდო კოუტუ (15 მილიონი). ელემენტარულ არითმეტიკას თუ ფლობთ, გამოთვლიდით, რომ ჯამში 100 მილიონი დოლარი (!) გამოვიდა.

და რა მოხდებოდა, „ლაციოს“ თასების თასის უკანასკნელი გათამაშების ფინალში ესპანურ „მალიორკასთან“ რომ წაეგო? პირველ ყოვლისა ის, რომ ზემოხსენებულ ასტრონომიული თანხა წყალში ჩაიყრებოდა, ვინაიდან რომაელები იტალიის თასისთვის ბრძოლასაც გამოეთიშნენ და სერია


REUTERS ბირმინგემიდან

რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი და ბირმინგემული ფინალის გმირი პაველ ნედვედი

A-შიც ხელიდან ეცლებათ დიდი ხნის ნანატრი სკუდეტო. ფულს რომ თავი გავანებოთ, პრესტიჟის ამბავია — მდიდარი, უმაღლესი დონის ვარსკვლავებით გადავსებული, სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერი კლუბი ისტორიულ მატჩში აგებს „ვილაც“ „მალიორკასთან“. მაგრამ „ლაციო“, მისი ფეხბურთელები, მწვრთნელები, პრეზიდენტი გადარჩნენ. რომაელებმა თასი მოიგეს.

— დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. მიუხედავად „მალიორკასადმი“ უდიდესი სიმპათიისა, სხვაგვარად არ შეიძლებოდა, მომხდარიყო, უფლება არ გვქონდა. ნურავის ეგონება, ამით დავკმაყოფილდებით, ვინაიდან ჩვენ მთავარ მიზნად მაინც იტალიის ჩემპიონობა რჩება. საერთოდ, როდესაც ერთ ტიტულს იგებ, მეორეზეც ფიქრობ, მისი დაუფლების სურვილი გიჩნდება. ასეა ჩვენს შემთხვევაში — ამბობს ერიკსონი, რომელიც ბირმინგემულ მატჩს ჭარხალივით აწითლებული ადევნებდა თვალყურს.

ეს გამარჯვება, რომელიც „ლაციოსთვის“ პირველია ევროსარბიელზე, მარტო გუნდისთვის არ არის მნიშვნელოვანი. ამით მთელმა იტალიამ გაიხარა, რადგან ჯერ ერთი — მიმდინარე სეზონში „ლაციო“ მეორე აპენინური გუნდია „პარმას“ შემდეგ, ვინც ევროპაში [illegible], მეორეც — „[illegible] პარკზე“ მოპოვებული თასი იტალიელთათვის, 26-ე კონტინენტური ჯილდოა და ამ მაჩვენებლით მათ ინგლისელებს გადაუსწრეს.

„გაძეტა დელო სპორტი“ წერს:

— დიდი მადლობა პაველ ნედვედს. უსახური სეზონი მან ფეხის ერთი მონევით გამოისყიდა. იანვარში მისი ყიდვა მადრიდის „ატლეტიკოს“ სურდა, 20 მილიონ დოლარსაც იხდიდა და ორივე კლუბიც თანახმა იყო. მხოლოდ ნედვედმა არ ისურვა წასვლა, ძალიან მინდა, „ლაციოსთან“ ერთად ტიტული მოვიპოვოო. კიდევ კარგი, არ წავიდა, თავადაც აისრულა ნატვრა და მთელი იტალიაც გაახარა.

მარსელო სალასი, „ლაციოს“ ჩილელი ფორვარდი:

— ძალიან მომეწონა „მალიორკა“, ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს, თუმცა დღესდღეობით „ლაციო“ შედარებით ძლიერია, ალბათ, გამოცდილება აქვს მეტი. რაც შეეხება ნედვედს, მისი გოლი უბრალოდ ფანტასტიკური იყო, თანაც მოულოდნელი. უზომოდ მიხარია თასის აღება, მაგრამ ჩემი ფიქრები მაინც სკუდეტოს დასტრიალებს.

ფინალის გმირი ერიკსონმაც შეაქო:

— იმ მომენტში საერთოდ არ ველოდი, თუ გოლი გავიდოდა, ამიტომ ორმაგად გამიხარდა, როცა ბურთი კარში შევარდნილი დავინახე. ასეთი გოლების გატანა მხოლოდ ნედვედის დარ ოსტატებს ძალუძთ. ეს თასების თასის უკანასკნელი გათამაშება იყო, დღემდე ვერავინ შეძლო მისი სამუდამოდ დაპატრონება და უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ეს პატივი ჩვენ გვხვდა წილად. ამიერიდან ეს ლამაზი თასი რომში იქნება და მას ველარავინ წაგვართმევს.

მაშ ასე, ბედნიერია ერიკსონი, ბედნიერია მთელი „ლაციო“, ბედნიერია სრულიად იტალია.

თასების თასმა მარადიული სასუფეველი მარადიულ ქალაქში ჰპოვა.

**დავით ძოვზირიძე**

# ესპანეთში გლოვობენ და ამაყობენ


REUTERS ბირმინგემიდან

ნორჩმა მალიორკელმა ქომაგებმა საყვარელი გუნდის წაგება ასე განიცადეს




არიელ იბაგასას ლუის კარერასი ამშვიდებს

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ პრესის თანახმად თასების თასის ფინალში იტალიურ „ლაციოსთან“ დამარცხებული „მალიორკა“ არც მეტი, არც ნაკლები, გათამაშების მორალური ჩემპიონია.

„უსამართლო, საოცრად სამწუხარო დამარცხებაა“ — წერდა „ელ მუნდო“ — „თუ თამაშის 90 წუთს ერთიანად განვიხილავთ, „ლაციომ“ არ უნდა თქვას, თასი მოვიგეო, არადა მთელი მალიორკა ცრემლებად ილვრება“.

„მალიორკელებს სრული უფლება აქვთ თავი ძალიან მაღლა აწიონ, რამეთუ მათ თასის ფინალში ამბიციით და ღირსეულად ითამაშეს“ — ეს წინადადება კი ბარსელონაში გამომავალი ყოველდღიური გაზეთიდან, „სპორტიდან“ არის გადმოთარგმნილი.

ასეთივე პოზიცია ჰქონდა ესპანეთის ყველაზე დიდტირაჟიან გაზეთ „მარკას“: „მალიორკელები ფინალში დამარცხებას არ იმსახურებდნენ. მატჩის უმეტეს ხანს სწორედ ისინი ფლობდნენ უპირატესობას და მხოლოდ ნედვედის ყისმათა გოლის გამო წააგეს“.

ქვეყნის სატელევიზიო არხები დაუსრულებლად იმეორებდენ რომაელი ჩეხის გოლს და ეპიზოდს დეტალურად არჩევდენ. დასკვნა ასეთი გახლდათ: ავსტრიელ მსაჯს, გიუნტერ ბერკოს იმ მომენტში, როდესაც კრისტიან ვიერიმ ნედვედს თავით ბურთი დაუგდო, „მალიორკას“ სასარგებლოდ ჯარიმის დანიშვნა მართებდა. ამას დაემატა ესპანური რადიოს ღამის სატელეფონო ჩართვები ბირმინგემიდან, რომელშიც ისმოდა მტკიცება, რომ ვიერიმ მალიორკელ მცველს, გუსტავო სივიეროს ბურთვისთვის ბრძოლაში იდაყვი ჰკრა.

საყოველთაო ღელვისა და გოდების მიუხედავად დამარცხებული ფინალისტი არგენტინელმა მწვრთნელმა ეკტორ კუპერმა ვაჟკაცურად განაცხადა:

„ჩვენ გვქონდა გოლის გატანის შესაძლებლობანი. ასეთი მომენტები მეტოქესაც ჰქონდა, მაგრამ იღბალი ხან შენსკენ იქნება, ხან არა. ლორენის შემთხვევაში ჩვენ ბედმა გვიმტყუნა, „ლაციოს“ კი ნედვედის დარტყმის დროს გაუმართლა. მეორე ნახევრის უმეტეს ხანს თამაშის სადავეები „მალიორკას“ ეპყრა და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გავიმარჯვებდით, რადგან მეტოქე შეტევისთვის ხელსაყრელ მომენტებს ხშირად ვერ იყენებდა, მაგრამ წავაგეთ. რა გაეწყობა, ასეთია ცხოვრება“.

„მალიორკას“ პრეზიდენტი გილერმო რეინესი:

„ვამაყობ ჩემი გუნდით, მაგრამ ბედნიერებისგან ძალიან შორს ვარ“.

**ბაბუნა ძიდია**

# გრცხვენოდეთ, ბრწყინვალე არგენტინელებო



ხოსე ლუის ჩილავერტი

პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი არგენტინულმა სასამართლომ 1994 წელს მომხდარი ინციდენტისთვის მკაცრად დასაჯა. „ველეს სარსფილდის“ კარის მცველს სამთვიანი პირობითი პატიმრობა არ აკმარეს და 13 თვით აუკრძალეს არგენტინაში ფეხბურთის თამაში.

„ყველა არგენტინელს მსურს განვუცხადო, რომ თავიანთი თემიდის უნდა რცხვენოდეთ. იმასთან, რაც 1994 წელს მოხდა საერთო არაფერი მაქვს“ — განაცხადა „ველესის“ ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებთან მოსაუბრე ექსცენტრულმა პარაგვაელმა — „სინდისი სუფთა მაქვს. მე ხომ არავისთან მიჩხუბია, არავინ გამიძარცვია და არც ვინმე მომიკლავს. აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოქალაქე გახლავართ, გადასახადებს მორჩილად ვიხდი და არავისთვის მიმიცია ჩემსკენ თითის მოშვერის საბაბი. არგენტინა ბრწყინვალე ქვეყანაა, რომელსაც ასეთი სამარცხვინო მართლმსაჯულების ყოლა არ ეკადრება“.

ჩილავერტმა, რომელსაც სასჯელი ხუთი წლის წინ, „ხიმნასია ლა პლატასთან“ თამაშის დროს, სტადიონის თანამშრომლის ცემისთვის მიუსაჯეს, დიეგო მარადონასაც გაჰკრა კბილი. საბაბი ჟურნალისტებმა მისცეს, როდესაც ჰკითხეს თქვენს მდგომარეობას ხომ არ შეადარებდით მარადონასას, როდესაც ის დოპინგ-ტესტზე გამოჭირეს და ფეხბურთიდან მოკვეთესო. მეკარეს გაახსენეს დიეგოს მაშინდელი სიტყვები, თავს ფეხმოჭრილად ვგრძნობო.

„ჩემთვის ფეხები არავის მოუჭრია. ჯერ ცოცხალი ვარ და ძველებურად ვაზროვნებ. არც ნარკომანი გახლავართ, არც ლოთი და რაც ყველაზე მთავარია, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში შემიძლია კარიერის გაგრძელება“ — უპასუხა ჩილავერტმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ არგენტინის საფეხბურთო წრეებში ერთგვარი შეცბუნება გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც წესით უნდა წყვეტდეს მოთამაშეთა დისკვალიფიკაციის საკითხებს, არავინ არაფერს დაკითხვია და მისთვის ოფიციალურად არც შეუტყობინებიათ პარაგვაელის ფეხბურთიდან 13 თვიანი გაძევების შესახებ. არადა, მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის თვითმპყრობელი, ფიფა, ვერ იტანს, როდესაც მის საქმეში სახელმწიფო სტრუქტურა ერევა.

გაგიკვირდებოდათ, რატომ გაასამართლეს ჩილავერტი 1994 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის 1999 წელს. სად იყვნენ აქამდე? საქმე ის გახლავთ, რომ სასამართლო განხილვა 1996 წელს შედგა და ვერდიქტიც მაშინდელია, მაგრამ ჩილავერტის ვექილებს საფუძვლიანი აპელაცია ჰქონდათ შედგენილი და მას მერე საქმე უზენაესი სასამართლოს სეიფებსა და მაგიდის უჯრებში ტრიალებდა. ასე, რომ ახლანდელი განაჩენი ძალაში დატოვებული ძველი გახლავთ. უზენაესმა სასამართლომ 1996 წლის ვერდიქტი არ შეცვალა.

ჩილავერტს კარიერის უდიდესი ნაწილი მისთვის ასე საყვარელ და იმავდროულად საძულველ არგენტინაში აქვს გატარებული. 1996 წელს, როდესაც ამ ქვეყნის სასამართლომ თავდაპირველი განაჩენი გამოიტანა, გოლკიპერმა განაცხადა, რომ ეს სხვა არაფერია თუ არა პარაგვაელთა ეროვნული ჩაგვრა. მაშინ ჩილავერტი ამტკიცებდა, რომ არგენტინელებს პარაგვაელები შავ მუშებად და მდიდართა სახლების დამლაგებლებად ეგულებათ.

საერთოდ, ჩილავერტი, გაზეთების პირველ გვერდზე ხშირად მოხვდრილა. ამის მიზეზი ხშირად მისი სკანდალური გამონათქვამები იყო, მაგრამ არცთუ იშვიათი გახლდათ გოლები, რომლებიც მას, მეკარეს (!) გაჰქონდა. კლუბსა თუ ნაკრებში მოედანზე გამოჩენის დღიდან პენალტებისა და ჯარიმების უბადლო ოსტატს 40-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხოსე ლუის ჩილავერტმა საქვეყნო სიმპატია დაიმსახურა. მისი კაპიტნობით პარაგვაის ნაკრები მერვედფინალში გავიდა, სადაც მომავალ ტრიუმფატორთან, საფრანგეთის ნაკრებთან, დამატებით დროშიღა წააგო.

## ლიბერტადორესის თასი
### ნახევარფინალის პირველი მატჩები

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 4:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**
1:0 კასტილიო (35), 2:0 კანდელო (46), 3:0 კორდობა (81), 4:0 პერესი (88)

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 პალმეირასი (ბრაზილია)**
1:0 ბერტი (48)



რივერ პლეიტი — პალმეირასი 1:0. სერხიო ბერტიმ (№11) ერთადერთი გოლი გაიტანა

## საბერძნეთი

32-ე ტური: ქსანტი — ოლიმპიაკოსი 0:2; პანათინაიკოსი — პანელეფსინიაკოსი 2:0; ირაკლისი — აეკ 2:3; პროდეფტიკი — პაოკ 2:1; ეთნიკოსი (ასტირი) — პანიონიოსი 2:2; პანილიაკოსი — იონიკოსი 1:4; ოფი — არისი 2:4. ვერია — კავალა და ეთნიკოსი (პირეოსი) — აპოლონი გუშინ გვიან ღამით დასრულდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 32 | 26 | 3 | 3 | 78:21 | 81 |
| აეკ | 32 | 22 | 5 | 5 | 69:26 | 71 |
| პანათინაიკოსი | 32 | 21 | 5 | 6 | 62:34 | 68 |
| არისი | 32 | 18 | 3 | 11 | 49:40 | 57 |
| პაოკ | 32 | 17 | 5 | 10 | 44:30 | 56 |
| იონიკოსი | 32 | 16 | 8 | 8 | 61:35 | 56 |
| ქსანტი | 32 | 15 | 8 | 9 | 42:31 | 53 |
| ოფი | 32 | 15 | 3 | 14 | 46:41 | 48 |
| ირაკლისი | 32 | 12 | 8 | 12 | 49:41 | 44 |
| კავალა | 31 | 11 | 6 | 14 | 44:58 | 39 |
| ეთნიკოსი (ა) | 32 | 11 | 6 | 15 | 38:52 | 39 |
| პროდეფტიკი | 32 | 9 | 9 | 14 | 26:34 | 36 |
| პანილიაკოსი | 32 | 10 | 5 | 15 | 34:51 | 35 |
| აპოლონი | 31 | 8 | 9 | 14 | 38:56 | 33 |
| პანიონიოსი | 32 | 9 | 8 | 18 | 41:51 | 32 |
| პანელეფსინ. | 32 | 5 | 11 | 16 | 19:47 | 26 |
| ვერია | 31 | 5 | 5 | 21 | 18:52 | 20 |
| ეთნიკოსი (პ) | 31 | 0 | 8 | 23 | 15:73 | 8 |

## სლოვენია

30-ე ტური: მურა — ბელტინჩი 1:2; კოროტანი — მარიბორი 1:0; ოლიმპია — აიდოვშინა 1:0; ტრიგლავი — კოპერი 0:3; დომჟალე — ცელიე 2:1; ველენიე — ნოვა გორიცა 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 30 | 16 | 5 | 9 | 65:29 | 57 |
| ნოვა გორიცა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:28 | 56 |
| მურა | 30 | 15 | 5 | 10 | 51:29 | 50 |
| ველენიე | 30 | 14 | 8 | 8 | 37:27 | 50 |
| კოროტანი | 30 | 13 | 6 | 11 | 39:41 | 45 |
| ოლიმპია | 30 | 12 | 6 | 12 | 47:42 | 42 |
| აიდოვშინა | 30 | 11 | 7 | 12 | 35:36 | 40 |
| დომჟალე | 30 | 9 | 9 | 12 | 34:44 | 36 |
| ცელიე | 30 | 8 | 11 | 11 | 24:31 | 35 |
| ბელტინჩი | 30 | 9 | 5 | 16 | 33:55 | 32 |
| კოპერი | 30 | 7 | 7 | 16 | 29:55 | 28 |
| ტრიგლავი | 30 | 5 | 9 | 16 | 25:30 | 24 |

## ფეხბურთის რუკასთან

შვედეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურის ერთი შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა. „ერებრუმ“ უმასპინძლა „ელფსბორგს“ და 1:0 იმარჯვა. ჩემპიონატს 14 ქულით დაუმარცხებლად ლიდერობს „ორგრიტე“. 12 ქულით მეორეზეა „კალმარი“, ხოლო მასზე ერთი ქულით ნაკლები აქვს და მესამე ადგილზეა „ტრელებორგი“.

პოლონეთის თასის გათამაშების ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრები ოთხშაბათს შედგა. ხოჟუვში ადგილობრივმა „რუხმა“ 0:1 დათმო მატჩი ბელხატოვის გკს-თან. ორი ნახევარფინალური თამაშის ჯამში ფინალშიასპარეზობის უფლება ბელხატოველებმა მოიპოვეს. ლოძში „ვიძევმა“ ფრედ 1:1 დაასრულა მატჩი ვრონკის „ამიცასთან“. რადგან პირველი თამაში ამავე ანგარიშით დასრულდა, დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც ვრონკის გუნდმა 8:7 მოიგო. 13 ივნისს, ფინალში, ბელხატოვის გკს და ვრონკის „ამიცა“ შეხვდებიან.

ისრაელის თასის მფლობელი პენალტების სერიამ გაარკვია. თელ ავივის „ჰაპოელმა“ და იერუსალიმის „ბეითარმა“ ფრედ 1:1 ითამაშეს, თუმცა თერთმეტმეტრიანებით 3:1 „ჰაპოელმა“ მოიგო და თასსაც დაეუფლა. ეს თელ ავივის კლუბის მერვე გამარჯვება გახლდათ ქვეყნის თასზე.

გერმანიის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა განაცხადა, რომ ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსხმელი ულფ კირსტენი ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩისშემდგომი უსაქციელობისთვის არ დაისჯება. „დუისბურგთან“ ფრედ 0:0 დასრულებული თამაშისას, როცა კირსტენი შეცვალეს, მან უკმაყოფილო ქომაგებს შუათითი უჩვენა. თავდაპირველად ქვეყნის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი კირსტენს დისკვალიფიკაციით და ფულადი ჯარიმით დასჯასაც უპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ ულფ კირსტენი თბილისში ორჯერაა ნამყოფი — როგორც გერმანიის ნაკრების და როგორც „ლევერკუზენის“ თავდამსხმელი.

იუგოსლაველი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი, ალბათ, მადრიდის „ატლეტიკოდან“ მილანის „ინტერში“ გადაბარგდება. ესპანური პრესის ცნობით, იგი მილანელებთან ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, რომლის სანაცვლოდაც 7,6 მილიონ დოლარს მიიღებს. გაზეთი „მარკა“ იტყობინება, რომ იუგოვიჩის სანაცვლოდ „ინტერმა“ „ატლეტიკოს“ შესაძლოა ტარიბო ვესტი ანაც იური ჯორკაეფი დაუთმოს. მას შემდეგ, რაც მიმდინარე სეზონის წინ ვლადიმირ იუგოვიჩი რომის „ლაციოდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა, მისი საქმე ვერა და ვერ აეწყო. დღესდღეობით იგი ტრავმირებულია. „ახლა მხოლოდ ჯანმრთელობაზე ვფიქრობ. ჩემთვის მთავარია, დროზე მოვირჩინო ტრავმა“ — განაცხადა ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ იუგოვიჩი „ინტერის“ მომავალ მწვრთნელ მარჩელო ლიპისთან ადრე „იუვენტუსში“ თამაშობდა.

ჰოლანდიელი თავდამსხმელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი თვის ბოლოს მუხლის ოპერაციას გაიკეთებს. პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა (მანჩესტერელ დუაიტ იორკთან და ლივერპულელ მაიკლ ოუენთან ერთად) წლეულს ძნელი სეზონი გადაიტანა, რაც ჩემპიონატის მიწურულს მუხლის ტრავმით დასრულდა. ფლოიდ ჰასელბაინკი ჰოლანდიის ნაკრებსაც დააკლდება — ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლები შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალნი არიან და ივნისში ბრაზილიაში აწყობენ ტურნეს. ფლოიდ ჰასელბაინკის გარდა, ჰოლანდიის ნაკრებს სავარაუდოდ დენის ბერხკამპიც არ ეყოლება, რომელსაც როგორც ცნობილია თვითმფრინავით ფრენის ეშინია. შეგახსენებთ, რომ ჰასელბაინკი „ლიდს იუნაიტედში“ გადასვლამდე პორტუგალიურ „ბოავიშტაში“ თამაშობდა და ამ გუნდის შემადგენლობაში თბილისშიც ითამაშა, 1995-96 წლების სეზონში, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „დინამოს“ წინააღმდეგ.

იტალიის ჩემპიონატში დარჩენისთვის მებრძოლი „პერუჯა“ ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეიდან“ იუგოსლაველი ნახევარმცველის, დეიან სტეფანოვიჩის გადაბირებას აპირებს. იუგოსლაველმა პრემიერლიგის კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ამიტომაც ტოვებს ნისლიან ალბიონს. „პერუჯას“ წარმომადგენლის თქმით, დეიან სტეფანოვიჩი გუნდთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

პორტუგალიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა „ბენფიკამ“ ბრიტანელი მწვრთნელის, გრემ სუნესის გაგდების შემდეგ კლუბში შეკრებილი ბრიტანელი ფეხბურთელების გასხვისება დაიწყო. პორტუგალიელები დასთანხმდნენ ლონდონის „ვესტ ჰემის“ წინადადებას და მილიონი გირვანქის სანაცვლოდ მას გარი ჩარლზს დაუთმობენ. ორ კლუბს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და ტრანსფერიც ამ დღეებში შედგება. „ვესტ ჰემის“ წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ დაინტერესებულია ლივერპულის „ევერტონში“ მოთამაშე ხორვატი მცველით — სლავენ ბილიჩით.

იტალიის ბოლო წლების ერთ-ერთი ძლიერი კლუბის, „უდინეზეს“ მწვრთნელმა ფრანჩესკო გუიდოლინმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. რამდენიმე დღის წინ იგი უდინეს კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა და ხელშეკრულების 2002 წლამდე გაგრძელების თაობაზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ გუიდოლინი მას შემდეგ გახდა „უდინეზეს“ მწვრთნელი, რაც ალბერტო ძაკერონი „მილანში“ გადავიდა.

ბრაზილიის „კორინთიანსის“ ახალგაზრდა მცველ სილვინიოთი ლონდონის „არსენალი“ დაინტერესდა. ინგლისური კლუბის მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ თავისი კლუბის დაცვის თამაში არ აკმაყოფილებს და სილვინიოში დიდ ძალას ხედავს. შეგახსენებთ, რომ ახლახან დასრულებულ ინგლისის ჩემპიონატში „არსენალმა“ მხოლოდ და მხოლოდ 17 გოლი გაუშვა. სილვინიო, რომელიც ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა, „კორინთიანსში“ მარჯვენა მცველადაა გამწესებული.

ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ ორ მატჩში თავდამსხმელი კევინ ფილიპსი დააკლდება. „სანდერლენდის“ ფორვარდი ამას წინათ „ლივერპულთან“ საქველმოქმედო თამაშში დაშავდა. მას მუხლის ჯვარედინი მყესების ტრავმა დაუდგინეს. ცნობისთვის: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ინგლისი 5 ივნისს შვედეთს მასპინძლობს, ოთხი დღის შემდეგ კი ბულგარეთს სტუმრობს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი ლონდონის ჩემპიონია!



მორიგი, რა თქმა უნდა დაძაბული, ლონდონური დერბი: „ტოტენჰემი" — „ჩელსი" 2:2

**არსენალი**

მთავარი მწვრთნელი 49 წლის არსენ ვენგერი; 1996 წლის სექტემბრიდან სტადიონი „ჰაიბერი" - 38 500

**ჩელსი**

მწვრთნელი 34 წლის ჯანლუკა ვიალი; 1998 წლის თებერვლიდან; სტადიონი „სტემფორდ ბრიჯი" - 41 000

**უიმბლდონი**

მთავარი მწვრთნელი 52 წლის ჯო კინიარი; 1992 წლის იანვრიდან სტადიონი „სელჰარსტ პარკი" - 26309

**ჩარლტონი**

მთავარი მწვრთნელი 41 წლის ალან კერბიშლი; 1995 წლის ივნისიდან სტადიონი „ველი გრაუნდი" - 20 000

**ვესტ ჰემი**

მთავარი მწვრთნელი 52 წლის ჰარი რედნაპი; 1994 წლის აგვისტოდან სტადიონი „ეპტონ პარკი" - 26 012

**ტოტენჰემი**

მთავარი მწვრთნელი 54 წლის ჯორჯ გრემი; 1998 წლის ოქტომბრიდან სტადიონი „უაით ჰართ ლეინი" - 36 200

დასრულდა პრემიერლიგის გათამაშება და მასთან ერთად „სარბიელის" მიერ სეზონის შუაში შემოთავაზებული ლონდონის ჩემპიონატიც, რომელიც პრემიერლიგის გათამაშებაზე ნაკლებად დაძაბული ნამდვილად არ ყოფილა. როგორც მაშინ დაგპირდით, ჩვენი იმპროვიზირებული ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს გამცნობდით და აი, ამის დროც მოვიდა.

ინგლისის უძლიერეს ლიგაში გასულ სეზონში მოთამაშე ექვსი ლონდონური კლუბის ურთიერთშეხვედრებიდან გაირკვა, რომ მათ შორის საუკეთესო ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „არსენალია". დედაქალაქის ჩემპიონი სწორედ არსენ ვენგერის გუნდი გახდა, რომელიც მხოლოდ ერთხელ დამარცხდა თანაქალაქურ „უიმბლდონთან" XIV ტურში. მეორე პრემიერლიგის მესამეადგილოსანი „ჩელსი" გახლავთ, ხოლო საპატიო მესამე საფეხურზე პრემიერლიგაში მე-16 „უიმბლდონი" აღმოჩნდა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მეოთხე აწ უკვე პირველდივიზიონელი „ჩარლტონია", რომელმაც ჩამოიტოვა „ვესტ ჰემი" (პრემიერლიგაში V ადგილი) და ლიგის თასის მფლობელი „ტოტენჰემ ჰოთსფური". ეს უკანასკნელი (ჩვენ შემთხვევაში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თანაქალაქელებთან შეხვედრებში ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა და მხოლოდ ერთხელ იმარჯვა, XXX ტურში სტუმრად „ჩარლტონთან".

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ლონდონის ჩემპიონატი არ არის ოფიციალური ტურნირი, მისი არსებობის შესახებ შეიძლება ამ დიდებულ ქალაქში არც კი იციან, ვინაიდან მის მსვლელობაზე თვალ-ყურის დევნების და შედეგების გაცნობის იდეა „სარბიელს" ეკუთვნის.

**დავით ქოქზირიძე**

## ინგლისი

I ტური

**უიმბლდონი 3:1 ტოტენჰემი**

1:0 ერლი (48), 2:0 ეკოკუ (59), 2:1 ფოქსი (74), 3:1 ეკოკუ (80)

III ტური

**არსენალი 0:0 ჩარლტონი**

IV ტური

**ჩელსი 0:0 არსენალი**

**ვესტ ჰემი 3:4 უიმბლდონი**

1:0 ჰართსონი (7), 2:0, 3:0 რაიტი (14, 27), 3:1 გეილი (30), 3:2 იუელი (64), 3:3 გეილი (77), 3:4 ეკოკუ (81)

IX ტური

**ჩელსი 2:1 ჩარლტონი**

1:0 ლებეფი (18პ), 1:1 იუდსი (58), 2:1 პოიეტი (88)

X ტური

**ჩარლტონი 4:2 ვესტ ჰემი**

0:1 რაიტი (17), 1:1 ტილერი (29), 1:2 ბერკოვიჩი (40), 2:2 მილსი (73), 3:2 ჰანტი (87), 4:2 რედფირნი (90პ)

XI ტური

**ტოტენჰემი 2:2 ჩარლტონი**

0:1 ჰანტი (32), 1:1 ნილსენი (50), 2:1 არმსტრონგი (58), 2:2 ჰანტი (75)

XII ტური

**ვესტ ჰემი 1:1 ჩელსი**

1:0 რადოკი (4), 1:1 ბაბაიარო (76)

XIII ტური

**არსენალი 0:0 ტოტენჰემი**

**ჩელსი 3:0 უიმბლდონი**

1:0 ძოლა (32), 2:0 პოიეტი (55), 3:0 პეტრესკუ (70)

XIV ტური

**უიმბლდონი 1:0 არსენალი**

1:0 ეკოკუ (77)

XV ტური

**ვესტ ჰემი 2:1 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 სინკლერი (39, 46), 2:1 არმსტრონგი (72)

XVIII ტური

**ჩელსი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 პოიეტი (80), 2:0 ფლო (90)

XIX ტური

**არსენალი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ოვერმარსი (7)

**უიმბლდონი 2:1 ჩარლტონი**

0:1 რედფირნი (29), 1:1 იუელი (33), 2:1 ჰიუზი (51)

XX ტური

**ჩარლტონი 0:1 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (53პ)

XXII ტური

**ტოტენჰემი 0:0 უიმბლდონი**

XXIII ტური

**არსენალი 1:0 ჩელსი**

1:0 ბერხკამპი (32)

**უიმბლდონი 0:0 ვესტ ჰემი**

XXIV ტური

**ვესტ ჰემი 0:4 არსენალი**

0:1 ბერხკამპი (35), 0:2 ოვერმარსი (45), 0:3 ანელკა (83), 0:4 პარლოუ (87)

**ჩარლტონი 2:0 უიმბლდონი**

1:0 პრინგლი (37), 2:0 ბლექველი (69ს.კ.)

XXIX ტური

**ჩელსი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 კიტსონი (75)

XXX ტური

**ჩარლტონი 1:4 ტოტენჰემი**

1:0 კინსელა (5), 1:1 ივერსენი (57), 1:2 კემპბელი (79), 1:3 დომინგუში (89), 1:4 ჟინოლა (90)

XXXI ტური

**ჩარლტონი 0:1 ჩელსი**

0:1 დი მატეო (11)

XXXII ტური

**ვესტ ჰემი 0:1 ჩარლტონი**

0:1 სტიუარტი (35)

XXXIII ტური

**ტოტენჰემი 1:3 არსენალი**

0:1 პეტი (17), 0:2 ანელკა (33), 1:2 ანდერტონი (43), 1:3 კანუ (85)

**უიმბლდონი 1:2 ჩელსი**

0:1 ფლო (24), 0:2 პოიეტი (53), 1:2 გეილი (90)

XXXIV ტური

**არსენალი 5:1 უიმბლდონი**

1:0 პარლოუ (34), 2:0 ვიეირა (49), 3:0 თეთჩერი (56 ს.კ.), 4:0 ბერხკამპი (57), 5:0 კანუ (59), 5:1 კორტი (70)

XXXV ტური

**ტოტენჰემი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 რაიტი (4), 0:2 კელერი (65), 1:2 ჟინოლა (72)

XXXVII ტური

**ტოტენჰემი 2:2 ჩელსი**

0:1 პოიეტი (4), 1:1 ივერსენი (38), 2:1 ჟინოლა (64), 2:2 გოლდბეკი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 38 | 22 | 13 | 3 | 80:37 | 79 |
| არსენალი | 38 | 22 | 12 | 4 | 59:17 | 78 |
| ჩელსი | 38 | 20 | 15 | 3 | 57:30 | 75 |
| ლიდსი | 38 | 18 | 13 | 7 | 62:34 | 67 |
| ვესტ ჰემი | 38 | 16 | 9 | 13 | 46:53 | 57 |
| ასტონ ვილა | 38 | 15 | 10 | 13 | 51:46 | 55 |
| ლივერპული | 38 | 15 | 9 | 14 | 68:49 | 54 |
| დერბი | 38 | 13 | 13 | 12 | 40:45 | 52 |
| მიდლსბრო | 38 | 12 | 15 | 11 | 48:54 | 51 |
| ლესტერი | 38 | 12 | 13 | 13 | 40:46 | 49 |
| ტოტენჰემი | 38 | 11 | 14 | 13 | 47:50 | 47 |
| შეფილდი | 38 | 13 | 7 | 18 | 41:42 | 46 |
| ნიუკასლი | 38 | 11 | 13 | 14 | 48:54 | 46 |
| ევერტონი | 38 | 11 | 10 | 17 | 42:47 | 43 |
| ქოვენთრი | 38 | 11 | 9 | 18 | 39:51 | 42 |
| უიმბლდონი | 38 | 10 | 12 | 16 | 40:63 | 42 |
| საუთჰემპტონი | 38 | 11 | 8 | 19 | 37:64 | 41 |
| ჩარლტონი | 38 | 8 | 12 | 18 | 41:56 | 36 |
| ბლექბერნი | 38 | 7 | 14 | 17 | 38:52 | 35 |
| ნოტინგემი | 38 | 7 | 9 | 22 | 35:69 | 30 |

**საბოლოო ლონდონური ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:3 | 21 |
| ჩელსი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 18 |
| უიმბლდონი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:7 | 14 |
| ჩარლტონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| ვესტ ჰემი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | 11 |
| ტოტენჰემი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:16 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გუსტავო პოიეტი (ჩელსი) | 5 |
| ეფან ეკოკუ (უიმბლდონი) | 4 |
| იან რაიტი (ვესტ ჰემი) | 4 |



**გუსტავო პოიეტი**

კლუბი — ჩელსი
პოზიცია — ნახევარმცველი
ეროვნება — ურუგვაელი
დაბადების ადგილი — მონტევიდეო
დაბადების თარიღი — 1967 წლის 15 ნოემბერი
წინა კლუბები — „რივერ პლეიტი" (არგენტინა), „გრენობლი", „ბელავისტა", „სარაგოსა" (სამივე ესპანეთი)
„ჩელსიში" გადავიდა 1997 წლის ივლისში „სარაგოსადან" თავისუფალ აგენტად
სადებიუტო მატჩი „ჩელსიში" — სტუმრად „ქოვენთრისთან" 1997 წლის 9 აგვისტოს
ნომერი „ჩელსიში" — 8
ახლახან დასრულებულ პრემიერლიგურ სეზონში 11 გოლი გაიტანა, ლიგის თასზე — 2, თასების მფლობელთა თასზე — 1 (სულ 14)

# მანჩესტერ სიტი მაღლდება

გახსოვთ „მანჩესტერ სიტი?" ამ ინგლისურ გუნდს მართლაც აქვს თბილისის „დინამოსთან" რაღაც საერთო. როგორც „სიტის" ასევე „დინამოს" თითოჯერ მოუგიათ თასების მფლობელთა თასი და ორივეს ფინალს 10 ათასზე ნაკლები მაყურებელი დაესწრო, რაც ამ აწ გაუქმებული შეჯიბრების ისტორიის საინტერესო ფაქტთა ნუსხაშია შეტანილი. გარდა ამისა, „მანჩესტერ სიტისა" და „დინამოს" გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი, კახი ცხადაძე და მურთაზ შელიაც აერთიანებთ. 90-იანი წლების ჩამოთვლილ ქართველ ფეხბურთელებს როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის მაისურა აქვთ მორგებული.

სწორედ ამიტომ გვინდა გამოვყოთ ის ამბავი, რომ „მანჩესტერ სიტი", ერთიხანობა დავიწყებული და დაბეჩავებული, აღმავლობის გზაზეა შემდგარი და დიდი ხნის უნახავ „უემბლიზე" თამაშის უფლებაც კი დაიმსახურა.

ინგლისში, მოგეხსენებათ, სამხრეთული ქვეყნებისგან განსხვავებით, ქომაგები (მათებურად ფანები) თავიანთ საყვარელ გუნდებს ლხინშიც მხარში უდგანან და ჭირშიც. „სიტი" მეორე დივიზიონში კი არა, ნონ ლიგაში რომ გავარდნილიყო, მეინროუდელი გიჟმაჟები თავიანთ რჩეულებს მაინც გაამხნევებდნენ და ავტოგრაფებსაც გამოართმევდნენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პირველ დივიზიონში დაბრუნების შანსის გაჩენა მათ ისე აღიქვეს, გეგონება ძველი დიდება დაბრუნებოდათ.

ზემოთ „უემბლი" ვახსენეთ. ახლა იქ, 30 მაისს, „სიტი" „ჯილინგჰემს" შეხვდება და თუ მოუგო, მომავალ სეზონში პირველდივიზიონელი გახდება.

„უემბლიზე" თამაშის უფლება კი „სიტიმ" „ვიგანის" ძლევით დაიმსახურა. მეტოქეთა პირველი შეხვედრის ანგარიში 1:1 გახლდათ. მეორეში კი შონ გოტერის გოლმა „მეინ როუდს" სიხარული მოუტანა. ეს გოლი თამაშში ერთადერთი აღმოჩნდა.

გოლამდე ანუ 27-ე წუთამდე თავის გამოჩენა იმავე გოტერსაც შეეძლო და პოლ დიკოვსაც, მერე კი მაიკლ ბრაუნმა მარჯვენა ფრთიდან ახლო ძელთან ჩააწოდა, სადაც გოტერმა იყოჩაღა — მკერდით გაგზავნა ბურთი მეტოქის მეკარის მიღმა. „ვიგანის" ფეხბურთელებმა მსაჯთან იჩივლეს, ხელი იყოო, მაგრამ არბიტრი ტერი ჰეილბორნი არ დაეთანხმა და როგორც ტელეგამეორებებმა აჩვენა, მართალიც იყო.



პოლ დიკოვი და მეინ როუდელი გიჟმაჟები „ვიგანთან" გამარჯვების შემდეგ

**პლეი ოფები**

**საპასუხო მატჩები**

I დივიზიონი

**იფსვიჩი 4:3 (დ.დ) ბოლტონი**

1:0 ჰოლანდი (14), 1:1 ტეილორი (50), 2:1 დაიერი (51), 2:2 ფრენდსენი (84), 3:2 დაიერი (90), 3:3 ტეილორი (96), 4:3 ჰოლანდი (116)

(პირველი მატჩი 0:1)

**ბირმინგემი — უოტფორდი**

*გუშინ გვიან გაიმართა.*

(პირველი მატჩი 0:1)

*ფინალი „ბოლტონი" — „ბირმინგემი" ან „უოტფორდი" 31 მაისს „უემბლიზე" გაიმართება*

II დივიზიონი

**ჯილინჰემი 1:0 პრესტონი**

1:0 პესენტელერი (2)

(პირველი მატჩი 1:1)

**მანჩესტერ სიტი 1:0 ვიგანი**

1:0 გოტერი (27)

(პირველი მატჩი 1:1)

*ფინალი „ჯილინჰემი" — „მანჩესტერ სიტი" 30 მაისს „უემბლიზე" გაიმართება*

III დივიზიონი

**როზერჰემი 0:0 (დ.დ) ლეიტონი**

პენალტებით 2:4

(პირველი მატჩი 0:0)

**სკანთორპი 3:1 (დ.დ) სუონსი**

1:0 დოუსონი (2), 2:0 შელდონი (92), 2:1 ბერდი (98), 3:1 შელდონი (102)

(პირველი მატჩი 0:1)

*ფინალი „ლეიტონ ორიენტი" — „სკანთორპი" 29 მაისს „უემბლიზე" გაიმართება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანო — ლონდონში, არსენალი — აზიაში

ნანო ლონდონის „არსენალში“ მიდის. ინგლისური კლუბის ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა, რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების გადამბირებლადაა ცნობილი, ესპანური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი მოთაფლა.

ნანო, რომლის სრული სახელი და გვარია ფერნანდო მასედა და სილვა, 16 წლისაა და „ბარსელონას“ მეორე კლუბში თამაშობს. ამას წინათ, ნანომ და მისმა თანატოლებმა ესპანეთის ნაკრებს ევროპის 16-წლამდელთა პირველობა მოაგებინეს. ვენგერმა ნანოს თვალი სწორედ იქ დაადგა.

როცა „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა „არსენალის“ განზრახვა შეიტყო, უმალ გაილაშქრა მის წინააღმდეგ, თუმცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სიმართლე აღადგინა.

ნანოსთან „ბარსელონამ“ კონტრაქტი მაშინ გააფორმა, როცა ფეხბურთელი 15 წლის გახლდათ. ხელშეკრულების თანახმად, ნანო კვირაში 38 დოლარს იღებს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დებულების მიხედვით, თუ მოთამაშე მინიმუმ 16 წლისა არაა, გუნდს და ფეხბურთელს შორის დადებული კონტრაქტი არაოფიციალურია. ცნობისთვის: „არსენალი“ ნანოს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომლის მიხედვით ფეხბურთელი 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

— ჩვენ ვერ შევუშლით ხელს ფეხბურთელის ტრანსფერს. „ბარსელონას“ ნიჭიერი მოთამაშის შენარჩუნების შესახებ ადრევე უნდა ეფიქრა — განაცხადა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ხერარდო გონსალესმა.

როგორც ჩანს, ნანო ნისლიან ალბიონზე წავა. რაც არ უნდა იყოს, 100 ათასს და 2,5 მილიონ დოლარს შორის დიდი განსხვავებაა.

„არსენალს“ რაც შეეხება, ინგლისის ახლა უკვე ექსჩემპიონი, აზიაშია და იქაურ ქვეყნებში ქომაგებს და გუნდებს ჭეშმარიტ ფეხბურთს უჩვენებს. ისე, ინგლისელი „მეთოფეები“ აზიაში ძალიან პოპულარულნი ყოფილან.

ირაკლი ილაშვილი



# ჯანლუკა პესოტო: ოცნება ამისრულდა

*...ცხოვრებამ ნაადრევად დააშორა ოჯახს, მეგობრებს. 18 წლისა იყო, მშობლიური ფრიულის დატოვება და ულამაზეს მილანში გადასვლამ რომ მოუწია. დიდ „მილანში“ მიიწვიეს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ მეორე გუნდში სათამაშოდ.*

*ახლობლებთან დაშორება ძნელი იყო. უცხო წრეში თავდაპირველად გაუჭირდა. წავიდა კიდეც „მილანიდან“, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მან თავისას მიაღწია — დღესდღეობით ჯანლუკა პესოტო, ტურინის „იუვენტუსის“ მცველი, ისე ცხოვრობს, როგორც ოცნებობდა.*

*„ლატიზანადან“ მილანელმა სელექციონერებმა წაიყვანეს. ახალგაზრდა ბიჭი იმთავითვე არიგო საკის დიდი „მილანის“ შემადგენლობაში რომ ვერ მოხვდებოდა, ცხადი იყო და პესოტოც უმეტესწილად ოცნებობდა. მაშინ, 1990 წელს, „მილანმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო. იდგა ჯანლუკა „მილანელოში“, კლუბის ბაზაზე და ჩაფიქრებული დასცქეროდა ჩემპიონთა თასით ხელდამშვენებულ „მილანის“ სურათს. მაშინ იგი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ექვსი წლის შემდეგ ამ თასს ისიც აღმართავდა...*

— ახალგაზრდობის წლები წინააღმდეგობით იყო აღსავსე, თუმცა არაფერს ვეპუებოდი და ჩემსას მაინც ვაღწევდი. „მილანში“ რომ ჩავედი, დათრგუნული ვიყავი. იქ რომ დავრჩენილიყავი, იქნებ თქვენ დღეს სხვასთან გესაუბრათ, მაგრამ „მილანელო“ მალე დავტოვე და „იუვენტუსამდე“ მიმავალ გრძელ გზას დავადექი. მარტო მივუყვებოდი ამ ცხოვრების ბილიკს, თუმცა ახლა უკვე გზაზე ვდგავარ, თან მარტო კი არ ვარ, ჩემს გვერდით ყველა ის ადამიანია, ვისი ახლოს ყოფნაც მსურს.

**— თქვენი პირველი პროფესიული კლუბი „ტორინო“ დღეს სერია B-ში თამაშობს, თქვენ კი ტურინის მეორე, გაცილებით სახელოვანი „იუვენტუსის“ ღირსებას იცავთ. შეგტკივათ გული „ტორინოზე“?**

— ცხადია. ფეხბურთელი ყოველთვის უმაღლესი მიზნისთვის უნდა იბრძოდეს, მაგრამ არც წარსულის დავიწყება ეგების. „ტორინოს“ ახლაც ვქომაგობ. სწორედ ამ კლუბიდან მოვხვდი „იუვენტუსში“.

**— გახსოვთ იტალიის ჩემპიონატში დებიუტი?**

— 1994 წლის სექტემბერი იყო, „დელე ალპიზე“ მილანის „ინტერს“ ვხვდებოდით. მართალია, ის მატჩი „ინტერმა“ მოიგო 2:0, მაგრამ ჩემთვის მაინც ტკბილად მოსაგონარია. სხვათა შორის, იმ სეზონში „იუვენტუსი“ ჩემპიონი გახდა, ჩემი „ტორინო“ კი ერთადერთი კლუბი იყო, რომელმაც თანაქალაქელები ჩემპიონატში ორჯერ დაამარცხა.

**— როცა ფეხბურთელი ერთი ქალაქის კლუბებს იცვლის, გულშემატკივრები ამას სხვადასხვანაირად ხვდებიან. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?**

— გულშემატკივრებს რაც შეეხებათ, რაიმე გართულება არ ყოფილა, ჩემთვის კი ტრანსფერი უდიდესი მოვლენა იყო. მახსოვს, „იუვენტუსს“ 1995-96 წლების სეზონის წინ მარჯვენა მცველი სჭირდებოდა, მე კი „ტორინოში“ სწორედ ამ პოზიციაზე ვთამაშობდი. იცით, იმ სეზონში ტურინულ დერბიში „ტორინოს“ 5:0 მოვუგეთ. იმ მატჩში ვითამაშე. გულშემატკივრებმა მოედნიდან ტაშით გამაცილეს... არა, ქომაგებისგან პრობლემა არ მქონია.

**— ოთხი წელია, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბში თამაშობთ. ძნელია, მუდამ უმაღლეს დონეზე თამაში, თუ არც ისეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს?**

— როცა ნაყოფიერი მუშაობისთვის ყველა პირობა არსებობს, რა გაჭირვებაზეა ლაპარაკი? „იუვენტუსში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. აქ ყოფნა უდიდესი სიამოვნებაა. სხვისი რა გითხრათ, და ჩემთვის „იუვენტუსში“ თამაში ძნელი არაა.

**— ერთ წელიწადში შესანიშნავი და უგრძესი ნახტომი გააკეთეთ — დაუძლურებული „ტორინოდან“ მსოფლიოს უძლიერეს კლუბში გადახვედით...**

— ეგ მართალია. დღემდე ვფიქრობ, რამ გამოიწვია ეს და ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდივარ — შრომა დამიფასდა. მუდამ ბოლომდე ვიხარჯებოდი და თუ პირველ წლებში თვალსაჩინოს ვერაფერს ვაღწევდი, მერე უცბად მოვიდა წარმატებები. „იუვენტუსში“, პირველ სეზონში, მართალია იტალიის ჩემპიონატში მეორეზე გავედით, მაგრამ ჩემპიონთა თასი მოვიპოვეთ. მერე ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი...

**— 1996 წელს ნაკრებშიც მოგიწვიეს. პერუჯაში საქართველოს წინააღმდეგ „სკუადრა აძურაში“ პირველად ითამაშეთ.**

— ის დღე არასდროს დამავიწყდება. ვღელავდი. სერია A-საგან განსხვავებით, ნაკრებში დებიუტი წარმატებით დასრულდა. საქართველოს რავანელის გოლით მოვუგეთ. ნაკრებში ნათამაშევ პირველსავე მატჩში მივხვდი, რომ საკლუბო და სანაკრებო დონე სხვადასხვა განზომილებებია.

**— რაც იტალიის ნაკრებში თამაშობთ, გუნდმა მწვრთნელები გამოიცვალა. ჩეზარე მალდინის და დინო ძოფის გუნდებს შორის უეჭველად დიდი განსხვავება იქნება, საკის გუნდზე არას ვამბობ.**

— სხვაობა მართლაც დიდია. ჩვენ ხომ სამ, სრულიად განსხვავებულ პიროვნებაზე ვსაუბრობთ. მთლიანობაში სამივესთან მუშაობა სასიამოვნო გახლდათ. საკიზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი — „სკუადრა აძურადან“ იგი თითქმის ჩემი იქ მისვლისთანავე წავიდა. მალდინის დროს გუნდში უფრო ხშირად ვჩნდებოდი, ვიდრე ახლა, ძოფის მოღვაწეობისას, მაგრამ იმედია, ნაკრებში დავბრუნდები.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე პენალტების სერიაში წაგება ალბათ ძალიან სამწუხაროა.**

— დამიჯერეთ, ფეხბურთელების გარდა იმ წამს სრულიად ვერავინ აღიქვავს მომხდარს. ძალიან სამწუხაროა ასეთი მარცხი. საფრანგეთთან ჩეზარე მალდინიმ ზიდანის მეურვეობა დამავალა. გამიჭირდა დავალების შესრულება. ზიდანს ტრავმას ვერ მივაყენებდი, თუმცა არც თავისუფლებას ვაგრძნობინებდი. წაგებამ გული დამწყვიტა, მაგრამ მერე საფრანგეთს ვქომაგობდი. მსურდა, ჩემს თანაკლუბელებს უპირველეს ყოვლისა კი მეგობრებს — ზიდანს და დეშამპს გაეხარათ.

**— მოდით, კვლავ „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ. მარჩელო ლიპიც და კარლო ანჩელოტიც მაღალი დონის მწვრთნელები არიან. რა სხვაობაა მათ შორის?**

— გეთანხმებით, რომ ორივე ძლიერი მწვრთნელია. სხვაობა კი ისაა, რომ ლიპი ურთიერთობისას უფრო მკაცრია, ვიდრე ანჩელოტი. სამაგიეროდ, ანჩელოტისთან საუბრის შემდეგ ძალა გიათმაგდება, ლიპის დროს კი უფრო ვალდებული იყავი, ასეთი განწყობით ყოფილიყავი. ეგეც არ იყოს, ორივეს თავისი შეხედულება აქვს ფეხბურთზე. ისე, მწვრთნელთა ცვლილება „იუვეში“ აუცილებელი იყო — ლიპის „იუვენტუსი“ კვდებოდა და შველას საჭიროებდა.

**— დაბოლოს, როგორია ჯანლუკა პესოტოს მომავალი — რჩებით, თუ მიდიხართ?**

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ — „იუვენტუსში“ შესანიშნავად ვგრძნობ თავს და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. რამდენიმე კლუბი მეპატიჟებოდა ინგლისიდან და ესპანეთიდან, მაგრამ არა... შეიძლება იქ უფრო დიდი გასამრჯელო მქონდეს, ვიდრე „იუვენტუსში“, მაგრამ ჩემთვის მთავარი ფული არაა. მე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი და უდიდესი კლუბის ფეხბურთელი ვარ და ჩემთვის მთავარი ესაა. „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2003 წლამდე მაქვს. ახლა 29 წლის ვარ. ძალიან მინდა, კარიერა „იუვენტუსის“ ფეხბურთელად დავასრულო.

*"FORZA JUVE"*

თარგმნა ლაშა გოდუაძემ



სარბიელის არქივიდან

ბედნიერი კაცი — ჯანლუკა პესოტო მეუღლე რეანასთან და ქალიშვილ ფრედერიკასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გენკი**

დაარსდა 1988 წელს
მისამართი: სტადიონპლეინ 4, 3600 გენკი
ტელეფონი (089) 841608
სტადიონი: „ტილ გეიზელინკი" (ტევ. 16 570)
ბელგიის ჩემპიონი: 1999
ბელგიის თასის მფლობელი: 1998

# მეშახტეები

„გენკი" დღეს ბელგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბია და ეს გერმანიის საზღვართან მდებარე სამრეწველო ოლქის გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებთანაა დაკავშირებული.

„გენკი" 1988 წელს დაარსდა ლიმბურგის პროვინციის ორი გუნდის — „ვატერსხეისა" და „ვინტერსლაგის" შერწყმის შედეგად. სამთო მაღაროების დახურვამ ამ ორი კლუბის გაკოტრება გამოიწვია და მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ათ წელიწადში პროვინციული „გენკი" ამხელა წარმატებას მიაღწევდა.

ოთხი წლის წინ უძლიერესთა ლიგაში გადასულმა „გენკმა" ბელგიის შარშანდელ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა „ბრიუგეს" შემდეგ, თუმცა ჩემპიონს თავისებური სამაგიეროც გადაუხადა, როცა ქვეყნის თასის ფინალში 4:0 მოუგო.

წლეულს კი „მეშახტეები" კიდევ უფრო აღზევდნენ და ბელგიის ჩემპიონობა მოიპოვეს. „გენკი" ყველაზე ახალგაზრდა კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მიიღებს მონაწილეობას.

საინტერესოა, რომ „გენკს" საკუთარი სტადიონიც არა აქვს. ძირითადი შემადგენლობა ყოფილი „ვატერსხეის" „ტილ გეიზელინკშტადიონის" სარბიელზე თამაშობს, ხოლო სათადარიგო სტუმრებს „ვინტერსლაგის" მინდორზე იღებს.

„გენკის" ყველა წარმატებას ერთ კაცს, 55 წლის ემე ანტუენესს უკავშირებენ. სწორედ ამ მწვრთნელის ხელში დალვინდა



ემე ანტუენესი

გუნდი, არნახულ სიმაღლეს მიაღწია. თუმცა მომავალი სეზონიდან „მეშახტეებს" ახალი მწვრთნელი, „ვესტერლოდან" წასული იოს ჰეილინგენი ეყოლებათ, რომელსაც თავის დროზე „ვინტერსლაგშიც" უთამაშია და „ვატერსხეიშიც". ანტუენესი კი ბრიუსელის „ანდერლეხტის" მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს.

ჰეილინგენი ორი წლით დაუკავშირდება „გენკს" და საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დადგება — შეინარჩუნოს გუნდის ძირითადი ბირთვი და ეს იმის მიუხედავად, რომ „მეშახტეებს" ჩემპიონთა ლიგაში უწევთ თამაში.

მთავარი პრობლემა კი სტადიონის უქონლობაა. „ტილ გეიზელინკშტადიონი" უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ხოლო „მეფე ბოდუენი", სადაც გუნდი წლევანდელი თასების თასის მატჩებს მართავდა, ძალიან ძვირია. „მეშახტეები" სალიგო თამაშების გამართვას ლიეჟის „სტანდარდის" მინდორზე ფიქრობენ, რომელიც ახლახანს განაახლეს მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის.

# ოქრო-ვერცხლი გაცვალეს

1998 წელს ბელგიის თასის მფლობელი და 97-98 წლების ვერცხლის მომპოვებელ „გენკს" შეეძლო კი წლეულს უკეთ გამოსვლა? ამ კითხვაზე სეზონის დასაწყისში თითქმის ყველა უარყოფითად გიპასუხებდათ. ემე ანტუენესის გაწვრთნილმა გუნდმა ხომ ძირითადი შემადგენლობის სამი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. პეეტერსი გერმანულ „არმინიაში" გადაბარგდა, ოიენი ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში", კლემანი კი ალბიონზე გაემგზავრა „ქოვენთრის" ღირსების დასაცავად.

თუმცა ფეხბურთი მოულოდნელობებითაა აღსავსე და „გენკის" ჩემპიონობა ამის კიდევ ერთი დასტურია. ბელგიურმა კლუბმა თავისი ქვეყნის პრესტიჟი თასების თასის უკანასკნელ გათამაშებაშიც არ შელახა. გერმანული ბარიერის (დუისბურგი) დაძლევის შემდეგ მათ წაუგებლად, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის გამო, დათმეს ორრაუნდიანი ორთაბრძოლა მომავალ ფინალისტ ესპანურ „მალიორკასთან".

ამ ტრიუმფში ყველაზე დიდი წვლილი შეტევის მშვენიერ დუეტს მიუძღვის. გვინეელმა სულეიმან ულარემ (17 გოლი) და ხორვატმა ბრანკო სტრუპარმა (18 გოლი) ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. მომავალ ჩემპიონატში კი გენკელებს პირველ ხუთეულში მოხვედრა დაუსახავთ მიზნად.

ვიცე-ჩემპიონი „ბრიუგე" რომ წლეულს ოქროს მედლებს ვერ დაეპატრონებოდა, სტატისტიკოსებს ამის განჭვრეტა არ უნდა გასჭირვებოდათ. ერიკ გერეტსის სათავკაცო კლუბს ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოუხერხებია ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ ორჯერ მოხვეჭა. ოდნავ გადაბერებული (ვერლინდენი, ბორკელმანსი, ვან დერ ელსტი და სხვანი 30-ს კარგა ხნის გადაცილებულნი არიან) „ბრიუგე" მომავლისთვის აქცენტს ახალგაზრდებზე თუ არ გააკეთებს, ევროსაგზურის მოპოვებაც კი გაუჭირდება.

ჩემპიონატიდან უეფას თასის მეორე საგზური „ანდერლეხტმა" მოიპოვა. ეს მისთვის ზედიზედ 36-ე ევროპული სეზონი იქნება. ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ „ბარსელონა" და „ბენფიკა" ესწრებენ.

მშვენიერი სეზონი ჩაატარა საფრანგეთის საზღვართან მდებარე ერთი ციცქნა ქალაქ მუსკრონის გუნდმაც, რომელიც სულ მცირედი დააკლდა „ანდერლეხტის" გადასასწრებად.

უმაღლესი ლიგიდან მიშელ დე ვოლფის „კორტრაიკი" და ჟან-მარი პფაფის „ოსტენდე" გავარდნენ. მათ ელიტაში ერთ სეზონზე მეტი ვერ გაძლეს. ერთ-ერთი შემცვლელი უკვე გაირკვა, ეს რეზო არველაძის ყოფილი კლუბი „მეხელენია". მეორე ბედნიერის ვინაობა ჯერ კიდევ უცნობია.

დაბოლოს, ბელგიაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისთვის სეზონს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ წარმატებულს. სტანდარდელი ლაშა ჯაკობია სულ ერთი ორჯერ შეუშვა მწვრთნელმა შეცვლაზე. მისგან განსხვავებით, ლიერსელმა გელა შეყილაძემ ძირითადში თავიდან კი დაიმკვიდრა ადგილი და საკმაოდ კარგადაც თამაშობდა, მაგრამ მერე ტრავმებმა გატანჯა და სეზონის მეორე ნახევარი ფაქტობრივად აღარც უთამაშია.

**გაიოზ თალაკვაძე**



შეტევაზე „გენკის" საუკეთესო თავდამსხმელი ბრანკო სტრუპარი

## ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

ყველაზე შედეგიანი თავდასხმა: „ანდერლეხტი" და „მუსკრონი" (76 გოლი)
ყველაზე საუკეთესო დაცვა: „გენკი" და „ბრიუგე" (38 გოლი)
ყველაზე მეტი გამარჯვება: „გენკი" და „ბრიუგე" (22)
ყველაზე ნაკლები მარცხი: „გენკი" (5)
ყველაზე საუკეთესო გუნდი შინ: „გენკი" (44 ქულა 51 შესაძლებლობიდან)
ყველაზე საუკეთესო გუნდი სტუმრად: „ანდერლეხტი" (33 ქულა 51 შესაძლებლობიდან)
ყველაზე მეტი გოლი: კოლერი (ლოკერენი) (24)
ყველაზე მეტი საგოლე პასი: სტრუპარი (გენკი) (20)
ყველაზე ნაკლები ყვითელი ბარათი: გენკი (42)
ყველაზე ნაკლები წითელი ბარათი: სენტ ტრუიდენი (1)
ყველაზე ცუდი თავდასხმა: „ოსტენდე" (27 გოლი)
ყველაზე ცუდი დაცვა: „კორტრაიკი" (81 გოლი)
ყველაზე მეტი მარცხი: „კორტრაიკი" (21)
ყველაზე ნაკლები გამარჯვება: „ოსტენდე" (4)
ყველაზე მეტი ფრე: „ჰარელბეკე" და „შარლერუა" (11)
ყველაზე ცუდი გუნდი შინ: „ოსტენდე" (16 ქულა 51 შესაძლებლიდან)
ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი: „ჰარელბეკე" (66)
ყველაზე მეტი წითელი ბარათი: „ბევერენი" და „მუსკრონი" (9)
ყველაზე მეტი გაფრთხილება: ერნსტი (სტანდარდი) (11)
ყველაზე მეტი გაძევება: კოლანი (გენტი), ოლივიერი (გენკი), ვერჰეიენი (ვესტერლო), ვუიო (შარლერუა) (3)

## ბომბარდირი




იან კოლერი

კლუბი — ლოკერენი
პოზიცია — თავდამსხმელი
დაბადების თარიღი — 1973 წლის 30 მარტი
დაბადების ადგილი — ლოტა, ჩეხეთი
„ლოკერენში" პრაღის „სპარტიდან" გადავიდა
ჩემპიონატში გაიტანა 24 ბურთი

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გენკი (2) | | 1:1 | 2:5 | 3:0 | 3:1 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 4:1 | 3:2 | 2:2 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 6:0 | 3:1 | 3:0 | 34 | 22 | 7 | 5 | 74:38 | 73 | 14 | 2 | 1 | 44:16 | 44 | 8 | 5 | 4 | 30:22 | 29 |
| 2. | ბრიუგე (1) | 2:0 | | 2:0 | 0:0 | 4:0 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 5:3 | 0:0 | 3:2 | 3:1 | 0:1 | 3:0 | 2:0 | 34 | 22 | 5 | 7 | 65:38 | 71 | 13 | 3 | 1 | 35:12 | 42 | 9 | 2 | 6 | 30:26 | 29 |
| 3. | ანდერლეხტი (4) | 3:2 | 2:3 | | 1:1 | 1:1 | 0:1 | 2:0 | 4:0 | 1:1 | 2:0 | 3:1 | 3:2 | 2:1 | 1:1 | 3:1 | 3:0 | 3:1 | 3:0 | 34 | 21 | 7 | 6 | 76:39 | 70 | 11 | 4 | 2 | 37:16 | 37 | 10 | 3 | 4 | 39:23 | 33 |
| 4. | მუსკრონი (10) | 3:5 | 2:0 | 2:3 | | 5:1 | 1:5 | 0:0 | 7:1 | 5:1 | 2:2 | 2:2 | 2:1 | 3:1 | 3:2 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 34 | 19 | 9 | 6 | 76:47 | 66 | 11 | 3 | 3 | 45:26 | 36 | 8 | 6 | 3 | 31:21 | 30 |
| 5. | ლოკერენი (6) | 2:0 | 2:0 | 3:2 | 0:0 | | 4:1 | 2:0 | 1:4 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 3:0 | 6:2 | 3:1 | 4:3 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 34 | 17 | 6 | 11 | 69:61 | 57 | 12 | 2 | 3 | 38:20 | 38 | 5 | 4 | 8 | 31:41 | 19 |
| 6. | სტანდარდი (9) | 2:4 | 3:0 | 0:6 | 2:0 | 2:4 | | 2:2 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 0:2 | 2:0 | 3:0 | 2:0 | 1:2 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 34 | 17 | 3 | 14 | 55:47 | 54 | 11 | 1 | 5 | 30:21 | 34 | 6 | 2 | 9 | 25:26 | 20 |
| 7. | ლიერსი (7) | 1:1 | 5:2 | 0:0 | 1:2 | 2:3 | 3:0 | | 1:2 | 6:0 | 1:0 | 3:1 | 5:1 | 3:1 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 5:1 | 4:2 | 34 | 16 | 6 | 12 | 73:43 | 54 | 12 | 2 | 3 | 49:17 | 38 | 4 | 4 | 9 | 24:26 | 16 |
| 8. | გენტი (8) | 0:1 | 0:4 | 3:2 | 3:0 | 2:1 | 3:2 | 1:0 | | 1:1 | 1:3 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 1:1 | 4:1 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 34 | 14 | 10 | 10 | 55:59 | 52 | 8 | 6 | 3 | 29:22 | 30 | 6 | 4 | 7 | 26:37 | 22 |
| 9. | სტ. ტრუიდენი (14) | 2:2 | 1:1 | 1:4 | 0:2 | 7:0 | 0:1 | 2:0 | 1:0 | | 2:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 2:2 | 5:0 | 34 | 14 | 9 | 11 | 52:46 | 51 | 9 | 5 | 3 | 31:14 | 32 | 5 | 4 | 8 | 21:32 | 19 |
| 10. | ეკერენი (3) | 0:2 | 2:0 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 8:1 | 1:0 | | 0:2 | 0:3 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 2:2 | 34 | 14 | 7 | 13 | 48:46 | 49 | 8 | 4 | 5 | 23:18 | 28 | 6 | 3 | 8 | 25:28 | 21 |
| 11. | ჰარელბეკე (5) | 1:2 | 0:2 | 1:2 | 0:4 | 3:2 | 1:1 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 0:4 | | 1:2 | 5:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 34 | 10 | 11 | 13 | 44:46 | 41 | 5 | 6 | 6 | 24:28 | 21 | 5 | 5 | 7 | 20:18 | 20 |
| 12. | ვესტერლო (12) | 1:1 | 1:2 | 6:0 | 1:1 | 4:3 | 3:1 | 0:2 | 3:3 | 1:4 | 2:4 | 0:3 | | 1:1 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 7:0 | 34 | 11 | 7 | 16 | 56:62 | 40 | 7 | 5 | 5 | 35:26 | 26 | 4 | 2 | 11 | 21:36 | 14 |
| 13. | აალსტი (15) | 1:2 | 0:2 | 0:0 | 1:4 | 3:3 | 1:0 | 1:4 | 0:2 | 1:3 | 5:0 | 2:2 | 3:2 | | 2:2 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 4:0 | 34 | 9 | 8 | 17 | 48:66 | 35 | 5 | 5 | 7 | 28:29 | 20 | 4 | 3 | 10 | 20:37 | 15 |
| 14. | შარლერუა (13) | 1:1 | 1:2 | 0:2 | 1:3 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 2:1 | 2:2 | 2:1 | 1:3 | 0:1 | | 1:2 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 34 | 7 | 11 | 16 | 36:55 | 32 | 6 | 5 | 6 | 21:24 | 23 | 1 | 6 | 10 | 15:31 | 9 |
| 15. | ბევერენი (-) | 1:0 | 1:2 | 2:1 | 1:4 | 1:2 | 0:6 | 1:3 | 0:3 | 0:1 | 2:1 | 0:3 | 1:0 | 2:0 | 1:2 | | 0:0 | 2:2 | 5:0 | 34 | 8 | 6 | 20 | 33:60 | 30 | 5 | 2 | 10 | 18:32 | 17 | 3 | 4 | 10 | 15:28 | 13 |
| 16. | ლომელი (11) | 0:3 | 2:1 | 2:2 | 2:3 | 1:2 | 3:0 | 0:0 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:1 | 0:3 | 2:0 | 2:1 | | 3:1 | 3:0 | 34 | 7 | 7 | 20 | 33:56 | 28 | 6 | 2 | 9 | 21:23 | 20 | 1 | 5 | 11 | 12:33 | 8 |
| 17. | კორტრაიკი (-) | 1:3 | 2:4 | 0:4 | 2:2 | 0:6 | 1:3 | 3:2 | 3:4 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 4:2 | 3:4 | 2:2 | 1:0 | 4:1 | | 2:0 | 34 | 6 | 7 | 21 | 49:81 | 25 | 5 | 4 | 8 | 31:41 | 19 | 1 | 3 | 13 | 18:40 | 6 |
| 18. | ოსტენდე (-) | 1:1 | 1:4 | 0:2 | 2:4 | 0:0 | 2:1 | 0:6 | 2:2 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 4:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:3 | | 34 | 4 | 10 | 20 | 27:79 | 22 | 3 | 7 | 7 | 17:29 | 16 | 1 | 3 | 13 | 10:50 | 6 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ვოლფსბურგი — ლევერკუზენი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | ბაიერნი — ბოხუმი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ჰანზა — ნიურნბერგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | შალკე — აინტრახტი | 2,3 | 3,5 | 2,2 |
| | ფრაიბურგი — ჰერტა | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| | კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| | ჰამბურგი — შტუტგარტი | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| | ვერდერი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | დორტმუნდი — მიუნხენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.

XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | გიუტერსლო — კარლსრუე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ობერჰაუზენი — კოტბუსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ვატენშაიდი — არმინია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.05 | ფორტუნა — ზტ. პაული | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ფიურტი — კიოლნი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | დიუსელდორფი — მაინცი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ურდინგენი — ულმი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | კიკერსი — ჰანოვერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 24.05 | ბერლინი — უნტერჰახინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისის თასის ფინალი (ლონდონში)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A.

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.05 | კალიარი — ფიორენტინა | 2,5 | 2,3 | 3,0 |
| | ემპოლი — უდინეზე | — | — | — |
| | ინტერი — ბოლონია | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | იუვენტუსი — ვენეცია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | ლაციო — პარმა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| | პერუჯა — მილანი | 5,0 | 3,2 | 1,4 |
| | პიაჩენცა — სალერნიტანა | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| | სამპდორია — ბარი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| | ვიჩენცა — რომა | 3,2 | 3,2 | 1,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B.

XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.05 | ბრეშა — რავენა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ჩეზენა — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 2,3 |
| | კრემონეზე — კიევო | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| | ფ. ანდრია — პესკარა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| | ლეჩე — ატლანტა | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| | ლუკეზე — ნაპოლი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | რეჯანა — კოზენცა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | რეჯინა — ჯენოა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | ტრევიზო — ტორინო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ვერონა — მონცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ალავესი — ბარსელონა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 23.05 | ვალიადოლიდი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ვილიარეალი — ბეტისი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | დეპორტივო — სარაგოსა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ატლეტიკო — რასინგი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | მალიორკა — ესტრემადურა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ტენერიფე — რეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ოვიედო — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | სოსიედადი — ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ესპანიოლი — სალამანკა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.

XXXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ეიბარი — ოსასუნა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლას პალმასი — ლეგანესი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლოგრონიესი — სევილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლეიდა — კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 23.05 | ალბასეტე — ბარსელონა B | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ტოლედო — ჰერკულესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | სპორტინგი — ბადახოსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | მალიორკა B — მერიდა ($15^{00}$) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | ატლეტიკო B — რეკრეატივო ($15^{00}$) | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| | რაიო ვალეკანო — ორენსე ($15^{00}$) | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,5 | 3,5 |
| | ნუმანსია — მალაგა ($15^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | რენი — მეცი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| | მარსელი — ოსერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბასტია — ნანტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ბორდო — ლიონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლე ავრი — მონპელიე | 1,5 | 3,4 | 4,4 |
| | სტრასბური — ლანსი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| | ტულუზი — პსჟ | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ლორიანი — სოშო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ნანსი — მონაკო | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | სპორტინგი — პორტუ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ფარენსე — ბოავიშტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 23.05 | შავეში — სეტუბალი | 2,6 | 3,0 | 1,9 |
| | აკადემიკა — ბენფიკა | 7,0 | 3,5 | 1,3 |
| | ამადორა — ბრაგა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რიუ ავე — სალგეირუში | 1,6 | 3,2 | 4,2 |
| | ბეირა მარი — ლეირია | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| | მარიტიმუ — ალვერკა | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| 24.05 | გიმარაეში — კამპომაიორენსე | 1,6 | 3,2 | 4,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | სიტარდი — ნაიმეგენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 22.05 | გრააფსხაპი — კამბური | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23.05 | ბრედა — აიაქსი | — | — | — |
| | უტრეხტი — ეინდჰოვენი | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| | ალკმაარი — მაასტრიხტი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ფეიენოორდი — ვიტესი | 1,8 | 3,4 | 3,4 |
| | ვალვაიკი — როდა | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| | ტილბურგი — ტვენტე | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | ჰერენვენი — სპარტა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### პოლონეთის ჩემპიონატი.

XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ვიძევი — რუხი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ბელხატოვი — გურნიკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ლეგია — პოგონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ვისლა — ლკს | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კატოვიცე — ოდრა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ამიცა — პოლონია | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | რაძიონკოვი — ზაგლებე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ლეხი — სტომილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | ქოჯაელი — გენჩლერბირლიგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 22.05 | გაზიანთეფი — ქარაბუქი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| 23.05 | ანთალია — გალათასარაი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ბურსა — ადანა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| | ერზურუმი — დარდანელი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ისთანბული — ფენერბაჰჩე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ბეშიქთაში — საქარია | 1,3 | 4,4 | 5,0 |
| | ანკარა — ტრაბზონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| | ალთაი — სამსუნი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი.

XXXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | დანფერმლაინი — მოზერველი | 1,9 | 3,0 | 3,4 |
| | რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | სტ. ჯონსტონი — დანდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | აბერდინი — ჰართსი | 2,0 | 2,5 | 3,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი.

XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | გრაცერი — შტურმი | 4,0 | 3,2 | 1,7 |
| | ლუსტენაუ — ლინცერი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| | რაპიდი — რიდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | შტაირი — ზალცბურგი | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| | ტიროლი — აუსტრია | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი.

XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ბაზელი — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 4,0 |
| 24.05 | გრასჰოპერი — ციურიხი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ლოზანა — ლუცერნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | სტ. გალენი — ქსამაქსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### რუსეთის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | შინიკი — ნ. ნოვგოროდი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ზენიტი — ტორპედო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | სპარტაკი — როსტსელმაში | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ცსკა — როტორი | 1,7 | 3,0 | 4,[illegible] |
| | კრილია — ლოკომოტივი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | ალანია — ჟემჩუჟინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ურალანი — სატურნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ჩერნომორეცი — დინამო | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### შვედეთის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.05 | ფრიოლუნდა — ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 24.05 | იურგარდენი — კალმარი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ჰელსინგბორგი — იორებრო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ტრელებორგი — მალმიო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | გიოტებორგი — ჰამარბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ელფსბორგი — ჰალმსტადი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | აიკ — იორგრიტე | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | ფილადელფია — ინდიანა | 1,45 | 12,0 | 2,1 |

### NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | დალასი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | ტორონტო — ბუფალო | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (33-ე) | 26 და ნაკლები 1,9 | 28 და მეტი 1,9 |
| იტალია (34-ე) | 24 და ნაკლები 1,9 | 26 და მეტი 1,9 |
| ესპანეთი (35-ე) | 27 და ნაკლები 1,9 | 29 და მეტი 1,9 |
| პორტუგალია (33-ე) | 24 და ნაკლები 1,9 | 26 და მეტი 1,9 |
| ჰოლანდია (34-ე) | 27 და ნაკლები 1,9 | 29 და მეტი 1,9 |
| პოლონეთი (28-ე) | 19 და ნაკლები 1,9 | 21 და მეტი 1,9 |
| თურქეთი (33-ე) | 24 და ნაკლები 1,9 | 26 და მეტი 1,9 |


## კროკოს ბიურო ამიერიდან გორშიც იმუშავებს

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ორივეგან სამი ქულა

1999 NBA PLAYOFFS

## აღმოსავლეთი

### ინდიანა — ფილადელფია 2:0

19 მაისი

**ინდიანა 85:82 ფილადელფია**

ინდიანა: ჯეკსონი (6 ქულა, 14 პასი, 6 მოხსნა), მილერი (17 ქულა, 8 მოხსნა), მულინი (8), დ. დევისი (7 ქულა, 14 მოხსნა), სმიტსი (25); როუზი (7), ბესტი (7), ა. დევისი (4), პერკინსი (3), მაკკი (1)
ფილადელფია: სნოუ (8), აივერსონი (23), ჰიუზი (8), რეთლიფი (12 ქულა, 12 მოხსნა), გეიგერი (18 ქულა, 11 მოხსნა); ჰილი (6), ლინჩი (5), მაჰონი (2), მაკკიი

აღმოსავლეთ კონფერენციის ფავორიტად შერაცხულმა „ინდიანა პეისერზმა", როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე შინაური თამაშიც მოუგო ფილადელფიას და ამით თავისი გამარჯვებების სერია წლევანდელ პლეი ოფში ხუთამდე აიყვანა. ინდიანა დღემდე რჩება ერთადერთ გუნდად, რომელსაც პლეი ოფში არ წაუგია და იქნებ იმიტომაც, რომ „პეისერზის" მეტოქეები — უკვე გავარდნილი მილუოკი და ახლანდელი ფილადელფია — არ განეკუთვნებიან გრანდებს. ისინი, უბრალოდ, საშუალო დონის გუნდები არიან. ინდიანას ამ წარმატებაში ისიც უწყობს ხელს, რომ წლევანდელი ხუთი თამაშიდან ოთხმა საკუთარ დარბაზში მოუწია, იქ კი მას შარშანდელი გათამაშების ჩათვლით ბოლო 12 შეხვედრა არ წაუგია.

რაც შეეხება ფილადელფიას, მისთვის მეორე წრეში მოხვედრა უკვე დიდი წარმატებაა, თუმცა იქიდან სირცხვილით გამოგდებას, რაღა თქმა უნდა, არ დაყაბულდება და თავგამოდებით იბრძვის. 19 მაისს სტუმრები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ბედმა უმტყუნათ და ახლა ისევ შინ გასამართი მომდევნო ორი თამაშის იმედად არიან. არადა, მათ ლიდერს, ალენ აივერსონს ისე რომ ეყოჩაღა, როგორც სჩვევია, იქნებ ინდიანას შავი დღე დასდგომოდა. აივერსონმა 23 ქულა კი გააკეთა, მაგრამ პლეი ოფის ექვსი თამაშიდან მხოლოდ მეორედ ვერ შესწვდა 30 ქულას. რას იზამს, ყოველთვის ვერ გაუმართლებს.

ფილადელფიამ და აივერსონმა კარგად ვერ დაიწყეს. გუნდის ლიდერი ცუდად ესროდა, თანაც ბევრს და ერთიორს თუ აგდებდა. ბოლო მეოთხედამდე 19-ჯერ ესროლა, სულ ოთხი ჩააგდო და პირველ სამ თორმეტწუთეულში მხოლოდ 10 ქულას მოუყარა თავი. ამით, რაღა თქმა უნდა, ისევ ინდიანამ იხეირა და მშვენივრად მოთამაშე ცენტრის — რიკ სმიტსის მეთაურობით პირველი ნახევარი 13 ქულის სხვაობის მოიგო. ბოლო მეოთხედის დაწყებისას 13 ქულა რვამდე შემცირდა. უკანასკნელ მეოთხედში ისევ აივერსონმა იყოჩაღა, თავისებურად გაუტია და ამ თორმეტწუთეულში 13 ქულა ჩააგდო. ინდიანას უპირატესობა თვალსა და ხელს შუა შემოეფლანგა. ამას ბოლო წუთში ხუთი აცილებული საჯარიმოც დაამატა და ფილადელფიას მატჩის ხსნის შანსი მიეცა, თუმც მატჩის დასრულებას წამებილა აკლდა, როცა ახალბედა ჰიუზმა და აივერსონმა სამქულიანები ააცილეს.

მარცხის გამო ფილადელფიელებს შავები არ ჩაუცვამთ: „მერე რა, რომ წავაგეთ — ამბობდა სტუმართა მთავარი მწვრთნელი ლარი ბრაუნი, რომელიც ორი წლის წინ ფილადელფიაში მისი დღევანდელი მეტოქე ინდიანადან გადავიდა — არა უშავს, მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით. ისინი ურიგოდ არ გარჯილან. ასეთი თამაშით შინ მოგებას შევძლებთ".

REUTERS ინდიანაპოლისიდან



ინდიანა — ფილადელფია. ერიკ სნოუმ ინდიანელ კრის მულინს ბურთი დაუმალა

## დასავლეთი

### სან ანტონიო — ლეიკერსი 2:0

19 მაისი

**სან ანტონიო 79:76 ლეიკერსი**

სან ანტონიო: ჯონსონი (4 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ელი (5), ელიოტი (19), დანკანი (21 ქულა, 8 მოხსნა), რობინსონი (16); როუზი (13), ჯეკსონი (1), კერსი, დანიელსი, პერდიუ
ლეიკერსი: ფიშერი (2), ბრაიანტი (28 ქულა, 8 მოხსნა), რაისი (16), რიდი (4), ონილი (16 ქულა, 8 მოხსნა); ფოქსი (6), ჰარპერი (2), რუქსი (2), ჰორი, პატერსონი

აქაც მასპინძელმა იმარჯვა სამი ქულით. აღმოსავლურ მატჩში თუ წაგებულთაგან საუკეთესომ, ალენ აივერსონმა ვერ შეძლო თავისიანთა გადარჩენა, ამ შეხვედრაში ეს მისია კობი ბრაიანტმა შეასრულა, რომელმაც გაიბრწყინა სან ანტონიოსთან, ვისაც ყმაწვილი ლეიკერსელის ამპლუაში ხეირიანი არავინ მოეძებნება. კობიმ, საპლეიოფო კარიერაში (იგი მესამე პლეი ოფს ატარებს ლეიკერსთან ერთად) ყველაზე მეტი — 28 ქულა ჩააგდო, მაგრამ მაშინ ააცილა, როცა მისი ზუსტი სროლა ყველაზე უფრო სჭირდებოდა გაჭირვებულ ლეიკერსს.

ლეიკერსს გაუჭირდა რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულთან ჭიდილი, თუმცა სან ანტონიოც ხშირად სცოდავდა და ამიტომაც ვერ შეძლო, თავისი იმდღევანდელი უპირატესობა დიდი სხვაობით გამოეხატა. მატჩის დაწყებამდე სტუმართა 140-კილოგრამიან და 216-სანტიმეტრიან შაკილ ონილს მასპინძელთა ცენტრი დევიდ რობინსონი აედევნა და კარგადაც გააწვალა. რობინსონმა გაიხსენა, რომ ერთ დროს მსოფლიოს პირველ ცენტრად ითვლებოდა და მასზე გაცილებით ჯანიან და ახალგაზრდა ონილს მცირე გაკვეთილი ჩაუტარა. შედეგად ამ სეზონის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილოსანმა ონილმა მხოლოდ 16 ქულა ჩააგდო, წლევანდელ პლეი ოფში მისთვის ყველაზე ცოტა. მართალია, რობინსონმაც ამდენივე ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ეს უკვე მისთვის ნორმალური შედეგია, აი, ონილისთვის კი ჩვეულზე ათი ქულით ნაკლები. ვერც გუნდის სხვა ლიდერმა, სამქულიანის ოსტატმა გლენ რაისმა იყოჩაღა. მანაც 16 ქულით დაამთავრა მატჩი. სხვების ცოდვილობის შემყურე ისევ კობი ბრაიანტმა ივარგა. გუნდის შეტევებსაც ის წაუძღვა და შედეგიანადაც. მაგრამ ლეიკერსს რისხვა მასპინძელთა ლიდერის, ტიმ დანკანის სახით მოევლინა. დანკანის თაოსნობით „სფურზი" თავიდანვე გადაირია და საწყის წუთებში 24:10 დაწინაურდა. ამ მონაკვეთში დანკანის ანგარიშზე 10 ქულაა. მასპინძელთა ლიდერს სტუმართა დამრიგებელმა კურტ რამბისმა მეურვედ ბებერი ჯეი არ რიდი მიუჩინა და ახალგაზრდა დანკანმა იგი გვარიანად გააწვალა. ლეიკერმა მაინც შეძლო გაქცეულის დაწევა და ბრაიანტის სამქულიანის შემდეგ ერთი ქულაღა აშორებდა მეტოქეს — 75:76. ეს მოხდა მატჩის დასრულებამდე 36 წამით ადრე. შემდეგ კი ბრაიანტმა დაღუპა ლეიკერსი — მან ჯერ 30 წამით ადრე ორი საჯარიმო ააცილა (იმ დღეს მან 25 საჯარიმოდან მხოლოდ 12 ჩააგდო) და მერე სირენასთან ერთად ნასროლი სამქულიანიც. მანამდე კი, 8,6 წამით ადრე, დანკანმა კიდევ ერთხელ გააბითურა მეურვე რიდი, ფარქვეშ ბრძოლა მოუგო და მატჩის ბოლო ქულებიც თავის ანგარიშზე ჩაიწერა.

**ირაკლი ფირცხვილი**

იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა.
3 მილიმეტრიანი
*ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)*
*(საღამოს საათებში)*

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

## საქართველო 66:85 შვეიცარია

19 მაისი. ფრიბურგი. ფორუმი. 20:30, [illegible] 29:44

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თორთლაძე | 17 | 2/4 | 0/3 | 0/0 | 0 | 2 | 0 | 2 | 4 |
| ბოისა | 12 | 1/3 | 0/1 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 |
| გოგობერიშვილი | 16 | 1/3 | 0/1 | 2/4 | 3 | 0 | 0 | 1 | 4 |
| ხოშტარია | 21 | 3/5 | 0/0 | 3/8 | 1 | 0 | 1 | 3 | 9 |
| ვ. ნაცვლიშვილი | 9 | 2/2 | 0/0 | 1/1 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ჟლენტი | 13 | 2/6 | 1/2 | 2/2 | 0 | 0 | 2 | 0 | 9 |
| ცქიტიშვილი | 15 | 2/3 | 0/0 | 1/1 | 2 | 0 | 0 | 2 | 5 |
| ბერძენიშვილი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯაფარიძე | 21 | 1/3 | 1/2 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 3 | 5 |
| მ. ნაცვლიშვილი | 31 | 6/14 | 0/0 | 6/10 | 11 | 1 | 0 | 4 | 18 |
| ბეჟანიშვილი | 18 | 1/1 | 0/2 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ჩხეიძე | 26 | 1/1 | 0/0 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 2 | 3 |
| **სულ** | **200** | **22/45** | **2/11** | **16/28** | **22** | **4** | **4** | **20** | **66** |

| შვეიცარია | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრაგო | 11 | 0/1 | 1/2 | 0/0 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 |
| მრაცეკი | 36 | 5/8 | 3/6 | 3/3 | 6 | 3 | 2 | 2 | 25 |
| კლემენტი | 15 | 4/6 | 0/0 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 3 | 10 |
| დენერვო | 12 | 1/1 | 2/4 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ფილმორი | 13 | 1/3 | 2/2 | 0/0 | 1 | 2 | 2 | 0 | 8 |
| ბორტერი | 10 | 1/1 | 1/1 | 0/0 | 3 | 1 | 1 | 3 | 5 |
| კოლერი | 29 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 2 | 11 | 0 | 3 | 2 |
| გრაიმსი | 18 | 2/7 | 0/0 | 2/2 | 6 | 0 | 1 | 3 | 5 |
| ვალისი | 24 | 0/1 | 1/2 | 5/5 | 3 | 1 | 0 | 2 | 12 |
| ტიურიგი | 9 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 |
| ჩერეზა | 15 | 1/2 | 0/0 | 3/3 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 |
| ბახმანი | 8 | 0/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 |
| **სულ** | **200** | **17/35** | **10/17** | **15/15** | **30** | **20** | **7** | **27** | **85** |

# მურნინგი — ბოქლომი

„მაიამი ჰითის" ცენტრი ალონზო მურნინგი დაასახელეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელი სეზონის დაცვის საუკეთესო მოთამაშედ.

გამოკითხვაში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის კალათბურთზე მწერალი 118 ჟურნალისტი. მათგან 89 მურნინგის უპირატესობას აღიარებს. ამით ალონზომ ხმების 75,4 პროცენტი დააგროვა. ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დაცვის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენი გამოკითხვა აქამდე არავის მოუგია. წინა მიღწევა ჰაკიმ ოლაჯუონს ეკუთვნოდა: 1993 წელს მან ხმათა 74,5 პროცენტი მიიღო.

208-სანტიმეტრიანმა მურნინგმა 46 თამაშში საშუალოდ 20,1 ქულა გააკეთა. დაცვის საუკეთესო მოთამაშედ კი იგი საშუალოდ მატჩში 11,0 მოხსნისა და 3,9 დაფარების გამო გახდა. სულ მაიამელმა ცენტრმა 180 დაფარება შეასრულა.

მურნინგი მეთაურობდა „მაიამი ჰითის" დაცვას, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მეტოქე გუნდს მატჩში საშუალოდ 84,0 ქულას აკეთებინებდა (მეორე შედეგი ლიგაში), მესამე იყო დაფარებაში და მეტოქე გუნდს სროლების 41,1 პროცენტს აგდებინებდა.

გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა „ატლანტა ჰოქსის" ზაირელი ცენტრი დიკემბე მუტომბო (10 ხმა), მესამეზე — „სიეტლ სუპერსონიქსის" გამთამაშებელი გერი პეიტონი (6 ხმა). ამას გარდა ჟურნალისტთა ხმები კიდევ ცხრა კალათბურთელზე გადანაწილდა.



ალონზო მურნინგი

მურნინგს დაცვის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო მაიამიში, პრესკონფერენციაზე გადასცეს. მოგეხსენებათ, მურნინგის მაიამი პლეი ოფის პირველი წრიდან გამოაგდო „ნიუ იორკ ნიქსმა". ამით გულდამწვარმა ალონზომ თქვა, ამ ჯილდოს დაუყოვნებლივ სხვას მივცემდი, ოღონდ პლეი ოფში ბრძოლა გამეგრძელებინაო. მერე კი დაამატა: „კარიერაში ბევრი ინდივიდუალური ჯილდო მიმიღია, მაგრამ ეს არაფერია ჩემპიონატის მოგებასთან შედარებით. ეს ის ამოცანაა, რომელიც პირადად მე და ჩემმა თანაგუნდელებმა დავისახეთ".

## ყველა დაცვის საუკეთესო მოთამაშე

| | | |
|---|---|---|
| 1983 | სიდნი მონკრიფი | მილუოკი |
| 1984 | სიდნი მონკრიფი | მილუოკი |
| 1985 | მარკ იტონი | იუტა |
| 1986 | ელვინ რობერტსონი | სან ანტონიო |
| 1987 | მაიკლ კუპერი | ლეიკერსი |
| 1988 | მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო |
| 1989 | მარკ იტონი | იუტა |
| 1990 | დენის როდმანი | დეტროიტი |
| 1991 | დენის როდმანი | დეტროიტი |
| 1992 | დევიდ რობინსონი | სან ანტონიო |
| 1993 | ჰაკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი |
| 1994 | ჰაკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი |
| 1995 | დიკემბე მუტომბო | დენვერი |
| 1996 | გერი პეიტონი | სიეტლი |
| 1997 | დიკემბე მუტომბო | ატლანტა |
| 1998 | დიკემბე მუტომბო | ატლანტა |
| 1999 | ალონზო მურნინგი | მაიამი |




პატრიკ რაფტერმა ჩოგანი თავში იხალა და...

# რაც მოგივა, პატრიკაო...

დიუსელდორფი. გერმანია. ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. თიხნარი. 1,9 მილიონი $

## ლურჯი ჯგუფი

### აშშ 3:0 სლოვაკეთი

**პიტ სამპრასი (აშშ)** — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 4:6, 6:2; **რიჩი რენებერგი (აშშ)** — დომინიკ ჰრბატი 6:3, 3:6, 6:3; **რენებერგი და ჯონათან სტარკი** — ჰრბატი და ტომაშ კატარი 7:5, 6:3.

პიტ სამპრასს კარიერაში იმდენისთვის მიუღწევია, ბარე ორი ვერ გაეჯიბრება, ამიტომ დროდადრო ამერიკელის წუწუნს, სტიმული აღარ შემრჩაო, გაგებითაც შეიძლება მოეკიდო. მაგრამ სეზონში არის პერიოდი, როდესაც მსგავს განცხადებებს „პისტოლ პიტისგან" ვერავინ მოისმენს — ყველას კარგად მოეხსენება მისი როლან გაროსისადმი დამოკიდებულების შესახებ.

საფრანგეთის ღია პირველობა ერთადერთი დიდი სლემის ტურნირია, რომელიც ბოლო ათწლეულის საუკეთესო ჩოგბურთელს ერთხელაც არ მოუგია. სწორედ ის დაბრკოლება, რომელიც ისტორიაში „ყველა დროის უდიდესის" ეპითეტით შესვლაში უშლის ხელს. როლან გაროსისთვის ხეირიანად მოსამზადებლად სამპრასმა ათასგვარი ხერხი გამოსცადა: ყველა ევროპულ თიხნარის ტურნირზე ასპარეზობა, ბებერ კონტინენტზე საერთოდ ჩამოუსვლელობა, პარიზში რამდენიმე კვირით ადრე ვარჯიში, მაგრამ ჯერჯერობით ნახევარფინალსაც კი ერთადერთხელ, 1996-ში უწია.

იმ წელს ამერიკელმა თიხნარი სწორედ დიუსელდორფში დააჭაშნიკა და ახლა, როდესაც ბევრმა მისი ნაადრევად ჩამოწერაც მოასწრო, არჩევანი ბუნებრივი იყო — მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობა: „ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ მატჩების ნაკლებობის გამო სასურველ სტაბილურობას ჯერჯერობით ვერ მივაღწიე. აქ მოგებული შეხვედრები ჩემს თავდაჯერებას ძალიან წაადგება, ამით კი ყველაფერს თავისთავად ეშველება."

კაროლ კუჩერასთან მატჩის პირველმეორე სეტში მსოფლიოს მეორე ჩოგანი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ ბოლოში შესამჩნევად მოუმატა და უძლიერესი ფორჰენდებითა და ბადესთან შემოკლებულებით მეტოქეს შანსი არ დაუტოვა: „სწორედ ასე თამაშია ყოველთვის საჭირო, კარგად ვიცი, რომ უკანა ხაზზე დარჩენით პარიზში ვერასოდეს ვიმარჯვებ. არ ვიტყვი, რომ საფრანგეთის ღია პირველობის ფავორიტი ვარ, მაგრამ თავს იმ თხუთმეტიოდე კაცს მაინც მივაკუთვნებ, ვისაც იქ გამარჯვება ძალუძს".

სადაც პიტის გვითქვამს, ვეტერანი რიჩი რენებერგიც უნდა ვახსენოთ: კლასიფიკაციით 291-ე ამერიკელმა ტრავმირებული ანდრე აგასი წარმატებით შეცვალა და სლოვაკთა მეორე ჩოგნის დამარცხებით თავისიანებს გამარჯვებაც გაუფორმა.

### ავსტრალია 3:0 საფრანგეთი

**პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)** — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:6 (12:10), 6:1; **მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:1, 7:6 (7:5); **რაფტერი და სენდონ სტოლი** — პიოლინი და გიიომ რაუქსი 6:4, 6:3.

სედრიკ პიოლინთან მატჩში პატრიკ რაფტერს სწორედ ისეთი რამ შეემთხვა, რაზეც იტყვიან-ხოლმე სატირალია, სასაცილო რომ არ იყოსო — აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონმა უწყინარ სიტუაციაში ჩოგანი ბურთის ნაცვლად მთელი ძალით თავში იხეთქა. მისდა საბედნიეროდ, ამას სისხლის ტბა ან ტვინის შერყევა არ მოჰყოლია, მაგრამ ავსტრალიელს რამდენიმე წუთით დასვენება დასჭირდა, უმალ წამოზრდილ კოპზე კი გეიმებს შორის შესვენებების დროს დღის ბოლომდე ყინულიან ტომსიკებს იდებდა.

ფრანგებს ამ ინციდენტმა ბევრით ვერაფრით უშველა: რაფტერმა ჯერ პიოლინი დაამარცხა, მერე კი სენდონ სტოლთან ერთად წყვილებშიც იმარჯვა. სამაგიეროდ, პრესკონფერენციამ მხიარული განწყობით ჩაიარა: „არ მინდოდა, ჟურნალისტებთან ამხელა კოპით გამოვცხადებულიყავი, მაგრამ აქაურ პატარებს ის ძალიან მოსწონთ. იმედია, მთელს ქვეყანას არ მოსდებთ ამ ამბავს".

კითხვების უმეტესობა, ბუნებრივია, მომავალ დიდი სლემის ტურნირს ეხებოდა. „როლან გაროსის ფავორიტებად კუერტენს, მოიას და კორეტხას დავასახელებდი, თავად კი ნიკოლას კიფერთან არ ვისურვებდი შეხვედრას (მასთან წლეულს ოზმა ორჯერ წააგო) — აღნიშნა რაფტერმა, პარიზში თავის შანსებზე კი გაეღიმა — იქ წარმატებით მაშინ შეიძლება ვიასპარეზო, თუ სულ მზიანი და ცხელი ამინდები და სწრაფი კორტები იქნება, თანაც კენჭისყრაშიც გამიმართლებს. ხედავთ, ბევრს სულაც არ ვითხოვ".

ლურჯი ჯგუფიდან ფინალისტის ვინაობას დღეს ავსტრალიისა და ამერიკის გუნდების შეხვედრა გადაწყვეტს, სადაც ტურნირის ყველაზე საინტერესო მატჩი შედგება რაფტერსა და სამპრასს შორის („ევროსპორტი" დაახლოებით საღამოს 8 საათზე უჩვენებს).

## წითელი ჯგუფი

### ესპანეთი 2:1 ინგლისი

**ალექს კორეტხა (ესპანეთი)** — გრეგ რუზეცკი (ინგლისი) 7:5, 3:6, 6:3; **კარლოს მოია (ესპანეთი)** — ტიმ ჰენმანი (ინგლისი) 7:5, 3:6, 7:6 (7:2); **ჰენმანი და რუზეცკი** — ალბერტ კოსტა და ხაირო ბელასკო 6:0, 6:3.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოთიხნარე ესპანელებმა სწრაფი საფარის მოყვარული ალბიონელები დაამარცხეს, თუმცა ამის გაკეთება გვარიანად გაუჭირდათ.

ჩვენ კი ცოტა დრო წლეულს არცთუ წარმატებით მოთამაშე ალექს კორეტხას დავუთმოთ, რომელსაც ორიოდ კვირაში როლან გაროსის ფინალისტობით მითვლილი ქულების დაცვა მოუხდება. „არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ. მერე რა, თუ ბექჰენდს ავაცილებ? ზეწოლას ახლა კოსოვოელები გრძნობენ. თუ ცუდად ვითამაშებ და წავაგებ, თავს არ მოვიკლავ — შხაპს მივიღებ, საჭმელიც არ მომაკლდება და ღამით დასაძინებელი ალაგიც მექნება. რა თქმა უნდა, ქულების დაკარგვა სასიამოვნო არ არის, მაგრამ ცხოვრება გრძელდება".

თავად კორეტხას წლეულს მძიმე არჩევნის გაკეთებამ მოუწია — ღვიძლის ტკივილის და თამაშის მოყირჭების გამო თიხნარის სეზონის დასაწყისში მან მთელი თვე გამოტოვა, ერთი კვირის წინ რომში მხოლოდ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ თამაშობდა და როლან გაროსის შემდეგაც ოთხიოდ კვირას შეისვენებს: „ამ ხნის მანძილზე დღეში 14-15 საათი მეძინა და მთელ დროს ოჯახში, ძმასთან და გელფრენდთან ერთად ვატარებდი. ერთად ვჭამდით და კინოში დავიოდით. ნორმალური ადამიანივით ვცხოვრობდი და თითქმის არაფერს ვაკეთებდი... სამაგიეროდ, ახლა დასვენებული და სრულ მზადყოფნაში ვარ".

### გერმანია 2:1 შვედეთი

**ტომას ენკვისტი (შვედეთი)** — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; **ჰაასი და დევიდ პრინოზილი** — იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი 7:6 (7:5), 3:6, 7:5.

ამ ჯგუფიდან ბოლო ტურის წინ ფინალში გასვლის შესაძლებლობას ყველა გუნდი ინარჩუნებს.

სენტ პოლტენი. ავსტრია. რაიფეისენ გრან პრი. თიხნარი. საპრიზო 425 ათასი $

ზედიზედ შვიდი მარცხის შემდეგ ზედ როლან გაროსის წინ მსოფლიოს, ბევრის აზრით, დაუმსახურებელი პირველი ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი შელახული რეპუტაციის აღდგენას ცდილობს. სოჭელმა ჟენიამ მეორე წრეში ფრანკო სკილარისთან ბარსელონაში წაგებისთვის იძია შური 6:4, 6:1 და თებერვლის შემდეგ პირველად გაალწია მეოთხედფინალში.

„ამდენი წარუმატებლობა იმის ბრალი იყო, რომ დევისის თასზე აპრილში დიდი ენერგია დამეხარჯა და თიხნარის სეზონს ფიზიკურად მოუმზადებელი შევხვდი. თავდაჯერება თანდათან მიბრუნდება, მაგრამ პარიზში ფავორიტად თავს მხოლოდ მაშინ მივიჩნევ, თუ ამ ტურნირს მოვიგებ" — აღნიშნა სოჭელმა მატჩის შემდეგ.

მერვედფინალი: **მარსელო რიოსი (2, ჩილე)** — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2; **გილერმო კანასი (არგენტინა)** — გორან ივანიშევიჩი (3, ხორვატია) 6:2, 6:2; **ფრანსისკო კლავეტი (4, ესპანეთი)** — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:3; **მარიანო ზაბალეტა (5, არგენტინა)** — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 7:5, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**




ალექს კორეტხა



# ჩემი სანთლებია, სინიორ ნებიოლო



ბენ ჯონსონი

**მსოფლიოს** სამოყვარულო მძლეოსნობის ფედერაცია თავის მორიგ კონგრესს აგვისტოში, ზედ სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამართავს. საამკონგრესოდ იააფ-ის მამებს რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე ჰქონიათ მოსარიგებელი. ამიტომ ფედერაციის საბჭოს საგანგებო თავყრილობა უწვევიათ.

ყრილობაზე პირველ რიგში, მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენებას მოისმენენ და განიხილავენ, მერე ტრიბუნა მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ჩემპიონატის მომწყობ პოლონელებს დაეთმობათ. ეს ჩემპიონატი ამა წლის 16-18 ივლისს უნდა გაიმართოს.

მომდევნო საკითხები, რომელთაც იააფელი აღსაკალები შეეხმიანებიან, გრან პრის 11 სექტემბერს, მიუნხენში გასამართი ფინალური შეხვედრა, 2 ოქტომბერს პალერმოში საჯლიგინო მსოფლიოს ნახევარმარათონა ჩემპიონატი იქნება.

მაგრამ, საფინალო გონგი არც ამ ამბების შემდეგ გაიჟღერებს.

ჯერ იქნება და, საბჭო გაისად გასამართი მსოფლიოს ნახევარმარათონა ჩემპიონატის მასპინძელს შეარჩევს. აქ კანდიდატებად ბრიტანულ ბრისტოლქალაქსა და მექსიკურ მეხიკოს ასახელებენ. მერე იქნება და, იტალიურ ტურინსა და გერმანულ ნაუმბორგს შორის 2001 წლის სპორტულად მოსიარულეთა მსოფლიოს თასის მასპინძლის ვინაობას გამოარკვევენ.

ოდნავ მოგვიანებით გენერალური მდივნის, საპატიო მეჭურჭლის, სამედიცინო და ანტისადოპინგო კომისიების ხელმძღვანელთა გამოსვლებს მოისმენენ.

სულ ბოლოს კი კანადელი სპრინტერის, დოპინგმამაძალობის გამო 1993 წლიდან სპორტისაგან სიცოცხლის ბოლომდე მოკვეთილი ბენ ჯონსონის საქმესაც განიხილავენ — ვინიცობაა, ბიჭს დარდი შეუმსუბუქონ და აქა-იქ გადარბენა-გადმორბენის ნებაც დართონ.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, იმას დავძენთ, რომ ის, რაც საბჭომ დღის წესრიგიდან გადახვევის ამბავში უკვე გააკეთა, ეგ სიდნეის ოლიმპიადაზე ფედერაციის ტექნიკური დელეგატის, კენიელი ჩარლზ მუკორას სენეგალელი ლამინე დიაკით შეცვლაა. შეცვლის მიზეზი კი ის საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ბატონი მუკორა ცუდლუტობის გამო სოკ-იდანაც გააბუნძურეს და მშობლიური ეოკ-იდანაც და იააფ-ის საბჭოში რომ ჯერჯერობით ადგილს ინარჩუნებს, ამის გამო ხშირხშირად ნებიოლოსხელა სანთლები დაანთოს. არ დაანთებს და, სანთელივით ვისაც დაანთებენ, ეგ ძნელი გამოსაცნობი აღარ უნდა იყოს.

**ლევან ძელაურაძე**

# ჰაიკემ, მარტო სიგრძეზეო

**ლეგენდარულმა** გერმანელმა მძლეოსანმა ქალმა ჰაიკე დრექსლერმა წლეულს მარტო სიგრძეზე ვიხტუნავებო — თურმე ეგრე განაცხადა. არადა, იცოცხლეთ, თავისი გამხდარი, ოღონდ ძველებურად ბევრის ამტანი ორგანიზმის გამოცდა დრექსლერს შვიდჭიდშიაც მოსურვებია. მაგრამ, მარჯვენა მუხლის ტრავმამ მის ამ სურვილს განხორციელების საშუალება არ მისცა და: „რაც დამრჩა, ერთი სიგრძეზე ხტომაა, მაგას კი ველარაფრით შევეელევიო". სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე 34 წლის გერმანელი რალაც შეჯიბრებზე გამოსვლებსაც გეგმავს, რათა სეზონში ერთი კი გააკეთოს, მაგრამ უეჭველად და საფუძვლიანად.




ჰაიკე დრექსლერი



# საელჩო აღარ აკმარეს და...

**დიდი** ხანი არ გასულა ჩინელთა ბელგრადული საელჩოს შემთხვევითი დაყუმბარებიდან, რომ ამერიკელები მათ საცურაო უფლებებსაც გადასწვდნენ: აქაოდა, ეგენი დოპინგის ყლაპვის მეტს არაფერს აკეთებენ და აბა, 22-29 აგვისტოს სიდნეიში გასამართ წყნარი ოკეანეთის საცურაო ჩემპიონატზე რა ესაქმებათო.

„დოპინგის ყლაპვის ამბავში" ამერიკელები მართლები არიან — უფრო შორს რომ არ წავიდეთ, მარტო შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე აკრძალული პრეპარატები 5 ჩინელი მოცურავის შარდში იპოვეს. მაგრამ მეორეს მხრივ, აბა, როგორ უნდა გაიგო, კიდევ ყლაპავენ თუ არა ჩინელები ალმგზნებ საშუალებებს, თუკი მათ ტურნირზე არ მოიწვევ და საქმეში არ გამოსცდი. ამერიკელებს ეს არ ადარდებთ — მათთვის მთავარი ჩინელთათვის კიდევ ერთი, პოლიტიკურ დონემდე ამაღლებული, ალიყურის გაწვნა უფროა, ვიდრე საკუთრივ სპორტული ინტერესები. აი, წყნარი ოკეანის სხვა ბობოლები (ავსტრალია, იაპონია და კანადა) კი სწორედ ისე ფიქრობენ, რომ ჩინური ცურვის კონტროლი მხოლოდ მასთან რეგულარული თანამშრომლობის გზითაა შესაძლებელი. ამიტომაც დიდი ოთხეულის შეხვედრაზე, (განსხვავებით 1995 წლისაგან, როცა აშშ-მ თავისი გაიტანა), მასპინძელმა ავსტრალიამ და მისმა ორმა მოკავშირემ ჩინეთის მიწვევა გადაწყვიტა.

ეს მით უფრო, რომ, როგორც ტურნირის ორგანიზატორები აცხადებენ, წლევანდელი ასპარეზობა აქამომდელთა შორის ყველაზე გრანდიოზული იქნება. საცურაო მსოფლიოს ჩემპიონატების ამასწინანდელმა გაყოველორწლიურებამ საერთაშორისო საცურაო კალენდარი უკიდურესად გადატვირთა და წყნარი ოკეანეთის ეს ტურნირი ეგებ საერთოდაც უკანასკნელი გამოდგეს.

# მოგება ქართველებსაც შესძლებიათ თანაც ზედიზედ მეორედ

**საქართველო 29:26 სლოვაკეთი**

**საქართველო:** ერაძე; ყიფიანი (1), ანდრიაშვილი (2), კალანდაძე (7), ბოყოჩაძე (7), ორჯონიკიძე, თურქია (7), კეკელიძე, მეიფარიანი, დათუკაშვილი, გელაშვილი (5)
**სლოვაკეთი:** სტოჩლი; ბოხუში; ჰუჩკო, ვალო (8), მარტანოვიჩი (4), ლუჟაკი (6), ტრანდაჟიკი, ჰლავტური, დემოვიჩი (6), შმიდტი (1), ვალენტი (1), სტახოვიჩი
*ორწუთიანი გაძევებები:*
საქართველო — ორჯონიკიძე (2), კალანდაძე, გელაშვილი, ანდრიაშვილი
სლოვაკეთი — ჰლავტური (2), შმიდტი (3)
**მსაჯები:** რიფატ ფალა და ზია დავაშლიგირი (ორივე თურქეთი)
**EHF-ს დელეგატი:** აშოტ კაზარიანი (სომხეთი)

ნორვეგიის ტანმაღალი ფეხბურთელებისგან შეშინებულმა ერთი პირობა ვიფიქრე, ეს მოსული სლოვაკებიც შავ დღეს დაგვაყრიან-მეთქი, მაგრამ... გუშინ სლოვაკები საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ეთამაშებოდნენ და არა ფეხბურთელებისას. ქართველი ხელბურთელები მოწინააღმდეგის ტანადობას არ შეეპუვნენ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში 29:26 დაამარცხეს მეტოქე.

ჩვენების თამაშში, სამწუხაროდ, ნაკლი და ხარვეზი კვლავაც ბევრი შეიმჩნეოდა. თუმცა დადებითი უფრო მეტი იყო და გამარჯვებაც მოვიდა.

შეხვედრა სლოვაკებმა დაიწყეს და პირველივე იერიში ჩააფლავეს. საწყის წუთებში მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს და კიდევ ამდენის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მათ რიგებში ერთ-ერთ საუკეთესო თურქიას ჯერ მეკარემ აუღო, მეორედ კი ბურთი ხარიხამ აისხლიტა. ამის შემდეგ ლუჟაკმა შვიდმეტრიანიდან ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 2:1. რამდენიმე წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს და დაიწყო 7-წუთიანი მონაკვეთი, რომელიც ჩვენებმა 6:0 მოიგეს. ჯერ თურქიამ შეაგდო ორი ბურთი, რომელთაგან მეორე, მეტოქის პასის ჩაჭრის და მთელი მოედნის გარბენის შემდეგ გაიტანა. მალევე ერაძემ, ვინც მთელი მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა, მორიგი ბურთი მოიგერია და გრძელი პასით ანდრიაშვილი სტოჩლთან პირისპირ გაიყვანა. ქართველმა ფრთამაც იოლად აჯობა სლოვაკ მეკარეს და სტუმართა მწვრთნელმაც უმალ წუთშესვენება მოითხოვა.

ეტყობა, მწვრთნელის დარიგება სლოვაკებმა ყურად არ, ან ვერ იღეს, რადგან მოედანზე მიბრუნებულებმა სწრაფად სამი ბურთი გაუშვეს, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ მონაკვეთში როლანდ ერაძემ რამდენიმე უძნელესი და უძლიერესი ტყორცნის მოგერიება მოახერხა.



ტიტე კალანდაძემ (10), ჩვეულებისამებრ, სლოვაკ მცველებსაც ბევრი საზრუნავი გაუჩინა

მე-15 წუთზე შეხვედრის თურქმა მსაჯმა ჰლავტური ორი წუთით გააძევა და ქართველებმაც ყველაზე დიდ უპირატესობას მაშინ მიაღწიეს — 11:3. აქ სლოვაკებმა მეკარე გამოცვალეს და ჩვენი საქმეც უკან-უკან წავიდა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კვლავ რვაბურთიან უპირატესობას ვფლობთ — 12:4. ორჯონიკიძე ორი წუთით ტოვებს თანაგუნდელებს რიცხვობრივ უმცირესობაში და 12:6. სანამ ბექა მოედანზე დაბრუნდებოდა, მსაჯებმა ტიტე კალანდაძეც გააძევეს და სლოვაკებმაც გაიტანეს — 12:7.

აქ თურქია გააქტიურდა და დაბალი ტყორცნებით ორჯერ შეაგდო ბურთი ბოხუშის კარში. თუმცა მეტოქემაც არ დაგვტოვა უპასუხოდ და ანგარიში 14:9 გახდა. ამის მერე ქართველი ხელბურთელები აირივნენ, დაცვაზე გადასვლისას შეცვლებს დროულად ველარ აკეთებდნენ, თავდასხმაში ბურთს უაზროდ კარგავდნენ, ანაც მოუმზადებლად ისროდნენ და ანგარიშში სხვაობა თვალსა და ხელს შუა დადნა. პირველი ოცდაათი წუთის შემდეგ 15:12 ვიგებდით.

თითქოს შესვენებას საქართველოს ნაკრებზე სასიკეთოდ უნდა ემოქმედა, ბიჭები უნდა დამშვიდებულიყვნენ, თამაში დაელაგებინათ, მაგრამ... მეორე ტაიმიც ჩვენი მეტოქის უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით კარგად ვალო მარტანოვიჩი და დემოვიჩი ირჯებოდნენ. ქართველებმაც მათ წისქვილზე დაასხეს წყალი — შეტევაში სამჯერ დაკარგეს ბურთი ისე, რომ არც კი უტყორცნიათ და ანგარიშიც პირველად გათანაბრდა — 15:15. მერე აღმოჩნდა, რომ ეს პირველი, ჩვენდა გასახარად უკანასკნელიც ყოფილა.

ხუთი წუთი უგოლოდ გავლიეთ. კიდევ კარგი, მსაჯებმა კალანდაძის პერსონალური მეურვე შმიდტი ორჯერ ორი წუთით გააძევეს. ამით მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს და ბოყოჩაძის ორი, თურქიას და გელაშვილის გოლების წყალობით, რაზეც სლოვაკებმა ზუსტად შესრულებული შვიდმეტრიანით უპასუხეს, სამი ბურთით დაწინაურდნენ — 19:16. ამის მერე დემოვიჩმა და ვალომ იმძლავრეს და სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირეს — 20:19. მალე კალანდაძემ შვიდი მეტრიდან აჯობა მეკარეს, ბოყოჩაძემაც იყოჩაღა და 24:20.

ბოლო წუთებში მეტოქეები გოლებს ცვლიდნენ და, სამწუხაროდ, შეხვედრა ზუსტად იმ დროს დასრულდა, როცა ჩვენი შეტევის ანუ ოთხბურთიანი უპირატესობის აღდგენის დრო იყო. ასე რომ, მხოლოდ სამი ბურთით — 29:26 მოვიგეთ, თუმცა ამ გამარჯვებით ჯგუფში პირველ ადგილზე მაინც გადავედით.

დღეს დილით ჩვენი ხელბურთელები სლოვაკეთს გაემგზავრნენ და შაბათს კოშიცეში მასპინძლებს მეორედ გაეჯიბრებიან. გუშინდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, წარმატების შანსი იქაც გვაქვს.

**გაიოზ თალაკვაძე**

ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი ტურნირი
VI საკვალიფიკაციო ჯგუფი

რიგა. 19 მაისი

**ლატვია — პორტუგალია 22:21 (11:14)**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 0 | 1 | 64:63 | 4 |
| ლატვია | 2 | 0 | 1 | 60:59 | 4 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 2 | 58:57 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 2 | 64:67 | 2 |

**მატჩის შემდეგ**

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე:

— მთლიანობაში, ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ბევრი შეცდომა დავუშვით, დაღლილობამაც იჩინა თავი, მაგრამ მათ მაინც თავგანწირვით იბრძოლეს. ჩვენს თამაშს დაღი იმანაც დაასვა, რომ სერგო დათუკაშვილი არ გვყავდა. მას ხელი სტკივა. იგი რომ ყოფილიყო, დიდი ანგარიშით მოვიგებდით.

**— თქვენ გუნდს რა ნაკლი შენიშნეთ?**

— დაცვის სისუსტე. ვერც ფლანგებს ვიყენებდით სათანადოდ. ალბათ, ესეც გამოუცდელობის ბრალია. მეტი სათამაშო პრაქტიკა რომ გვქონოდა, შედეგიც უკეთესი იქნებოდა.

**— ამდენი ელემენტარული შეცდომები (არაზუსტი გადაცემები, გამოუყენებელი პირისპირ გასვლები მეკარესთან...) ტექნიკური ნაკლიც ხომ არაა?**

— ეს უფრო ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალია. ვისაც ასეთ დონეზე თითქმის არ უთამაშია, მისი ძირითად შემადგენლობაში დაყენება ძნელია.

**— დღევანდელ თამაშში მთავარი — შედეგი, მიღწეულია, მაგრამ მომავალში?**

— ეს ჩემი გუნდის მაქსიმუმი არ იყო. ბიჭებმა ყველაფერი კი გააკეთეს, მაგრამ 3-4 ბურთით მეტი უნდა გაგვეტანა. ხვალ დილის 6 საათზე სლოვაკეთში უნდა ჩავიდეთ, საღამოს 6 საათზე კი თამაშია. კოშიცეში ძნელი მატჩი გველის, მაგრამ მასპინძლები იოლად ვერ მოგვიგებენ.

ვახტანგ მეიფარიანი:

—სლოვაკთა თამაშებს გავეცანით ვიდეოფირით, რომელიც პორტუგალიელებმა ჩამოგვიტანეს. ასე თუ ისე, ვიცნობდით ჩვენს მეტოქეს და გამარჯვებასაც ვგეგმავდით. თამაში თავიდან ვერ ავაწყვეთ, მაგრამ მალევე დავლაგდით და 8 ბურთითაც დავწინაურდით. მოგვიანებით ჩვენს თამაშში ბევრი ხარვეზიც იყო, მაგრამ საბოლოო მიზანს მაინც მივაღწიეთ — ორი ქულა ავიღეთ და ახლა სლოვაკეთში გარკვეული მარაგით მივდივართ. ის შეცდომები კი სათამაშო პრაქტიკის არქონის შედეგია. სტუმრად ხვალ ძალიან კი გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც ვიბრძოლებთ. იქნებ ერთი გამარჯვებაც გვეყოს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

გარი თურქია:

— ძალიან სერიოზული მეტოქე გვყავდა და შეხვედრაც ძნელი იყო. ჩვენი შეცდომები შეუთამაშებლობის ბრალია. მომავალში ყველაფერი გამოსწორდება და სლოვაკეთში უკეთესად ვითამაშებთ.

ტიტე კალანდაძე:

— დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა ბოლო წუთებში. ეს, ალბათ, ქართული გულარხეინობის ბრალიცაა. საბედნიეროდ, დღეს ასე არ მოხდა და მატჩის დასასრულსაც ძლიერად ვითამაშეთ.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# როგორ დავამარცხოთ ქართველი

## ზავადსკიმ იცოდა, უვარჯიშებელი ჩაჩუა მალე დაიღლებოდა

ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა — „ბერძენ-რომაელთა“ ევროპულ ჩემპიონატზე კვლავ ერთი ვერცხლის მედალი გვერგო. ეგაა, შეიცვალა მოქმედი პირი—კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ხვიჩა ბიჩინაშვილი (76) მჩატეწონიანმა (63) აკაკი ჩაჩუამ შეცვალა.

სოფიაში მოპოვებული ვერცხლი ჩაჩუასთვის ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატებაა. ბულგარეთში წასვლის წინა დღეს მას ფალავანთა კლუბში შევხვდი. მოჭიდავეები გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ჩაჩუა კი უდარდელად მიყრდნობოდა კარს. ის საერთო ფუსფუსში არ მონაწილეობდა, მშვიდად ესაუბრებოდა მეგობრებს. არავითარი მღელვარება და შიში არ ეტყობოდა (ესოდენ გამოცდილი კაცისგან ეს გასაკვირიც იქნებოდა). მხოლოდ ეგაა, დროდადრო ფერდზე იკიდებდა ხელს. ეტყობოდა, ვარჯიშზე ნატკენი ნეკნი ისევ აწუხებდა. ასე ტრავმირებული, თუმცა მაინც თავდაჯერებული წავიდა ბულგარეთში. იქ ერთი ამოსუნთქვით, თამაშ-თამაშ უწია ფინალს. ზედმეტი ოფლი რომ არ დაუღვრია, ისე ფინალსაც იოლად იგებდა. თითქოს კონტინენტის ჩემპიონობასაც აღარაფერი ედგა წინ. შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევარი რჩებოდა, როცა:

— წარმოუდგენლად კარგი შანსი გამისხლტა ხელიდან — გვიამბობს აკაკი ჩაჩუა — პოლონელი ვლოძიმეჟ ზავადსკი ოლიმპიური ჩემპიონი კია, მაგრამ მე მაინც მოგებაზე ვფიქრობდი. საბოლოოდ ჩემს შეცდომას ვემსხვერპლე. დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე 4:0 ვიგებდი. ეს უპირატესობა უნდა შემენარჩუნებინა, მაგრამ ფიზიკური გამძლეობა არ მეყო. ნეკნი ისედაც მაწუხებდა და თითქოს ჯიბრზე, ფინალში განსაკუთრებით ძლიერად ამტკივდა. თუმცა ყველაფერი მაინც სუსტი ფიზიკური მომზადების ბრალია. ეს ჩემი აქილევსის ქუსლია, რაც ზავადსკიმ კარგად იცოდა. ამიტომ შეხვედრის ბოლოსთვის თავს იზოგავდა და ჩემს დაღლას ელოდა. ტაქტიკამ გაუმართლა და იმ დარჩენილ წუთნახევარში ექვსი ქულა ამართვა. ბოლო ილეთი მე წამოვიწყე, მაგრამ დასამთავრებლად ძალა აღარ მეყო. მეტოქემ კონტრილეთზე გამომიჭირა. ასე, წუთნახევარში დავკარგე ჩემპიონობა. სხვათა შორის, ზავადსკიმ ასევე მომიგო ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**— არადა, ფინალამდე მაინცდამაინც არ გაგჭირვებიათ.**

— ფინალამდე მართლაც იოლად მივედი.ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოვიგე. ზოგი სუფთად, ზოგიც — ქულებით.

**— და ეს მაშინ, როცა მოსამზადებელი ეტაპი, ფაქტობრივად, არც გაგივლიათ.**

— ეგრეა. მე შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არსად მიჭიდავია. ხელის ტკივილმა თითქმის მთელი სეზონი გამაცდენინა.



აკაკი ჩაჩუა

**— ასე უვარჯიშებელი ევროპაზე წარმატებაზე თუ ფიქრობდით?**

— წარმატებაზე ნამდვილად ვფიქრობდი. გაცდენილი თვეების მიუხედავად, მაინც მქონდა იმედი. რწმენა თუ არ გაქვს, ვერაფერს მიაღწევ. მეც მჯეროდა საკუთარი თავის.

**— თავდაჯერება არც მანამდე გაკლდათ. საქართველოს ჩემპიონატში ტრავმის გამო არ ჭიდაობდით, მაგრამ ნაკრებში მოხვედრა არც კი გეეჭვებოდათ. იმ დროს კი უკვე სერიოზული კონკურენტები გყავდათ.**

— ნაკრებში მოხვედრა ჩემთვის მართლაც არ იყო სათუო. საბოლოოდ შეკრებაზე დავამტკიცე, რომ ამას ვიმსახურებდი. იქ ყველა საკონტროლო შეხვედრა მოვიგე და მწვრთნელებმაც ნაკრებში მე დამაყენეს.

**— ევროპის პირველობა კი მოიტოვეთ უკან, მაგრამ წინ უფრო მნიშვნელოვანი — სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. იქ იგივე ზავადსკიც იქნება და სხვებიც.**

— ეს მართლაც მნიშვნელოვანი ტურნირია. იქაც კონკურენციას ძირითადად ევროპელებისგან ველი, თუმცა მათ ძალიან ძლიერი ყაზახი მანუკიანიც დაემატება. ლიცენზიის მოპოვება აუცილებელია, მაგრამ მე მაინც უფრო მედალზე ვფიქრობ. თუ მარტო ლიცენზიაზე ვიზრუნებ, მაშინ მედალსაც დავკარგავ და შეიძლება ვერც ლიცენზია დავისაკუთრო, ხოლო თუ მედალს ავიღებ, ეს ხომ იმავდროულად ლიცენზიაცაა. ევროპის ჩემპიონატმა დამარწმუნა, რომ მსოფლიოზე მედლისთვის ბრძოლა შემიძლია. ოღონდ ფიზმომზადებას უნდა მოვუხერხო რაიმე. ამ მხრივ დონე უნდა ავიმაღლო.

**— აკაკი, 1997 წელს ევროპაზე მესამე იყავით, 1999-ში მეორე...**

— მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ... ძალიან მინდა, ფინალში გამარჯვება ვიგემო. სულ ერთია, ევროპის ჩემპიონატის ფინალი იქნება თუ მსოფლიოსი.

**ირაკლი თავაძე**

სროლა

# მსროლელი და მოისარი ქალი უფრო მეტი დაგვრჩა

გუშინ ანთალიაში დაიწყო დიდი პრიზის გათამაშება მშვილდოსნობაში. თურქეთის ამ საქვეყნოდ ცნობილ კურორტს ჩვენი სპორტსმენები — ხათუნა ფუტკარაძე, ოლგა ლადიგინა, ასმათ დიასამიძე და სერგო ბერიძეც ეწვივნენ. ეს ქართველი მშვილდოსნებისთვის სეზონის პირველი ტურნირია. უსახსრო ფედერაციამ წლეულს ისინი აქამდე ვერსად გაამგზავრა. ანთალიაში წასულთაგან ყველა ბათუმელია. ისინი აჭარის სპორტდეპარტამენტმა დააფინანსა. საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციამ კი ვერავინ გაუშვა. მიზეზი ისევ უფულობაა.

ამავე დღეებში ტყვიის მსროლელები მიუნხენში მეორედ გაითამაშებენ მსოფლიოს თასს, იქიდან კი მილანში გადაინაცვლებენ ამავე თასისთვის მესამედ გასაჯიბრებლად.

ამ ტურნირებში საასპარეზოდ გერმანიაში ადრევე გაემგზავრნენ ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე. მათ ჯერ დორტმუნდში ივარჯიშეს, ახლა კი მიუნხენში არიან. ბოლო მომენტში მათ ბათუმელი დარეჯან ღუმბაძეც შეუერთდა. ესეც აჭარის სპორტდეპარტამენტის დამსახურებაა.

**ირაკლი თავაძე**

# მდედრიონთა მხედრიონი

**სპორტის** მიმდევარ ქალთაგან ყველაზე გამორჩეული იღბალი ცხენოსნებს აქვთ. ცხადია, მათ შორისაც არიან განსაკუთრებული ბედის ქალები, რომლებიც მამაკაცებთან ერთად თანაბარ პირობებშიიბრძვიან გამარჯვებისთვის და ამ მხრივ ისინი გამონაკლისნი არიან...

წინათ, ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებზე ქალს არათუ შეჯიბრებაში მონაწილეობა, არამედ ასპარეზობის ყურებაც ეკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, ანტიკურ ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის ქალიც მოიხსენიება. მაგალითად, ასეთი ყოფილა სპარტანელი მხედარი ცინიზეა, რომელსაც IV საუკუნეში (ქრისტეს დაბადებამდე, რა თქმა უნდა) კვადრიგებით (ოთხცხენიანი, ორთვალა ეტლი) რბოლაში გაუმარჯვნია.

ეს პარადოქსი იმით აიხსნება, რომ იმ დროს ცხენოსნობაში გამარჯვებულად არა უშუალოდ ასპარეზობის მონაწილე ცხადდებოდა, არამედ ბედაურის პატრონი, ასეთი კი შეიძლებოდა კაციც ყოფილიყო და ქალიც.

რომ არა ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობის აკრძალვა, ვინ იცის, ცხენოსნობაში რამდენი ჩემპიონი ქალბატონის სახელს შემოგვინახავდა ისტორია. ქალი ხომ იმთავითვე მამაკაცებთან ერთად ამხედრდა და ამ საქმეში ტოლი არ დაუდო ძლიერთა სქესის წარმომადგენლებს. გავიხსენოთ თუნდაც ლეგენდარული ამორძალები. კავკასიაში და სხვაგანაც წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავლად აღმოაჩინა ქალთა სამარხები, რომლებშიც სამკაულებთან ერთად საცხენოსნო აღჭურვილობაც იყო.

ქალთა მხედრობა საქართველოში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. გავიხსენოთ იტალიელი მისიონერ კასტელის ჩანახატები და ჩანაწერებიც, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ვისაც კი უნახავს ქართველ ქალთა ცხენით ჯირითი, მისთვის ძნელი არ იქნება დაიჯეროს, რომ ესენი ამაზონები არიან, რადგან მამაკაცებივით სხდებიან და დააჭენებენ"...

გავიხსენოთ მემატიანის სიტყვებიც, რომლებიც თურქთა წინააღმდეგ სამეგრელოს სამთავროს ლაშქრის მეთაურ ეკატერინე ჭავჭავაძეს ეხება: „მოახლოებული ომის საბაბით შედგენილ ცხენოსან ქალთა რაზმში ყოველდღე მეცადინეობდნენ ცხენზე ჯდომასა, ჯირითსა და თოფის სროლაში. ეკატერინე ცხენოსან ქალთა რაზმელებს ყოველდღე ახსენებდა მეომარ ქალთა სახელებს და ამით მათ საომარ განწყობილებასა და სულს უღვიძებდა".

ეკატერინე ჭავჭავაძე იმ მხედარ ქალთა სახელებში, ცხადია, მოიხსენიებდა თამარ მეფესაც, რომელიც მეომარ ლაშქარს მიუძღოდა.

მსგავსი ფაქტები საკმაოდ მოიძებნება სხვა ხალხთა ისტორიაშიც, მაგრამ მხედარმა ქალებმა თანამედროვე სპორტულ სარბიელზე იოლად როდი გაიკაფეს გზა. ოლიმპიურ თამაშებზე ისინი პირველად 1952 წელს გამოჩნდნენ ჰელსინკში და იმთავითვე მამაკაცებთან ბრძოლაში ჩაებნენ. ჩაებნენ და თავიანთ პირველსავე პაექრობაში გამოიჩინეს თავი. იქ დანიელმა ლიზ ჰარტელმა ცხენის გაწვრთნაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, რაც სენსაციად აღიქვეს. ლიზ ჰარტელის ამგვარი წარმატება მით უფრო საოცარი იყო, რომ პოლიომელიტი სტანჯავდა და მუხლს ქვემოთ დამბლა აწუხებდა.

ჰარტელის ის ვერცხლი შემთხვევით რომ არ მოუპოვებია, ეს მან დაამტკიცა მომდევნო, 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

იმავე ოლიმპიურ თამაშებზე გერმანელთა ნაკრები ცხენის გაწვრთნაში მთლიანად ქალებით იყო დაკომპლექტებული და გუნდურ პირველობაში მანაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ლიზელოტ ლინზეჰოფიც, რომელიც იმ დროს 29 წლისა იყო და მან გუნდურ „ვერცხლს" პირად პირველობაში დამსახურებული „ბრინჯაოც" დაუმატა. ლიზელოტმა 1972 წელს იასპარეზა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზეც და ოქროს მედალი მოიპოვა. ამგვარად, 45 წლის ლიზელოტ ლინზეჰოფი, ფაბრიკის მეპატრონე ეს ქალბატონი, მიუნხენში აღმოჩნდა ყველაზე ასაკოვანი სპორტსმენი, რომელიც ჩემპიონი გახდა და ასევე პირველი ცხენოსანი ქალი, რომელმაც ოლიმპიური „ოქრო" მოიპოვა.

მიუნხენში ცხენის გაწვრთნაში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურიც ქალმა, მოსკოველმა ელენა პეტუშკოვამ დაიკავა.

იმ თამაშებზე ცხენის გაწვრთნაში ქალთაგან კიდევ ერთმა, შვედმა მოდ ჯონ როზენმა მოიპოვა მედალი. მან გუნდურ პირველობაში დაიმსახურა „ბრინჯაო".

საინტერესოა, რომ იგი მაშინ 46 წლის ქალბატონი იყო.

არანაკლებ საინტერესოა, რომ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა დიდბრიტანელმა ქალბატონმა ლორნა ჯონსთოუნმა, რომელიც ... 70 წლისა გახლდათ.

ამ ქალბატონების გამო მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებს ხანდაზმული ქალების ოლიმპიადაც უწოდეს, მაგრამ დედაბრებმა, როგორც ნახეთ, ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდა მამაკაცებს ბდღვირი ადინეს.

მომდევნო, 1976 წლის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა ღირსება ბრწყინვალედ დაიცვა შვედმა კრისტინა შტიუკელბერგერმა. მისი წარმატება გაიმეორა ავსტრიელმა ელიზაბეტ ტოირერმაც, რომელმაც ყური არ ათხოვა თავისი და დასავლეთის კიდევ რამდენიმე ქვეყნის ბოიკოტს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი, სადაც ცნობილი ავტომრბოლელის ნიკი ლაუდას თვითმფრინავით ცხენთან ერთად ჩაფრინდა და გაიმარჯვა.

ტრადიციულად განსაკუთრებით ძლიერი ამორძალები ჰყავდათ და ჰყავთ გერმანელებს. ლიზ ჰარტლისა და ლიზელოტ ლინზეჰოფის გარდა ესენი არიან 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში აჰოფ ბეკერი, 1994 წლის ევროპის ჩემპიონი იზაბელ ვერტი... მათ გარდა დიდ სარბიელზე თავი გამოიჩინეს ამერიკელმა ჯესიკა რენსჰაუზენმა, რომელიც ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია...

კიდევ მრავალი მხედარი ქალის გახსენება შეიძლება, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის, კონტინენტისა და მსოფლიოს სარბიელზე გამოიჩინეს თავი. ეს ყველაფერი ნათელს ხდის, რომ ცხენის გაწვრთნაში ქალთა და მამაკაცთა ძალები გაწონასწორდა და ისინი თანაბარი წარმატებით იბრძვიან გამარჯვებისთვის. მეტიც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სახეობაში ალბათ ქალთა სრული ჰეგემონია დამყარდება. ზოგი აკი ამტკიცებს კიდეც, ცხენის გაწვრთნაში კაცს აღარაფერი ესაქმებაო.

ახლა ცხენოსნობის ყველაზე რთულ სახეობას, სამჭიდსაც გადავავლოთ თვალი. ამ სახეობაში 1920 წლამდე ქალებს კი არა ჩვეულებრივ მოკვდავ მამაკაცებსაც არ ჰქონდათ ბედის ცდის უფლება, რაკილა სამჭიდი ოფიცერთა სახეობად ითვლებოდა. და აი, 1969 წელს 21 წლის ინგლისელმა მერი გორდონ უოთსონმა საფრანგეთში გამართულ ევროპის პირველობაზე შეარყია მამაკაცთა ჰეგემონია და ყველა დაჯაბნა პირად პირველობაში. იგი ჩემპიონი გახდა გუნდურ შეჯიბრებაშიც, მომდევნო წელს მან მსოფლიოს ჩემპიონის სახელიც მოიპოვა პირად და გუნდურ პირველობებში, 1972 წელს კი მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც გახდა გუნდურ შეჯიბრებაში.

ქალები იბრძვიან იმისთვის, რომ მამაკაცებთან ერთად [illegible] თუ მიზანს მიაღწევენ [illegible] ისინი აქაც დიდ წარმატებებს მოიპოვებენ. [illegible] მთხვევაში, რუსი მარია ბურდოვა, როგორც გამონაკლისი, სამჯერ დაუშვეს შეჯიბრებაზე და სამივეჯერ გაიმარჯვა. ამ წარმატებების მერე ბერდოვა ფრანგებმა თავიანთ ჯილას, უძლიერეს მხედარ გუიონთან გააჯიბრეს და რუსმა დედაკაცმა აქაც იმარჯვა.

მხედარ ქალთა ასეთი ტრიუმფი ალბათ იმით აიხსნება, რომ მათ, მამაკაცებთან შედარებით, ცხენოსნობაში გარკვეული უპირატესობა აქვთ: ჯერ ერთი, ქალს სიმძიმის ცენტრი დაბლა აქვს და, ამდენად, მათთვის გაცილებით იოლია ცხენზე ჯდომა, მეორეც, ქალი, ჩვეულებრივ, მამაკაცზე მსუბუქია, ეს კი სრულიადაც არ არის უმნიშვნელო ფაქტორი.

არაერთი ფაქტია ცნობილი, რომ წინათ ცხენთა გამოცდისას ბედაურზე ბავშვებს სვამდნენ, რაკილა მსუბუქი მხედრის ტარება გაცილებით იოლია.

ასე რომ, ცხენოსნობის ნებისმიერ სახეობაში ქალებს დიდი შანსი აქვთ, რომ მამაკაცები ერთხელ და სამუდამოდ აღარ გაახარონ.

ჩვენს ვარაუდს ელენა პეტუშკოვაც იზიარებს და აზუსტებს, ეს, უწინარეს ყოვლისა, მაინც ცხენის გაწვრთნას ეხება, სადაც ქალებმა ისე შეავიწროვეს კაცები, რომ ამ სახეობაში ისინი ძალზე ცოტანიღა დარჩნენ.

— ეს იმითაც აიხსნება, რომ ცხენის გაწვრთნა მეთევზესავით დიდ მოთმინებასა და ნებისყოფას მოითხოვს. ქალს მეტი მიდრეკილება აქვს ცხოველთან ურთიერთობისკენ, დათმობისაკენ, კომპრომისისკენ, საერთო ენის გამონახვისკენ. ასეთი თვისებების მამაკაცი იშვიათობაა — გვეუბნება ელენა პეტუშკოვა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი თვისებებით არც ყველა ქალი გამოირჩევა, თავად პეტუშკოვას ნებისყოფა და მტკიცე ხასიათი კი მრავალს აოცებდა. ამგვარი თვისებების წყალობით მან ბევრს მიაღწია. 1968 წელს მამაკაცებთან ერთად მოიპოვა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გუნდური ვერცხლის მედალი. მერე, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე პეტუშკოვა ჩემპიონი გახდა გუნდურ პირველობაში, პირადში კი ვერცხლი დაიმსახურა. 1970 წელს პეტუშკოვა პლანეტის ქალთაგან გახდა პირველი, ვინც ცხენოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა, თანაც როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში. იგივე წარმატება გაიმეორა 1974 წელსაც. მანამდე, 1966 წელს, პეტუშკოვამ მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გუნდურ პირველობაში. ასეთივე წარმატებით გამოვიდა 1963 წლის ევროპის ჩემპიონატზე. ამას გარდა, პეტუშკოვა 1971-1973 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონი იყო.

გამარჯვება, მით უფრო ოლიმპიურ თამაშებზე ან მსოფლიოს ჩემპიონატზე, უდიდესი სიხარულია, მაგრამ უფრო დიდი სიხარულია ქალისთვის, რომელიც მამაკაცებს ამარცხებს. ამგვარად მოპოვებული ჩემპიონატის ოქროს მედალი ალბათ განსაკუთრებულ გრძნობას იწვევს. არანაკლებ საინტერესოა ქალთან პაექრობაში დამარცხებული მამაკაცის განცდა.

— დამარცხებული მამაკაცის განცდებზე ვერაფერს მოგახსენებთ, — გვეუბნება ელენა პეტუშკოვა — უმჯობესია ეს თავად კაცებს ჰკითხოთ, მაგრამ მგონია, რომ ეს მათთვის სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ ქალთან დამარცხებული უბრალოდ მამაკაცი კი არა, არამედ არმიის ოფიცერი იყო. ასეთი კაცისთვის ქალთან დამარცხება ორგზის უსიამოვნოა. როცა თავად ვამარცხებდი მამაკაცებს, მით უფრო ოფიცრებს, მათ მიმართ სიბრალულის გრძნობით ვიმსჭვალებოდი. ასეთი წუთები იშვიათად არ მქონია.

ამას ისე გვეუბნება ელენა პეტუშკოვა, რომ გვგონია, იგი ახლაც განიცდის თავის მიერ შერცხვენილ მამაკაცთა მწუხარებას.

**ავთანდილ გურასაშვილი**



პელოპე იტაცებს ჰიპოდინამიას. ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნის ლარნაკი. არეცოს არქეოლოგიური მუზეუმი



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ელენე პეტუშკოვა, როგორც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს ეწვია, რათა ამ ორგანიზაციაში საქართველოს გასაწევრიანებლად დასკვნები გამოეტანა. სეოკ-ში პეტუშკოვამ და კოტე მახარაძემ გაიხსენეს მიუნხენის ოლიმპიური ბატალიები, საიდანაც ჩვენი კომენტატორი ცხენოსანთა რეპორტაჟებსაც გადმოსცემდა



სარბიელის არქივიდან

ელიზაბეტ ტოირერი





იმერეთის მეფის და





ქართლ-კახეთის დედოფალი თამარი



ხაიმე გონსალესი

## სახენაიარევი ჩეპე

სამხრეთ იტალიაში გამართული „ჯიროს" მეხუთე ეტაპი კოლუმბიელმა ხაიმე გონსალესმა (კელმე) მოიგო. ზღვის დონიდან 1525 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ფინიშის ხაზი „ჩეპემ" იტალიელ დანილო დი ლუკაზე (კანტინა ტოლო) 5 წამით ადრე გადაკვეთა. სწორედ ეს ორი ველომრბოლი, იტალიელ ანდრეა პერონისთან (ონსე) ერთად, იყო ბოლო ალმართზე პელოტონზე წინ.

თუმცა ონსელმა დაძაბულ რიტმს ბოლომდე ვერ გაუძლო და რამდენიმე კილომეტრით ადრე ჩამორჩა მეტოქეებს. დი ლუკამ ორჯერს სცადა გონსალესი ჩამოეტოვებინა, მაგრამ კოლუმბიელს მასზე მეტი ძალა აღმოაჩნდა ეტაპის მოსაგებად.

დი ლუკას კინაღამ სხვებმაც მოუგეს. ლორან ჟალაბერმა, მარკო პანტანიმ, ივან გოტიმ და სხვებმა მასთან მხოლოდ წამი წააგეს. „ჟაჟამ" საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. „სანამ ჩემი თანაგუნდელი პერონი პელოტონის წინ იყო და გამარჯვების შანსი ჰქონდა, იერიშზე გადასვლის უფლება არ მქონდა. როგორც კი იგი ჩამორჩა, მაშინვე ვცადე წინ წასულების დაწევა, მაგრამ უკვე გვიან იყო" — განუცხადა ჟურნალისტებს ლიდერის ვარდისფერ მაისურაში გამოწყობილმა ლორან ჟალაბერმა.

იტალიელ ქომაგებს იმედი ჰქონდათ, რომ პირველ მთიან ეტაპს მათი რომელიმე თვისტომი მოიგებდა და ბოლო ალმართზე „ჯიროში" მონაწილე ყველა აპენინელის სახელსაც დაწერდნენ ასფალტზე. მარკო პანტანისთან ერთად იტალიის რუკასაც დახატავდნენ, რადგან მისგან ვარდისფერი მაისურას ხელში ჩაგდებას ელოდნენ. მაგრამ როგორც გითხარით, ლიდერი ფრანგი ლორან ჟალაბერი გახდა, ეტაპი კი კოლუმბიელმა ხაიმე გონსალესმა მოიგო. სახენაირევ „ჩეპეს", რომელსაც ველოსიპედიდან ჩამოვარდნა ფიზიონომიაზე დადებულ 37 ნაკერად დაუჯდა, 1997 წელს აქ უკვე უმარჯვია ორ სამთო ეტაპზე და მთების გრან-პრიც მოუპოვებია.

მეექვსე და ყველაზე გრძელი ეტაპი (257 კმ) გუშინ გაიმართა ლაურიასა და ფოჯას შორის და ლატვიელი რომას ვაინსტაინსის გამარჯვებით დასრულდა, საერთო ჩათვლაში კი პირველობა ჟალაბერმა შეინარჩუნა.

**გაგი გურული**

# პელოტონი და მისი რაინდები

### ჯირო, ტური და ვუელტა

საგზატკეცილო ველოსპორტში სამი მთავარი შეჯიბრებაა. დანარჩენები, შეიძლება ითქვას, სათვალავში ჩასაგდები არც არის. შესადარებლად ჩოგბურთის დიდი სლემის ტურნირები შეიძლება გამოდგეს — ამ ტურნირების მომგები ჩოგბურთელები გრანდებში, ჩვენებურად რომ ვთქვათ, დიადებში ეწერებიან.

სამივე მრავალდღიან ველორბოლას (სამივე 21-22 დღე გრძელდება) ერთი სახელწოდება აქვს — წრე. იტალიურად — ჯირო, ფრანგულად — ტურ, ესპანურად — ვუელტა. პირველი მაისში იწყება, მეორე — ივლისში, მესამე — სექტემბერში. ასეთია ტრადიცია. ტრადიციაა ისიც, რომ მათ შორის უპირველესი მაინც ტურ დე ფრანსია. თუმცა შარშანდელი ალიაქოთის შემდეგ... ჩემი აზრით, ფრანგულმა ჟანდარმერიამ მეტისმეტი მოინდომა, ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა და გვარიანად შელახა სპორტსმენების ღირსება და უფლებები. ვგულისხმობ უბრალო, ადამიანურ უფლებებს. თუმცა პოლიცია რის პოლიციაა, რომ ეგეთ რაღაცეებში უმადობა გამოიჩინოს. ერთი სიტყვით, შარშანდელ ალიაქოთის შემდეგ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს — რამდენიმე გუნდმა და რამდენიმე საკმაოდ ცნობილმა ველოსიპედისტმა უკვე განაცხადეს უარი ტურში მონაწილეობაზე. რა თქმა უნდა, ველოსპორტში გვარიანად ფეხმოკიდებული დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მეთოდურად, მშვიდად და, რაც მთავარია, სპორტულ სამყაროში მიღებული და უკვე კარგად აპრობირებული საშუალებებით.

თუმცა ფრანგული პოლიციისა თვითონ ფრანგებმა იკითხონ, არ დააჭრიან ბრჭყალებს და ვინძლო თავადვე გამოიჭრან ყელი — საპატიმროებში ღამით ყურყუტი, ჩხრეკა და შეურაცხმყოფელი დაკითხვები, მეტი რომ არ ვთქვათ, ვერაფერი სასიამოვნო პროცედურებია — ბოლოს და ბოლოს, ფრანგული „წრის" გარდა არსებობს იტალიურიც და ესპანურიც, არანაკლები სირთულის ტრასებით, არანაკლები გულშემატკივრებითა და არანაკლები აჟიოტაჟით პრესასა თუ ტელევიზიაში.

### პეპლები, მუშები და ნამდვილები

წლევანდელი ჯიროს მეცხრე ეტაპის შემდეგ პეპლები აღარავის გაახსენდება. არა, აქა-იქ თავს მაინც შეგვახსენებენ, მაგრამ საერთო ჩათვლის პირველ, სულ ცოტა, ოცეულში მაინც არც ერთი მათგანისთვის აღარ დარჩება ადგილი. რას იზამ — ასეთია სპრინტერთა ბედი. თუმცა, ბედიც არაფერ შუაშია, თანდათან ცხრილის სათავეში მოექცევიან ისინი, ვისაც გამძლეობაცა და გამძლეობაც სხვაზე მეტი აქვს. აქამდე პრესითა და ტელევიზიით განებივრებული ჩიპოლინი, ბლიილევენსი, სვორადა, კუარანტა მოწიწებით დაუთმობენ ადგილს ნამდვილებს — პანტანის, გოტის, ცულესა და სხვებს, იმათ, ვისთვისაც მთებთან ჭიდილი ჩვეული ამბავია. ეს ყველაფერი დაიწყება მერვე — პირველი ნამდვილი მთიანი ეტაპიდან. მანამდე კი ველოსპორტის მოყვარულებში ახლახან ჩაწერილებთან ერთად გადავავლოთ თვალი წითელ-ყვითელ-ცისფერ-მწვანე მაისურებით აჭრელებულ პელოტონს.

ველოსიპედზე ამხედრებული ეს ორასკაციანი მოძრავი მასა შედგება 9 კაციანი გუნდებისგან. თითოეულ გუნდში ერთი ან ორი სპრინტის სპეციალისტია (იგივე პეპელა), ერთი ან ორი საერთო ჩათვლაში გამარჯვების პრეტენზიის მქონე სპორტსმენი, რომელიც კარგად დადის მთებში და ასევე კარგი შედეგები აქვს ინდივიდუალურ რბოლაში (30-50 კილომეტრიან ტრასაზე თითოეული ველოსიპედისტი 3-3 წუთის ინტერვალით იღებს სტარტს), დანარჩენი 5-6 მრბოლს კი ოფიციალურად გრეგარებს ეძახიან. ფაქტობრივად, ეს ჯგუფი გუნდის მოტორია. სწორედ ამათ მიჰყავთ ჩიპოლინი და მისნაირები ფინიშის მისადგომებამდე, მიჰყავთ დასვენებულები და შენახულები, რათა ბოლო 50-100 მეტრზე მაქსიმალური სიჩქარე განავითარონ. სწორედ ეს დაუზარელი და მართლა ვირივით შრომას შეჩვეული ჯგუფია, ათეულობით კილომეტრზე რომ მიუძღვის ნამდვილებს ან ერთადერთ ნამდვილს, რათა დასვენებული მიიყვანოს მრისხანედ გადმოყუდებულ 2 000 მეტრიანი მთის ძირამდე. ამ ჯგუფში იძენენ ახალგაზრდა ველოსიპედისტები კაცურ თვისებებს — მოთმენას, მეგობრის გატანას და საერთოდ, სხვისთვის თავის გაწირვას. თითქმის ყველა ჩემპიონს ამ ჯგუფის — გრეგარის სკოლა აქვს გავლილი, ამიტომაც იციან მეგობრისა და მეგობრისთვის დაღვრილი ოფლის ყადრი. შეიძლება ეს ჩემი, ერთობ სუბიექტური აზრია, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, ფრანგი რიშარ ვირანკი, ტურ დე ფრანსის ოთხგზის მთის მეფე, ვერასდროს გახდება ჩემპიონი, თუნდაც იმიტომ, რომ კაცს, რომელმაც შარშან ვუელტაზე მარტოდმარტო მიატოვა თანაგუნდელი ალექს ცულე და ფაქტობრივად ჩემპიონობაც დააკარგვინა, კაცს, რომელსაც არაფრის გაღება არ უნდა სხვისთვის, სხვისი დახმარების იმედიც არ უნდა ჰქონდეს — საგზატკეცილო ველორბოლაში კი თანაგუნდელთა დახმარების გარეშე რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია.

ესე იგი, ნამდვილები ყოფილი გრეგარები, ანუ ყოფილი მუშები არიან, უფრო ზუსტად კი, ყველაზე ნიჭიერი მუშები. ისინი ქმნიან გუნდის სახეს, სარეკლამო საფუძველს, ისინი იგებენ პრიზებს, რომლებიც, ცხადია, მათ სამუდამო მფლობელობაში რჩება, მაგრამ ნებისმიერი გამარჯვებისთვის მოპოვებული ფულადი პრემია გუნდის საერთო სალაროში იდება და შემდეგ ნაწილდება — ცხადია, დამსახურების მიხედვით.



და ბოლოს, ორიოდ სიტყვა ნომინაციებსა და ტაქტიკაზე. ტურ დე ფრანსსა და ვუელტაში ჯილდო სამია — საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის, საუკეთესო სპრინტერისა და საუკეთესო მთის მრბოლისთვის. ტურნირის დროს ამა თუ იმ ნომინაციაში ლიდერს ყველასგან განსხვავებული მაისურა აცვია. ჯიროში ასეთი ტრადიციაა: ვარდისფერი — საერთო ჩათვლაში ლიდერს, ცისფერი — ინტერჯიროში, ყვითელი — სპრინტში, მწვანე — მთების მეფეს. ლიდერობის დაკარგვისას შესაბამისი ფერის მაისურას ახალი ლიდერი იცვამს, ძალადაკარგული მაისურა კი სახსოვრად რჩება მის ყოფილ მფლობელს. მაგალითად, ტურ დე ფრანსის თუნდაც ერთადერთი ყვითელი მაისურის (საერთო ჩათვლაში ლიდერის) პატრონს პოპულარობა და პატივი უკვე განაღდებული აქვს. ცხადია, არანაკლებ პატივს მიაგებენ ჯიროში ვარდისფერი სამოსელით მოასპარეზეს.

საგზატკეცილო ველოსპორტში ტაქტიკა თითქმის მთლიანად აგებულია ჰაერის წინააღმდეგობის არსებობა — არარსებობაზე. ჯგუფის ან თუნდაც ერთი ველოსიპედისტის უკან მავალი თითქმის არ ხარჯავს ენერგიას. ერთი კი არის, ეს ეფექტი მოქმედებს მხოლოდ სწორ ტრასაზე და მით უფრო ეფექტურად, რაც უფრო მეტია სიჩქარე. ამიტომაა, რომ ძირითად ჯგუფს (პელოტონს) მოწყვეტილი რამდენიმე ველოსიპედისტის „დაჭერა" პელოტონისთვის პრობლემა არ არის. სხვა საქმეა მთა, აქ სიჩქარე იმდენად მცირეა, რომ თვალში ჩაჯდომას დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ერთ, ფიზიკურად კარგად მომზადებულ (ცხადია, ნიჭითაც დაჯილდოებულ) სპორტსმენს სულ იოლად შეუძლია ას და თუნდაც ორასკაციანი პელოტონის უპრობლემოდ ჩამოტოვება. სწორედ მთაში და ინდივიდუალური რბოლისას იგებენ აგრერიგად საჭირო წამებსა და წუთებს მომავალი ჩემპიონები.

ხვალ ჯიროზე პირველი ამგვარი ეტაპია. 250-კილომეტრიანი ტრასის ბოლოს ველოსიპედისტებს 2100-მეტრიანი მთა ელით. იმედია, ვარდებსაცა და ვარდისფერსაც ნამდვილად ღირსეული მოიხდენს.

**ირაკლი ბერიაშვილი**



STANLEY CUP PLAYOFFS

### დასავლეთი

**დალასი — კოლორადო**

**სერია ხვალ, 22 მაისს დაიწყება**
**1998-99 წლების სეზონში +1=1-2**
**პლეი ოფში არასდროს შეხვედრიან**

დალასი აგერ უკვე მესამე სეზონია, ლიგის ელიტას უმიზნებს და წლეულს, როგორც არასდროს, თავდაჯერებულად თამაშობს. წლევანდელი დალასი თამაშის ყველა კომპონენტში ლიგაში საუკეთესოა. კენ ჰიჩკოკის მართლაც ბევრი კარგი ჰოკეისტი ჰყავს.

მაგრამ კოლორადომ, რომელსაც დასავლეთის გრანდების სამეულში დალასსა და დეტროიტზე დაბლა აყენებდნენ, ჩემპიონთან სერიაში მიღწეული დამაჯერებელი გამარჯვებით ბევრს შეაცვლევინა აზრი.

ისიც სათქმელია, რომ დალასის ნაქებმა დაცვამ, რომელიც მეტოქეს მატჩში საშუალოდ 20-ზე მეტს არ არტყმევინებს, ვერ შეძლო სენტ ლუისის ფორვარდების ხეირიანად გამკლავება, რის გამოც დალასის მეკარე ედ ბელფორს დიდი ოფლისღვრა დასჭირდა. გარდა ამისა, დალასის რიცხვმრავლობის ბრიგადები ბევრით არაფრით გამორჩეულან. ამ მხრივ კოლორადო დალასს სჯობნის და თუ ახლაც ასევე ამოქმედდა, მისი შეჩერება ერთობ გაძნელდება, მით უმეტეს, „ეველანშის" მეკარე პატრიკ რუა სულ უფრო უკეთ ირჯება.

**პროგნოზი:** თუ კოლორადო შინ უკეთ ითამაშებს, ექვს მატჩში უნდა მოითავოს საქმე.

# სათუო და სათუმცაო აქაც და იქაც ბევრია

მაშ, ასე: წლეულს ლიგას ახალი ჩემპიონი ეყოლება. თასის შარშანდელ მფლობელ დეტროიტს ამ ჯილდოსთვის ბრძოლის უფლება კოლორადომ წაართვა, პლეი ოფს შემორჩენილმა ერთადერთმა გუნდმა, რომელსაც ბოლო წლებში უგემია გამარჯვება. ტორონტოს თასი 1967 წლის მერე არ მოუპოვებია, ბუფალო და დალასი კი არასდროს ყოფილან ჩემპიონები

### აღმოსავლეთი

**ტორონტო — ბუფალო**

**სერია კვირას, 23 მაისს დაიწყება**
**1998-99 წების სეზონში +2=0-3**
**პლეი ოფში არასდროს შეხვედრიან**

ბუფალოელთა ბანაკში ახლა ყველაზე შემაშფოთებელი ჰაშეკის მდგომარეობაა. „დომინატორმა" ჯერ კიდევ თებერვალში, სწორედ „ნეკერჩხლის ფოთლებთან" შეხვედრაში მიიღო საზარდულის ტრავმა. მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს იმკურნალა და 12 მატჩიც გამოტოვა, იგი კვლავ შეაწუხა ტკივილებმა. ასე რომ, მისი თამაში საეჭვოა, არადა, მოგეხსენებათ, რა ძალაა იგი ბუფალოსთვის. თავის მხრივ, ტორონტოს წარმატება-წარუმატებლობა უმეტესწილად კერტის ჯოზეფზე, ანუ „კიუჯოზეა" დამოკიდებული. ამიტომაა, რომ ტორონტო — ბუფალოს სერიას ამ ორი ჩინებული მეკარის (ორივე „ვეზინა ტროფის" ფინალისტთა შორისაა დასახელებული) დუელად მიიჩნევენ.

ტორონტო შედეგიანი შეტევითაა ძლიერი. რეგულარულ ჩემპიონატში გუნდი 268 გატანილი გოლით საუკეთესო იყო, თანაც ერთბაშად ცხრა მოთამაშემ 10 შაიბაზე მეტი მიითვალა. თუმცა პლეი ოფში შედეგიანობამ იკლო. „ხმლების" ჩინებულად აწყობილმა დაცვამ კი უკვე ორი ძლიერი მოწინააღმდეგე — ოტავა და ბოსტონი იმსხვერპლა.

გადამწყვეტი როლი შესაძლოა გუნდების სპეცბრიგადებმა ითამაშონ. ჯერჯერობით ბუფალო ყველა მატჩში ხეირობს რიცხვმრავლობაში, ტორონტო კი, ისევე, როგორც ჩემპიონატში, ცუდად იყენებს რიცხობრივ უპირატესობას.

**პროგნოზი:** ტორონტო კანადელთა ბოლო იმედია პლეი ოფში. წელულს გუნდის პროგრესიც აშკარაა, მაგრამ მას ხომ დომინიკ ჰაშეკი დაუპირისპირდება — „დომინატორს", ალბათ, ძალიან სურს, თავის მრავალ ჯილდოს ჩემპიონის ტიტულიც შემატოს. ბუფალო 4:2 მოიგებს.



დომინიკ ჰაშეკმა თუ ვერ ითამაშა, ბუფალოს ძალიან გაუჭირდება

**სამველ ლარიგიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ნიუ იორკიდან

## ალი — სამართლის დოქტორი

ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი და დიადი მოკრივე მუჰამედ ალი, კოლუმბიის უნივერსიტეტში მისალებ გამოცდებს დაესწრნენ... ბებერი ალისთვის მოგვიანებით სამართლის დოქტორის ხარისხიც მიუნიჭებიათ. „აბა, ამათ აქვთ რაღა“ — ასე უთქვამს მუჰამედს შტერნისთვის... ფოტოზე სწორედ ეგ მომენტი ჩაუვლიათ.



REUTERS ბაღდადიდან

## ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ

*64 წლის ერაყელი ფაჰმი ალ-ჰუსეინი მანქანებს თურმე ადრეული სიჭაბუკიდან ექაჩება. ოღონდო, თავად ასე ამბობს, ამ საქმისთვის ყოველთვის კიდურებს ვარჩევდიო... მაგრამ გამომხდარა ჟამი და პენსიაზე გასულ ჰუსეინს ყურებისა და ცხვირის გამოცდაც გადაუწყვეტია. გადაუწყვეტია და თუ რა რიგი წარმატებებისთვის მიუღწევია, ამას ფოტოებზე თავადაც ხედავთ.*



## ჯვარი იქაურობას

ინდიანაპოლისის სარბოლეთის პირველ მოსახვევს რაღაც ცუდი პირი უჩანს. ჯერ იქიდან ამერიკელი მეინდიკარის, ბილი ბოუთის მანქანის ნამსხვრევები არ აეკრიფათ, რომ იმავე კედელს ახლა ამერიკელივე დეივ სტილი შეასკდა. საბედნიეროდ ბილიცა და დეივიც იოლად გადარჩნენ. ხალხი კი უკვე მესამე მსხვერპლის მოლოდინშია... ჯვარი იქაურობას!

REUTERS ინდიანაპოლისიდან




## ნამეტანი ნურაფერი გაგიხარდებათ

*ფეხბურთში კოსტა რიკის ჩემპიონის ბედი „საპრისასა“ და „ლიმონს“ შორის გამართულ უკანასკნელ მატჩში გაირკვა. მაგრამ, ღმერთმანი, უკეთესი იქნებოდა არ გარკვეულიყო. „საპრისას“ 4:1 გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ქომაგებმა ისეთი აურზაური მოაწყვეს, რომ ტრიბუნების მოედნისაგან გამომყოფი ღობურები ჩაანგრიეს და პირველ რიგში მდგარი ხალხი ქვევით ჩაყარეს. ინციდენტს 30 ქომაგისა თუ პოლიციელის ჯანმრთელობა შესწირვია... რამდენიმე მათგანს აგერ, აქ წარმოდგენილ ფოტოებზეც ხედავთ... მორალი?! ნამეტანი ნურაფერი გაგიხარდებათ...*




REUTERS სან ხოსედან



## უნივერსალური ენა

19 წლის პორტუგალიელი ფეხბურთელი სიმაო საბროზა, ამ ორიოდ დღის წინ ლისაბონის „სპორტინგიდან“ „ბარსელონაში“ 15 მილიონიანი გარიგების შედეგად რომ გადავიდა, ლისაბონში ჩასულ კოსოვოელ ლტოლვილებს ეწვია. სიმაოს საფეხბურთო ენა სიხარულდაკარგულმა ალბანელმა ბიჭუკელებმა ყოველგვარი თარჯიმნის გარეშე გაიგეს.



REUTERS ლისაბონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29